# ბიულეტენი

№ 39
2000
ივლისი

## საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

- გაეროს რეფორმა და საქართველო – თანამშრომლობის შესაძლებლობები
- საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებების შეუსრულებლობა და სანქციის გამოყენების შესაძლებლობები
- შავი ზღვის სრუტეების სამართლებრივი რეჟიმი

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

C 01 - 01531

*Publikationen zur Seminarreihe `Außen- und Innenprobleme der Sicherheit Georgiens`:*

**`UNO-Reform und Kooperierungsmöglichkeit. Rechtssystem des Schwarzmeer-Zusammenarbeit'**



| | |
|---|---|
| **Auflage:** | 1. 200 |
| **Verfasser:** | Zentrum für strategische Forschungen und Entwicklung Georgiens |
| **Seitenzahl:** | 52 |
| **Sprache:** | Georgisch |
| **Originaltitel:** | `Gaeros reporma da sakartwelo. Tanamschromlobis schesadsleblobebi. savi zgvis sruteebis samartlebrivi rejimi` |



© FRIEDRICH EBERT STIFTUNG

# საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი


რამაზ აფციაური
მამუკა კომახია
ჯაბა დევდარიანი
გოჩა ლორთქიფანიძე

**გაეროს რეფორმა და საქართველო – თანამშრომლობის შესაძლებლობები** .......... 2

გაგა გაბრიჩიძე

**საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებების შეუსრულებლობა და სანქციის გამოყენების შესაძლებლობები** .......... 28

დავით კალანდაძე

**შავი ზღვის სრუტეების სამართლებრივი რეჟიმი** .......... 40


C 01 - 01531

Friedrich-Ebert-Stiftung Bonn Bibliothek

# გაერო: რეფორმა და საქართველო – [illegible] შესაძლებლობები

რამაზ აფციაური
მამუკა კომახია

ჯაბა დევდარიანი
გოჩა ლორთქიფანიძე

> **ქვეყნის სუვერენიტეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოხატულება დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების უნარია. სრულფასოვანი საგარეო პოლიტიკის განხორციელება დიპლომატიური წარმომადგენლობების ყოველდღიური საქმიანობის გარეშე შეუძლებელია. მცირე ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთაშორისო ასპარეზზე საკვანძო წერტილებში ძლიერი და პროფესიონალური, საკუთარი ქვეყნის მხარდაჭერაში დარწმუნებული კადრის არსებობა. გაეროში დიპლომატიური კორპუსის შემცირების ფუფუნების უფლებას საკუთარ თავს ყოველმხრივ ბლოკადაში მოქცეული კუბაც კი არ აძლევს.**

საქართველოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად გახდომა სამართლიანად იყო აღიარებული ჩვენი ქვეყნის მიერ დე იურე დამოუკიდებლობის მოპოვების დასკვნით ეტაპად. მართლაც, ამ მსოფლიო ფორუმზე ქვეყნის დასწრება ბუნებრივად აქცევს მას საერთაშორისო თანამეგობრობის წევრად და სიმბოლურად აღნიშნავს, რომ ეს სახელმწიფო იზიარებს საერთო პასუხისმგებლობას კაცობრიობის მომავალზე.

როდესაც ეიფორიამ ჩაიარა, დღის წესრიგში გაეროსთან, როგორც ურთულესი სისტემის მქონე უნიკალურ ინსტიტუტთან მჭიდრო, ყოველდღიური თანამშრომლობის აუცილებლობა დადგა. ეს მოხდა იმგვარ პირობებში, როდესაც საქართველოც და გაეროც არსებობის რთულ, გარდამავალ ეტაპზე იმყოფებიან.

გაერო, ცივი ომისა და ბიპოლარული პოლიტიკური სისტემის პირმშო, ცდილობს შეეგუოს ახალ მსოფლიო რეალობას, ახლებურად განსაზღვროს თავისი როლი და ჩამოაყალიბოს ის შესაძლებლობები, რომელსაც სახელმწიფოებს სთავაზობს.

საქართველო, თავის მხრივ საკუთარი სახელმწიფოებრიობის ხელახალ გააზრებას ცდილობს. საერთაშორისო ასპარეზს საუკუნეების მანძილზე მოკლებული სახელმწიფო გარესამყაროს იმედითა და შიშით შეჰყურებს. როგორც ხშირად აღმოჩნდება ხოლმე იმედიცა და შიშიც ხშირად გადაჭარბებულია და ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი სამყაროს შავ-თეთრი აღქმის შედეგია. ამ ფონზე გაერო ხან ყოვლისშემძლე მეგობარია, მოწოდებული ქვეყნის შიდა პრობლემების გადასაწყვეტად, ხან კი გლობალისტთა თავყრილობა ჩვენი ქვეყნის ეროვნული თვითმყოფადობის გასაქარწყლებლად რომ შეკრებილა.

ჩვენ ვახსენეთ, რომ „გაერო ცდილობს ახლებურად გაიაზროს თავისი როლი". ეს ფორმულირება უდავოდ გამარტივებულია და იმ ერთი შეხედვით კანონზომიერი ლოგიკის ნაყოფია, რომლის თანახმადაც გაეროს, როგორც ორგანიზაციას ინდივიდუალური ინტერესები და ნება გააჩნია. სინამდვილეში, გაერო უპირველესად მისი წევრი სახელმწიფოების ერთობლივ ნებას ემორჩილება და მის თანახმად იმართება. ანუ საქართველოს, გაეროს წევრს, თავისი წილი სიტყვა ეთქმის და პასუხისმგებლობაც გააჩნია, მათ შორის, გაეროს რეფორმირების უმნიშვნელოვანეს საკითხში.

არსებული მოსაზრებით, საქართველოს არ შეუძლია რეალური ზეგავლენის მოხდენა გაეროში მიმდინარე პროცესებზე, მისი, როგორც მცირე სახელმწიფოს როლი ნომინალური, გაეროს ღონისძიებებში მონაწილეობა კი ფორმალურია. ამგვარად, გაეროს რეფორმირების პროცესშიც ჩვენ მხოლოდ დამკვირვებლის როლი თუ დაგვეკისრება.

რა შეიძლება ითქვას ამგვარ მიდგომაზე? უდავოა, საქართველო მცირე სახელმწიფოა და შეზღუდული ეკონომიკური შესაძლებლობები გააჩნია. მაგრამ ამავე დროს გაერო უპირველესად პოლიტიკური, დიპლომატიური ინსტიტუტია და მისი გამოყენება, უპირველესად სახელმწიფოს პოლიტიკურ ნებასა და პროფესიონალ კადრებზეა დამოკიდებული - ეს კი ნამდვილად არაა მითი. საქართველოს არ შეუძლია გაეროს მიაღებინოს იმგვარი რეზოლუცია როგორიც მხოლოდ მას უნდა - ეს მრავალმხრივი დიპლომატიის აქსიომაა, მაგრამ მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს იმაში, რომ მიღებული გადაწყვეტილება მაქსიმალურად შეესაბამებოდეს მის ინტერესებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, როგორც ნებისმიერი სხვა პოლიტიკური ინსტრუმენტი მოწოდებულია მხოლოდ შექმნას შესაძლებლობები. თუ რამდენად იყენებს მას ესა თუ ის სახელმწიფო, ეს მეტწილად მის სურვილსა და მისწრაფებაზეა დამოკიდებული. გადაუხდელი საწევრო შენატანებითა და მაქსიმალურად შეზღუდული დიპლომატიური წარმომადგენლობით საქართველო თავის როლს ვერ შეასრულებს, რადგან პასუხისმგებლობა და პროფესიონალიზმია ის ცნებები, რაც მრავალმხრივ დიპლომატიაში წარმატებას განაპირობებს.

პასუხისმგებლობა და პროფესიონალიზმია ის საკითხები, რომლებიც დღეს გაეროს რეფორმირების წინადადებებს უდევს საფუძვლად. რეფორმები ჩვენთვის, საქარველოსათვის, მეტი შესაძლებლობების მიღების საშუალებაა და ამდენად დიდ ყურადღებას მოითხოვს. არის ცდუნება საქართველოს წვლილი კონცეპტუალურ საკითხებზე დისკუსიით შემოიფარგლოს - მეტი სუვერენიტეტი თუ მეტი ადამიანის უფლებები, თვითგამორკვევა თუ სუვერენიტეტი და ა.შ. ეს უდავოდ საინტერესო სფეროა, მაგრამ დღეს ჩვენი პრაგმატული ინტერესის საგანი უფრო კონკრეტული საკითხები უნდა იყოს - უშიშროების საბჭოს კომპოზიცია, გადასახადების შკალა და მისი დამუშავების კრიტერიუმები, სამშვიდობო ოპერაციების სტრუქტურის შეცვლა, განვითარების სააგენტოების გაერთიანება და მრავალი სხვა. ცალკე ყურადღების ღირსია სხვადასხვა რეგიონული ორგანიზაციებისა და ქვეყნების წინადადებები რეფორმასთან დაკავშირებით.

ამ საკითხების ფართო განხილვა, შესაბამისი ინფორმაციისა და პოზიციის მიწოდება გაეროს სისტემისათვის სახელმწიფო და სამოქალაქო ინსტიტუტების საშუალებით, კონსულტაციები ამა თუ იმ წინადადების სპონსორ მხარეებთან - სწორედ ესაა საერთაშორისო პოლიტიკაში მონაწილეობა, პასუხისმგებლობის აღება საერთო მომავალზე. სხვა თუ არაფერი, ესაა შესაძლებლობა ინფორმირებული ვიყოთ იმაზე თუ პოლიტიკის რა ცვლილებები მოხდება მომავალში და პრაქტიკული ზომები მივიღოთ საქართველოსათვის ნეგატიური შედეგების ასარიდებლად და პოზიტიურის მაქსიმალურად გამოსაყენებლად.

წინამდებარე პუბლიკაცია ზოგადად მიმოიხილავს გაეროს რეფორმირების პროცესსა და ძირითად წინადადებებს. იმედი გვაქვს, რომ ის სათავეს დაუდებს აქტიურ დისკუსიას ამ საკითხებზე და გადაწყვეტილების მიმღებთა ყურადღებას მიაპყრობს ამ საერთაშორისო პროცესს.

## გაეროს რეფორმა

40-იან წლებში ჩამოყალიბებული მშვიდობისა და უსაფრთხოების ახალი მექანიზმის საერთაშორისო ასპარეზზე გამოჩენას საზოგადოებაში ერთგვაროვანი გამოხმაურება არ მოჰყოლია. იმისდა მიუხედავად, რომ იგი მომავლისაკენ მომზირალი მილიონობით თვალისათვის იმედის ახალი მარცვალი გახდა, ბევრისათვის იგი საფუძველშივე განწირულ იდეად იქნა მონათლული. ბევრს არ სწამდა, რომ საერთაშორისო ურთიერთობიდან ომის, როგორც საგარეო პოლიტიკის საშუალების, ამოღება შესაძლებელი იქნებოდა. ბევრს დღესაც არ სჯერა ეს, მაგრამ უკვე 10 წელია გაერო ეძებს ახალ გააზრებას, ახალ გარემოსთან ადაპტაციის გზებს და არა საკუთარი არსებობის გამართლებას. იმისდა მიუხედავად, რომ იყვნენ და დღესაც არიან ისეთები, რომლებსაც მისი ეფექტურობისა არ სჯერათ, ამ ორ თაობას შორის მაინც არის ის 50 წელი, რომელმაც გაეროს არაერთი გამოცდა მოუწყო. შეფასება კი ერთგვაროვანი ნამდვილად ვერ იქნება. ერთნი აღნიშნავენ - გაერო რომ არ არსებულიყო, ღირდა მისი გამოგონება და გაერო უფრო მეტს წარმოადგენს, ვიდრე ამის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან ვგებულობთ.

და მაინც, რა არის მათთვის გაერო? — ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია; განვითარებადი ქვეყნებისათვის გამოყოფილი უამრავი გრანტი; დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერა; სამშვიდობო ოპერაციები; დეკოლონიზაციური მოძრაობის დაწყება და დასრულება; ჯანდაცვისა და განათლების გლობალური ღონისძიებები; საერთაშორისო სამართლის განვითარება და 20 მლნ-ზე მეტი ლტოლვილის დახმარება.

იმავდროულად, ბევრისათვის ეს მხოლოდ ორგანიზაციის არსებობის გამართლებისათვის აუცილებელი პროპაგანდაა. რას წარმოადგენს მათთვის გაერო? — წარუმატებელი საერთაშორისო ოპერაციები; უამრავი შიდა და სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტი; გაბერილი შტატი და გადაულახავი ბიუროკრატიული სისტემა; დღეს უშიშროების საბჭოს წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა XX საუკუნის მიწურულს არსებულ საერთაშორისო რეალობას უკვე ვერანაირად ველარ ასახავს. ეს კი ადექვატურად აირეკლება გადაწყვეტილებათა მიღებისა და მათი განხორციელების ფაზაში; თანხების არაეფექტური ფლანგვა განვითარებადი ქვეყნების ვითომდა მხარდაჭერაში მაშინ, როდესაც რეალურად უფსკრული ე.წ. „ჩრდილოეთსა" და „სამხრეთს" შორის სულ უფრო ღრმავდება და გაეროს ჰუმანიტარული მოღვაწეობა ამ ფონზე ერთჯერადი დახმარების ხასიათს ატარებს. ეს, ამ გლობალური პროცესის ფონზე ეფექტურად ვერ ჩაითვლება.

მრავალი ამბობს იმასაც, რომ საქართველოს მაგვარი მცირე ქვეყნისათვის გაეროს არაფრის მოტანა არ შეუძლია, რადგან გადაწყვეტილებების მიღება დიდი და ძლიერი სახელმწიფოების მიერ ხდება, ხოლო მცირე ქვეყნების როლი მხოლოდ სიმბოლურია.

პოზიციათა ეს ჭიდილი უსასრულოდ შეიძლება გავაგრძელოთ. დისკუსიაში ითქვა ისიც, რომ შესაძლებელია ფიქრი ახალი გლობალური ორგანიზაციის, მსოფლიო მთავრობის ინსტიტუტის შექმნაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია რამდენიმე გარემოება: პირველი - ახალი სისტემის ჩამოყალიბება წინ არ უნდა უსწრებდეს საერთაშორისო საზოგადოების განვითარების დონეს. ამგვარი პოლიტიკური რომანტიზმის სავალალო პრაქტიკულ მაგალითად ერთა ლიგაც კმარა. მეორე — აზრი არ ექნება გაეროს მსგავსი ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, რაც დაკავშირებული იქნება დროის, ადამიანური და ფინანსური რესურსების გაუმართლებელ ფლანგვასთან.

ამ საკითხზე დისკუსიაში ჩაბმულ მოდავე მხარეთა დიდი ნაწილი თანხმდება და ამ ეტაპზე ოპტიმალურ ვარიანტად მიიჩნევს ისევ და ისევ გაეროს, მხოლოდ განახლებული, რეფორმირებული და რეალობასთან ფეხაწყობილი სახით.

დღეს საუბარია ხვალინდელი დღის კონკრეტული პროგრამების განვითარებაზე, რაც გულისხმობს საპასუხისმგებლო და მმართველობითი სისტემების გაძლიერებასა და მოწესრიგებას, ბიუჯეტისა და შტატის შემცირებას, სამშვიდობო ოპერაციების ეფექტურობისა და ნაყოფიერების გაზრდას... რა საშუალებით უნდა განხორციელდეს ეს? რას მოუტანს რეფორმა საქართველოს მაგვარ სახელმწიფოებს და რა როლი ეკისრებათ მათ რეფორმის პროცესში? მოცემულ ნაშრომში შევეცდებით მოკლედ მიმოვიხილოთ მიმდინარე რეფორმის კონტურები და შეძლებისდაგვარად პასუხი გავცეთ ამ ორ კითხვას.

## გაეროს შეცდომები ჩვენი შეცდომებია, ხოლო წარმატებები ჩვენი წარმატებები

გაეროს რეფორმირებაზე საუბარი უპირველეს ყოვლისა ცვალებადი რეალობითა და მასზე საერთაშორისო რეაგირების აუცილებლობითაა ნაკარნახევი. როდესაც მთავრობები გაეროს რეფორმირებაზე მსჯელობენ, ისინი ცვლილებათა იმ პროცესზე საუბრობენ, რომელიც თავად სახელმწიფოებში და მათ თანამეგობრობაში მოხდა ან უნდა დაიწყოს.

გაერო ნახევარ საუკუნეზე მეტია არსებობს და მისდამი მესაკუთრული დამოკიდებულება არავის უნდა ჰქონდეს. გაეროს ქარტია მსოფლიოს ყველა ხალხის სახელით გამოცხადდა. შესაძლოა თქვან, რომ მსოფლიოს ხალხთა თანასწორი პასუხისმგებლობა უტოპიური ოცნებაა, მაგრამ ამ ფუძემდებლური პრინციპის გაეროს საფუძველში ჩადება დიდი სიმბოლური და პრაქტიკული მნიშვნელობის მატარებელი იყო. რეალურმა ცხოვრებამ ბუნებრივია კორექტივები შეიტანა და ასახა ძალთა რეალური ბალანსი. ჯერ კიდევ ცივი ომის მიმდინარეობისას მრავალი ახლადგანთავისუფლებული სახელმწიფოს აზრით გაერო მოსწყდა ყოველდღიურ ცხოვრებასა და სუპერსახელმწიფოთა ბატალიების არენად იქცა. ამგვარი კრიტიკა გაეროს მიმართ საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ რეალობაშიც ისმის.

ნაწილობრივ ეს კრიტიკა უდავოდ გამართლებულია. განვითარებადი ქვეყნები გენერალურ ასამბლეაში უმრავლესობას შეადგენენ, მაგრამ სამწუხაროდ გაეროს ეს ორგანო მხოლოდ რეკომენდაციული ხასიათის გადაწყვეტილებებს იღებს. „ახალ უმრავლესობას" არ შეუძლია გადაწონოს იმ უმცირესობის ხმა, რომლებსაც უშიშროების საბჭოსა და მსოფლიო ეკონომიკაში გადამწყვეტი ძალა აქვს. ისინი დღითიდღე კარგავენ იმედს, რომელიც მათ ორგანიზაციის დაარსებისას ჩაესახათ, რასაც ხელს გაეროს ბიუროკრატიული აპარატიც უწყობს. ეს ტენდენცია კოლონიების გათავისუფლების პროცესთან ერთად დაიწყო და განვითარდა. დღეს, როდესაც გაეროს აღმოსავლეთ ევროპის ახლადგათავისუფლებული ქვეყნები და საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკები შეუერთდნენ, როდესაც მრავალი ყოფილი კოლონია თუ მეორე მსოფლიო ომში დამარცხებული სახელმწიფო ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალას წარმოადგენს „სუპერსახელმწიფოთა" სისტემაზე დამყარებული გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმი კორექტირებას საჭიროებს.

როდესაც მთავრობები და ადამიანები გაეროს რეფორმირებაზე საუბრობენ, ისინი გულისხმობენ ცვლილებებს, რომლებიც თავად სახელმწიფოთა ქმედებაში უნდა შეიმჩნეოდეს. დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკა კი მართლაც მრავალი ახალი ტენდენციის მატარებელია. ეკონომიკურმა ურთიერთდამოკიდებულებამ და ბაზრის გაჯერებამ, მომსახურებაზე დამყარებულმა ეკონომიკურმა სისტემამ, ინფორმაციული ნაკადების აქსელერაციამ და გახსნილობამ გლობალიზაციის მძლავრ ტენდენციებს დაუდო საფუძველი. ადამიანის უფლებების პრიმატი და სამოქალაქო კონტროლის ზრდა, დემოკრატიული სისტემის გეოგრაფიული არეალის გაფართოება კი სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიკურ როლს უპრეცედენტოდ ზრდის. ლოგიკურად, სახელმწიფოებრივ ქცევაში, რაც სახელმწიფოს შიგნით გადაწვეტილების მიღების მექანიზმისა და სახელმწიფო პოლიტიკის ნაზავია, ინტერესთა არატრადიციული ჯგუფების (გლობალური კორპორაციები, არასამთავრობო და ადამიანის უფლებათა დაცვის მოძრაობები) წილიც იზრდება.

მეორე მხრივ, იგივე ტენდენციები მრავალ, ახალ გლობალურ და უნივერსალურ პრობლემას წარმოშობს, რომელთა რეგულირება შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმებით უკვე ველარ ხერხდება. ინფორმაციისა და ტექნოლოგიების გავრცელების ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები (ინტერნეტი, კლონირება და ასე შემდეგ), ადამიანის უფლებების დაცვა გლობალური არასახელმწიფოებრივი აქტორების (მაგალითად





საერთაშორისო კორპორაციების) მიერ - ეს უკვე დღევანდელი და ხვალინდელი დღის წესრიგია. სანამ საქართველოს მსგავსი ახალი სახელმწიფოები შიდა ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაციის პრობლემებს გადალახვაზე ზრუნავენ, ისინი შესაძლოა სრულიად დაუცველი აღმოჩდნენ ახალი ათასწლეულის პრობლემების წინაშე ჯანდაცვის, ეკოლოგიის, ენერგეტიკის, საერთაშორისო დამნაშავეობისა თუ სხვა სფეროებში. თუ გვინდა გაერო იმგვარად შეიცვალოს, რომ ამ პრობლემების გადაჭრაში დაგვეხმაროს, უნდა გაიზარდოს სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა ზოგადსაკაცობრიო პრობლემების გადაწყვეტაზე. გაეროს გაძლიერებაც სწორედ აქედან უნდა დაიწყოს.

გაერო ხშირად განიხილება, როგორც დამოუკიდებლად მოქმედი ერთობლიობა, რომლიც მხოლოდ საკუთარი თავის წინაშეა ანგარიშვალდებული, როგორც „ისინი" და არა „ჩვენ". თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გაერო არის „ჩვენ", რადგან ყოველი წევრი-სახელმწიფო წარმოდგენილია საკუთარი მთავრობის მიერ, რომლებიც თავის მხრივ ხალხის წინაშეა ანგარიშვალდებული. შესაბამისად მთავრობები, ისევე როგორც გაერო, გახსნილნი უნდა გახდნენ საერთაშორისო სამოქალაქო ინსტიტუტებისადმი და კერძოდ არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი. გვახსოვდეს, რომ გაერო არ ფლობს სუვერენიტეტს. მისი ნება, მოქმედება თუ რეფორმირება წევრი ერების განსასაზღვრია. გაეროს შეცდომები ჩვენი შეცდომებია, ხოლო წარმატებები ჩვენი წარმატებები. და რაც არ უნდა მცირე იყოს სახელმწიფო, მას ბევრ საკითხზე შეუძლია რეალური გავლენის მოხდენა თუნდაც იმით, რომ რეფორმირების პროცესში ნათლად წარმოაჩინოს საკუთარი მოთხოვნილებები.

გაეროს მართლაც აქვს წარმატებები. მათ შორისაა ცივი ომის პერიოდში კონფლიქტების შეჩერება, დეკოლონიზაცია, ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესება, საზღვაო სამართალის ჩამოყალიბება. ასევე, არაერთი გლობალური კონფერენცია ქალთა საკითხებიდან დაწყებული გარემოს დაცვით დასრულებული. გაეროს არაერთმა პროგრამამ და ორგანიზაციამ, მაგალითად გაეროს ბავშვთა ფონდმა (UNICEF) და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა (UNHCR) რეალურად დაამტკიცეს, რომ გაეროს შეუძლია წარმატების მიღწევა. საქართველოშიც გაერო რეალურად მოქმედებს შიდა კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგების მისაღწევად, ხოლო მისი ჰუმანიტარული და განვითარების სააგენტოები დაუცველი ფენების დახმარებასა და ეკონომიკური ტრანსფორმაციის წახალისებაზე მუშაობენ. ამ ორგანიზაციებმა ფასდაუდებელი სამუშაოები შეასრულეს და დაამტკიცეს, რომ თანამშრომლობა შესაძლებელია, თუმცა იგი შემდგომ მხარდაჭერას საჭიროებს.

გაეროს წარუმატებლობისათვის ბევრი მიზეზი არსებობდა. რაც შეეხება სისტემურ სისუსტეებს, არის მოსაზრება, რომ ბირთვული იარაღი და ცივი ომი გაეროსათვის ყველაზე დიდი ხელისშემშლელი პირობა აღმოჩნდა. ქარტია დამუშავდა და ხელი მოეწერა სან ფრანცისკოში, მაშინ როდესაც ატომური ბომბი მისგან ათასი მილის მოშორებით, ლოს ალამოსში, ნიუ-მექსიკო იშვა. სან ფრანცისკოში ძალიან ცოტამ თუ იცოდა ატომური ბომბის შესახებ, რომელიც პირველად ხიროსიმაში 1945 წლის 6 აგვისტოს აფეთქდა, ქარტიის ხელმოწერიდან 41 დღის შემდეგ. ამ ფაქტმა მსოფლიო წესრიგი რადიკალურად შეცვალა. გაეროს დაარსებიდან პირველი ხუთი წლის განმავლობაში ბირთვული იარაღით გამალებული შეიარაღება მიმდინარეობდა.

ცივმა ომმა ქარტიაში ჩადებული თითქმის მრავალი პრინციპი შეარყია და დაასუსტა. დამფუძნებელმა სახელმწიფოებმა გაეროს ქარტია ტოლერანტობაზე, ერთა მშვიდობიან თანაარსებობაზე, კეთილმეზობლობაზე, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტიებზე ააგეს. ცივი ომის პერიოდში სახელმწიფოებმა თითქმის ყველა დასახული მიზნის უარყოფა მოახერხეს და ამით, მათ მიერვე შემუშავებულ პრინციპებს გადაუხვიეს.

თუმცა არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომ გაერო, და განსაკუთრებით უშიშროების საბჭო, ცივი ომის პირმშოა და ობიექტურად სწორედ ამ პირობებში ეფექტურად მუშაობის შესაძლებლობამ აგვაცილა თავიდან ატომური დაზამთრების პერსპექტივა.

გაეროს ქარტია თავისი დროის ანაბეჭდს ატარებს და ნახევარი საუკუნის შემდეგ ახალ დროსთან ადაპტაციას საჭიროებს. დღეს, როდესაც ცივი ომი უკვე გასული საუკუნის ისტორიაა მოვიდა საერთაშორისო პოლიტიკური ფორუმის რეფორმირების დროც. გაეროს რეფორმა ქარტიის პრინციპების გადახედვას არ გულისხმობს. მისი მიზანია დახვეწოს ის მექანიზმი, რომელიც ამ პრინციპების დანერგვას უზრუნველყოფს. გაეროს რეფორმა მრავალმხრივი გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმის რეფორმაა და ზემოთ აღნიშნული ტენდენციების გათვალისწინებით ის უთუოდ გულისხმობს მცირე სახელმწიფოებისათვის საერთაშორისო პროცესებში მონაწილეობის მიღების მეტ შესაძლებლობას. ამავე დროს, ის მათი მხრიდან მეტ პასუხისმგებლობას, საერთო პრობლემების უკეთ გაანალიზებას მოითხოვს.

დღეს რეალური შესაძლებლობები გვაქვს წარსულის შეცდომების გამოსასწორებლად და თანამედროვე მსოფლიოს ახალი პრობლემების გამოწვევის საპასუხოდ. გლობალური მმართველობის გაუმჯობესება მხოლოდ სერიოზული რეფორმების პროცესითაა შესაძლებელი.

## გენერალური მდივანი კოფი ანანი - ახალი ძალა გაეროს რეფორმაში

გაეროს რეფორმირების მოთხოვნილება ათი წლის წინათ წარმოიშვა, როდესაც „ცივი ომის" დასასრულმა სახელმწიფოებს, რეგიონებსა და პოლიტიკურ ბლოკებს შორის ურთიერთობა რადიკალურად შეცვალა. კოფი ანანმა არჩევისთანავე რეფორმის პროგრამა წამოიწყო და მასში გენერალური ასამბლეაც ჩართო. რეფორმის პროგრამის განხორციელება უშუალოდ წევრი-სახელმწიფოების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. ამიტომაც რეფორმის წარმატებული განხორციელებისათვის გენერალურმა მდივანმა სახელმწიფოებს რეფორმის გატარების აუცილებლობა უნდა დაუმტკიცოს.

სანამ კოფი ანანი ორგანიზაციული ხარჯებისა და შტატის შემცირებას დაიწყებდა, მანამდე გაეროსათვის უმნიშვნელოვანეს სფეროებში, როგორებიცაა, ადამიანის უფლებების დაცვა, ჰუმანიტარული დახმარება, მდგრადი განვითარება და ნარკოტიკების კონტრაბანდასა და დამნაშავეობასთან ბრძოლა, ხელმძღვანელ პოსტებზე ახალი და ყველასათვის ცნობილი ადამიანები დანიშნა. ამის მიზანი ორგანიზაციის მუშაობის ეფექტურობის გაზრდა იყო.

კოფი ანანის ყოველი მოქმედება გაეროს გაძლიერებისაკენ და წევრ-სახელმწიფოებსა და საერთოდ საზოგადოების თვალში მისი როლის განმტკიცებისაკენ არის მიმართული. გენერალური მდივნის პიროვნული თვისებები და მისი მეგობრული დამოკიდებულება მსოფლიოს ბევრ წამყვან პოლიტიკოსთან რეფორმების წარმატების წინაპირობად უნდა იქცეს.

### რეფორმა და სამშვიდობო ოპერაციები

რეფორმის მნიშვნელოვან ნაწილს განეკუთვნება მშვიდობისა და უსაფრთხოების სფეროში გაეროს მომავალი როლის განსაზღვრა. სომალიში, რუანდაში და ყოფილ იუგოსლავიაში მწარე გამოცდილებამ დაღი უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებსაც დაასვა. უშიშროების საბჭო ახალ სამშვიდობო ოპერაციებზე რეზოლუციების მიღებისას ინდიფერენტული გახდა, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში წარმოქმნილი კრიზისების პერიოდში გაეროსაგან სწრაფ რეაგირებას მოელიან. კოფი ანანის გეგმებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა სწრაფი რეაგირების ჯარის შექმნა, რომელშიც გადამწყვეტი სიტყვა წევრ-სახელმწიფოებს ეკუთვნით. ამ მიზნის განხორციელება გაეროს მისიის შესრულებისას მნიშვნელოვნად დაეხმარება, რაც წარმატებით განხორციელების შემთხვევაში მშვიდობის შენარჩუნების გარანტი იქნება.

გენერალურმა მდივანმა კონფლიქტების გადაწყვეტისათვის აქტიური კამპანია გააჩაღა და მივიწყებული კონფლიქტებიც გაიხსენა. იგი კონფლიქტურ ქვეყნებს სპეციალური ვიზიტებით ესტუმრა და მათი გადაწყვეტის დაჩქარებაში აქტიურად ჩაება. 1998 წელს კოფი ანანი შეეცადა დავიწყებული კონფლიქტების შესახებ საუბრითა და სამშვიდობო პროცესის განახლებით გაეროს სამშვიდობო მისიისათვის ახალი სული შთაებერა. ასეთ კონფლიქტებს განეკუთვნება დასავლეთი საჰარა (სადაც აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა და გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს ბეიკერმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია), აღმოსავლეთ ტიმორი, კვიპროსი, ტაჯიკეთი, ავღანეთი და ანგოლა. გენერალური მდივანი პირადად ესტუმრა ანგოლაში ოპოზიციურ დაჯგუფება „უნიტას" და ისინი ეროვნული მთლიანობის ახალ მთავრობაში შესვლის აუცილებლობაში დაარწმუნა.

1998 წლის ნოემბერში გენერალური მდივანი ერაყს ესტუმრა და შეეცადა ერაყს „ნავთობის-საკვებზე გაცვლის პროგრამა" განეახლებინა და ამით დასავლეთის სამხედრო ძალებისაგან დაბომბვა აეცილებინა.

გაეროს სამშვიდობო ოპერაციებმა არჩევნების წარმატებული მონიტორინგი ჩაატარა ლიბერიაში და აღმოსავლეთ სლავონიაში (ხორვატია), სადაც გაერომ თავისი დროებითი ადმინისტრაცია ახალ ადგილობრივ მმართველობით ორგანოს გადააბარა. გაერომ ასევე წარმატებით დაასრულა სამშვიდობო ოპერაცია ჰაიტიზე, სადაც ოპერაციის ჩატარების შემდეგ მხოლოდ მცირე კონტიგენტი დარჩა, ქვეყნის ახალი დემოკრატიული ინსტიტუტებისათვის საერთაშორისო დახმარების მიზნით.

გენერალური მდივანი საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეში განსაკუთრებულ როლს განიარაღების საკითხს აქცევს. გენერალური ასამბლეა მიესალმა გენერალური მდივნის გადაწყვეტილებას გაეროს სამდივნოში განიარაღების საქმეების დეპარტამენტის შექმნის შესახებ. კოფი ანანის განცხადებით, განიარაღება არა მარტო მასობრივი განადგურების იარაღს, არამედ ჩვეულებრივი იარაღის შემცირებასაც უნდა გულისხმობდეს. ამ სფეროში წარმატების მიღწევისათვის გენერალური მდივანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას სახელმწიფოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთნ ურთიერთობას ანიჭებს.

დღეს უკვე მსოფლიოს .მრავალ რეგიონში არასამთავრობო ორგანიზაციები ჰუმანიტარული კრიზისების გადაწყვეტაში აქტიურად არიან ჩაბმული. ისინი გაეროს პარტნიორებად მოიაზრებიან. 1999 წლის ნოემბრიდან საქართველოს 7 ათასამდე ჩეჩენმა ლტოლვილმა შეაფარა თავი. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა საველე ოფისი ახმეტის რაიონში იმავე წლის ნოემბერში გახსნა და ლტოლვილების დახმარება დაიწყო. მათ ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობასა და ლტოლვილთა დახმარების პროცესში ადგილობრივი არასამთავრობო



ბიულეტენი №39 ივლისი 2000 წ.

ორგანიზაციები ეხმარება.

უკანასკნელი წლების განმავლობაში გაეროს სააგენტოები, როგორებიცაა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, გაეროს ბავშვთა ფონდი და გაეროს სასურსათო პროგრამა არასამთავრობო ორგანიზაციებთან აქტიურად თანამშრომლობენ. მათი თანამშრომლობის შედეგად კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ერაყში, დიდი ტბების რეგიონში, აფრიკაში და სხვაგან ათასობით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანს აღმოუჩინეს დახმარება.

### ადამიანის უფლებების დაცვა.

დიდი ტბების რეგიონში დაუსრულებელმა კრიზისმა სამოქალაქო კონფლიქტების, ჰუმანიტარული კატასროფებისა და ადამიანის უფლებათა დარღვევების პრობლემას ხაზი გაუსვა. პრობლემები შეიქმნა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოძიების პროცესში. საერთაშორისო საზოგადოების უსუსურობამ ალჟირში გამეფებული ტერორიზმის წინაშე, გაეროს უჩვენა ის სფერო, რომელშიც მან უფრო აქტიურად უნდა იმუშაოს.

გენერალურმა მდივანმა ადამიანის უფლებების დაცვასა და ამ სფეროში გაეროს მანდატის მხარდაჭერისათვის არაერთი ინიციატივა წამოაყენა. იგი მუდმივად საუბრობდა ალჟირში უდანაშაულო ადამიანთა მასობრივი მკვლელობების შესახებ. აფრიკული ერთობის ორგანიზაციის ყოველწლიურ სამიტზე გამოსვლისას გენერალურმა მდივანმა აფრიკულ ქვეყანათა ლიდერების წინაშე განაცხადა, რომ „ადამიანის უფლებები აფრიკელთა უფლებებია და არა დასავლეთის მიერ მომზადებული შეთქმულება". კოფი ანანმა თავის ერთ-ერთი პირველი ქმედებით ადამიანის უფლებების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა და იგი გაეროს მოღვაწეობის მთავარ პრიორიტეტად დაასახელა.

### რეფორმები და კონსენსუსი.

კოფი ანანის მიერ გაეროს რეფორმირებაზე მიღწეული კონსენსუსი თავად ახალი გენერალური მდივნის შესაძლებლობებზე მეტყველებს. კოფი ანანის რეფორმატორული განწყობილება სწორედ მაშინ გამოვლინდა, როდესაც იგი გენერალური მდივნის პოსტზე აირჩიეს. 1998 წლის მარტში კოფი ანანმა თავისი ფართომასშტაბიანი რეფორმები სამდივნოთი დაიწყო.

პირველივე დღიდან კოფი ანანმა მიზნად დაისახა ძალიან მოკლე დროში შტატის 10%-ით შემცირება, განვითარების პროგრამების სასარგებლოდ ადმინისტრაციული ხარჯების შეკვეცა. გენერალურმა მდივანმა ასევე გააერთიანა სამი დეპარტამენტი, რომლებიც სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე მუშაობდა. გარდა ამისა, დაისახა სხვა ღონისძიებებიც, რომლებიც ზოგიერთი დეპარტამენტის გაერთიანებასა და გაეროს დეპარტამენტების მიერ სამუშაოს კოპირების თავიდან აცილებას ითვალისწინებდა. გენერალურმა მდივანმა გაეროს 30 სააგენტო 4 ჯგუფში გააერთიანა: მშვიდობა და უსაფრთხოება, ეკონომიკური და სოციალური საკითხები, განვითარების ოპერაციები და ჰუმანიტარული საქმეები.

გენერალური მდივნის მიერ 1998 წლის მარტში შემოთავაზებული რეფორმა იმავე წლის 12 ნოემბერს გენერალურმა ასამბლეამ მოიწონა. კოფი ანანის შემოთავაზებულ რეფორმათა პაკეტში შედიოდა:

- ეკონომიკისა და სოციალური საკითხების დეპარტამენტის შექმნა, რომელიც ამ სფეროში სამდივნოს საქმიანობას გაუწევს კონსოლიდაციას;
- ვენაში დაფუძნებული დამნაშავეობასთან, ფულის გათეთრების, ნარკოტიკებით კონტრაბანდისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამების ერთ ოფისში გაერთიანება და მის ხელმძღვანელად აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა;
- ჟენევაში ადამიანის უფლებებზე არსებული პროგრამების ერთ ოფისში გაერთიანება და მის ხელმძღვანელად ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის დანიშვნა;
- ჰუმანიტარული დახმარების სამდივნოს ორგანოს რესტრუქტურირება, რომელსაც საგანგებო დახმარების კოორდინატორი უხელმძღვანელებს;
- განვითარების ოპერაციებზე მომუშავე გაეროს ფონდებისა და პროგრამების გაერთიანება გაეროს განვითარების ჯგუფში საერთო მიზნების უკეთ განხორციელებისათვის;
- სახელმწიფოთა დონეზე გაეროს სხვადასხვა ფონდებისა და პროგრამების ერთ „გაეროს სახლში" გაერთიანება რეზიდენტ-კოორდინატორის ხელმძღვანელობით;
- განიარაღების საკითხებზე მომუშავე განიარაღების საქმეთა დეპარტამენტის შექმნა;
- პოსტკონფლიქტური მშვიდობის მშენებლობის განმტკიცება გაეროში პოლიტიკურ საკითხთა დეპარტამენტის როლის გაძლიერებით;
- უახლოესი 4 წლის განმავლობაში ადმინისტრაციული ხარჯების 200 მლნ დოლარით შემცირება;
- გაეროს ადმინისტრაციის გადახალისება მომსახურების სერვისისა და ელექტრონული ქსელის გაუმჯობესებით. საერთო სერვისის ჩამოყალიბება ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ტელეკომუნიკაციური ინფრასტრუქტურის განსავითარებლად და დოკუმენტების ელექტრონული ფორმით გამოყენების გავრცელება;
- გაეროსა და სამოქალაქო საზოგადოებას - საქმიანი სამყარო, პროფკავშირები, არასამთავრობო ორგანიზაციები, აკადემიური წრე - შორის კონსულტაციებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობისათვის ინიციატივების შემუშავება;

• გაეროს შესაძლებლობების გაზრდისათვის საინფორმაციო საქმიანობის გააქტიურება, საზოგადოებისა და განსაკუთრებით ცალკეული სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის გაეროს როლის ნათლად გაგებისა და მისი საქმიანობის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღების მიზნით.

შემდგომ თვეებში გაეროს გენერალურმა მდივანმა გენერალური ასამბლეის პრეზიდენტის გენადი უდოვენკოსთან ახლო თანამშრომლობით მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცენტრი მოიარა. კოფი ანანმა შეხვედრები გამართა გაეროს წევრ-სახელმწიფოებთან და მნიშვნელოვან რეგიონულ და თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან (ევროპის კავშირი, ჯგუფი 77, მიუმხრობლობის მოძრაობა) გაეროს რეფორმის მისეული გეგმის ასახსნელად. სახელმწიფოებმა და რეგიონულმა ორგანიზაციებმა გაეროს რეფორმის გეგმის შესახებ გენერალურ მდივანს თავისი მოსაზრებები გააცნეს და ყველა მათგანმა რეფორმის გარკვეულ პუნქტებზე საკუთარი დათქმები გააკეთა.

კოფი ანანისა და გენადი უდოვენკოს აქტიურმა დიპლომატიამ სასურველი შედეგი გამოიღო, რაც გენერალური ასამბლეის მიერ ნოემბერსა და დეკემბერში ორი რეზოლუციის მიღებაში გამოიხატა. რეზოლუციები კონსენსუსის შედეგად იყო მიღებული, რაც რეფორმების შემდგომი განხორციელებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. ამ რეზოლუციების მიღების შემდეგ კოფი ანანმა ასამბლეაში განაცხადა, რომ „ჩვენ ყველანაირი უფლება გვაქვს ამ მიღწევით ვიამაყოთ“.

„ეს რეზოლუციები გაეროს მიერ საკუთარი სისტემის რეფორმის შესაძლებლობის დადასტურებაა, ეს რეფორმები იმ ფუნდამენტური ღონისძიებების გატარებას გულისხმობს, რომლებმაც ორგანიზაცია უნდა გააძლიერონ და მისი ეფექტურობა გაზარდონ“ - განაცხადა გენადი უდოვენკომ. მისი აზრით, რეზოლუციებმა დაამტკიცეს, რომ ორგანიზაციას და განსაკუთრებით გენერალურ ასამბლეას ძალუძს ცვალებად საერთაშორისო გარემოს ალღო აუღოს, ახალ გამოწვევებს ადექვატურად უპასუხოს და ორგანიზაციის საქმიანობა წარმატებით განახორციელოს. უდოვენკოს თქმით, რეზოლუციების მიღება დანარჩენი მსოფლიოსა და საერთოდ საზოგადოებისათვის პოზიტიური მოვლენა იყო. იგი აძლიერებს ორგანიზაციის როლს და ქარტიის მიხედვით განსაზღვრული ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში მის შესაძლებლობას ზრდის.

გენერალურმა ასამბლეამ გენერალურ მდივანს ასევე სთხოვა ზოგიერთ სფეროში რეფორმა კიდევ უფრო განევითარებინა. ამ სფეროებს განეკუთვნება:

• სამეურვეო საბჭოს ახალი კონცეფციის ჩამოყალიბება. რადგან, გაეროს მიერ 50 წლის წინათ შექმნილი სამეურვეო საბჭოს მეურვეობაში მყოფი სახელმწიფოებიდან ზოგიერთმა დამოუკიდებლობის მოპოვება მოახერხა, ზოგიერთმა კი უკვე არსებულ სახელმწიფოებში ინტეგრაცია შეძლო. შედეგად სამეურვეო საბჭო გადახალისებასა და ფუნქციის შეცვლას საჭიროებს;

• სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის მილენიუმის ასამბლეის მოწვევა ხალხთა მილენიუმის ასამბლეასთან ერთად;

• მინისტრების დონეზე სპეციალური კომისიის შექმნა, რომელიც ორგანიზაციისა და გაეროს სისტემის სპეციალიზებულ სააგენტოებს შორის არსებულ კონსტიტუციური ურთიერთობების შესაძლო ცვლილებებს განიხილავს;

• გაეროს ფინანსების გაძლიერებისათვის საკრედიტო ფონდის შექმნა და „შედეგებზე ორიენტირებული“ ახალი საბიუჯეტო სისტემის ჩამოყალიბება;

• დროითი შეზღუდვების შემოღება გენერალური ასამბლეის მიერ პროგრამების განხილვაზე.

ასამბლეამ რეფორმებისადმი თავისი მხარდაჭერით „რეფორმატორული ასამბლეის“ სახელი მიიღო. თუმცა, რამდენიმე უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი გადასაწყვეტი დარჩა. ასამბლეის მიერ შექმნილმა სამუშაო ჯგუფებმა ჯერ კიდევ უნდა წარმოადგინონ რეკომენდაციები, მათ შორის, უშიშროების საბჭოს რეფორმის შესახებ მოსაზრებები. სრული კონსენსუსი არ არის ჯერ მიღწეული საბიუჯეტო გადასახადების შკალაზე.

გენერალურმა ასამბლეამ 1998 წლის 19 დეკემბერს მოიწონა გენერალური მდივნის მიერ ივლისში შემოთავაზებული რეფორმათა პაკეტი. გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებული რეფორმები შეიცავს შემდეგ წინადადებებს:

• გენერალური მდივნის მოადგილის პოსტის შემოღება, რომელიც გაეროს სამდივნოს ოპერაციებს გაუძღვება და სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში გაეროს მონაწილეობასა და ავტორიტეტს გაზრდის;

• მშვიდობისა და უსაფრთხოების სფეროში გენერალური მდივნისა და უშიშროების საბჭოს ძალისხმევის მხარდაჭერა, კონფლიქტების შეკავებასა და ორგანიზაციის მიერ ინფორმაციის შეგროვებისა და სამშვიდობო ძალების სწრაფი გადაგზავნის შესაძლებლობა გაზრდაში;

• ადმინისტრაციული რეფორმით დაზოგილი თანხებით განვითარების პროგრამების დაფინანსებისათვის ანგარიშის გახსნა;

• სამთავრობათშორისო ორგანოების მუშაობის ხელშეწყობა;

• სამდივნოს ახალი ხელმძღვანელობისა და მართვის სტრუქტურის წახალისება;

• სამდივნოს მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების პოლიტიკის მხარდაჭერა;

გენერალური მდივნის ზოგიერთი წინადადება კი გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით შემდგომ დამუშავებას საჭიროებს:

• გენერალურმა ასამბლეამ გენერალურ



ბიულეტენი №39 ივლისი 2000 წ.

მდივანს სთხოვა განევითარებინა მისი რეკომენდაციები 2000 წელს დაგეგმილ „მილენიუმის გენერალური ასამბლეასა“ და „ხალხთა მილენიუმის ასამბლეასთან“ დაკავშირებით, რომელსაც გაეროსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის მსოფლიოს წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტაზე თანამშრომლობის განვითარებისათვის ხელი უნდა შეეწყო;

• გენერალური ასამბლეა ჯერაც განიხილავს UNDP/UNFPA და გაეროს ბავშთა ფონდის აღმასრულებელ საბჭოებს შორის ახლო თანამშრომლობის შესაძლებლობებს, რათა ორგანიზაციებმა საერთო პრობლემებზე ერთობლივად იმუშავონ;

• გადასაწყვეტია განახლებადი საკრედიტო ფონდის შექმნის საკითხიც;

• გადაუწყვეტელია ასევე მაღალი დონის კომისიის შექმნა, რომელმაც გაეროსა და მის სპეციალიზებულ სააგენტოებს შორის ურთიერთობის საკითხები უნდა განიხილოს;

• გენერალურმა ასამბლეამ ასევე უნდა გადაწყვიტოს, გადახედოს თუ არა ეკოსოკმა 5 რეგიონული კომისიის ფუნქციას მათი მუშაობის შემდგომი რაციონალიზებისა და კონსოლიდაციისათვის.

გენერალური მდივნის მიერ შემოთავაზებული რეფორმის პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი უკავია იმ ღონისძიებებს, რომლებიც ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სფეროს ეხება. გენერალური მდივანი ამ სფეროში გაეროს როლის გაზრდას მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რადგან საერთაშორისო თანამეგობრობა გაეროსაგან აქტიურობას და ლიდერობას სწორედ კაცობრიობისათვის ამ კრიტიკულ სფეროებში მოელის. რიგი ღონისძიებებისა ამ მიზნების მისაღწევად გენერალურმა მდივანმა უკვე განახორციელა:

• ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებისათვის გამოყოფილი რესურსებიდან ადმინისტრაციული ხარჯების დაზოგვის შედეგად გამოათავისუფლა 200 მლნ დოლარი პროგრამული საქმიანობისათვის;

• შეიქმნა დაფინანსების განვითარების ოფისი, რომელსაც გენერალური მდივნის მოადგილე მეთვალყურეობს და მას განვითარების პროგრამებისათვის ახალი და დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება ევალება;

• გენერალურმა მდივანმა წამოაყენა წინადადება შეიქმნას განვთარების პროგრამების განხორციელებისათვის ახალი მრავალწლიანი დაფინანსების პროგრამა, რაც პროგრამების განხორციელებას უფრო პროგნოზირებადს გახდის;

• უნდა შეიცვალოს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ორგანიზაციული და სამუშაო მეთოდები, მკვეთრად უნდა გამოიყოს მათზე დაქვემდებარებული ორგანოების ფუნქციები, რათა საბჭოს ეფექტურობა გაიზარდოსს;

• შეიქმნა განვითარების ჯგუფი, რომელიც UNDP-ის, UNICEF-ისა და UNFPA-ის მიერ განხორციელებულ პოლიტიკასა და პროგრამების კოორდინაციას შეუწყობს ხელს;

• შეიმუშავეს სახელმწიფოს დონეზე გაეროს ოფისებისა და პროგრამების „გაეროს სახლში“ გაერთიანების წინადადება;

• სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე მომუშავე უკვე არსებული სამი დეპარტამენტი ერთ ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტში გაერთიანდა. შედეგად ამ ყველაზე კრიტიკულ სფეროში არსებული ინფორმაცია ერთ ადგილას იყრის თავს და, შესაბამისად, სასურველი გადაწყვეტილების მიღების პროცესიც გამარტივდა;

• ნარკოტიკებით ვაჭრობისა და ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერებისათვის რამდენიმე ცალკე პროგრამა გაერთიანდა ნარკოტიკების კონტროლისა და დამნაშავეობის პრევენციის ოფისში.

გაეროს გენერალურ მდივანსა და წევრსახელმწიფოებს შორის თანამშრომლობაში არსებული სამუშაო ატმოსფერო რეფორმების წარმატებული განხორციელების გარანტად უნდა იქცეს. გენერალური ასამბლეის მიერ ნოემბერსა და დეკემბერში გენერალური მდივნის პროგრამის მხარდაჭერა კი, რეფორმების გაგრძელებისა და XXI საუკუნისთვის ორგანიზაციის ახალი სახის შექმნის წინაპირობა უნდა გახდეს.

## გლობალური მმართველობის კომისია

1995 წლის დასაწყისში გაეროს მაშინდელმა გენერალურმა მდივანმა ბუტროს ბუტროს გალიმ გაეროს სისტემაში შემავალი სხვადასხვა ორგანიზაციების ყველა აღმასრულებელი ხელმძღვანელი გაეროს მომავალზე შეხედულებების გასაზიარებლად შეკრიბა. შეხვედრა ვენაში, ავსტრია, ჰაბსბურგთა სასახლეში გაიმართა.

შეხვედრაში მონაწილეობდა გლობალური მმართველობის კომისიის თავმჯდომარე შრიდატ რამფალი, გერმანიის პრეზიდენტი რიხარდ ფონ ვაიცზეკერი, რომელიც ასევე გაეროს მომავალზე იელი/ფორდის დამოუკიდებელი სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარე იყო და სამხრეთის ცენტრის თავმჯდომარე იულიუს ნერერე, რომელიც საერთაშორისო საკითხებს განვითარებადი სახელმწიფოების პერსპექტივებიდან განიხილავს.

შეხვედრა ბუტროს გალის პირადი დამსახურებაა. შეხვედრამ აჩვენა, რომ რეფორმა არ იქნება ადვილი, თუ იგი სისტემის შიგნიდან არ დაიწყება. ამის მიზეზი მარტივია: გაერო არ არის მესამე მხარე, რომელიც წევრი-სახელმწიფოებისაგან განცალკევებულია. იგი არ არის სამდივნოებისა და სააგენტოების ხელმძღვანელებად დანიშნული ოფიციალური პირების

საკუთრება. გაერო ეკუთვნის მის წევრებს - მისი ყველა სარგებელით, პრობლემებითა და პასუხისმგებლობით.

თუ გაერო წარუმატებლობას განიცდის, თუ კორუფცია მძვინვარებს, ეს გაეროს „მესაკუთრეების“ - 188 წევრი სახელმწიფოს და განსაკუთრებით უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების, პასუხისმგებლობაა.

გაეროს გენერალური მდივანი და გაეროს სხვა სააგენტოებისა და პროგრამების აღმასრულებელი ხელმძღვანელები ფლობენ მართვის სადავეებს და მათ ბევრი სასარგებლო ორგანიზაციული რეფორმის გატარება შეუძლიათ, მაგრამ მათი შესაძლებლობები შეზღუდულია. მხოლოდ მთავრობებს, როგორც გაეროს წევრებს შეუძლიათ საკუთარ თავზე აიღონ საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმების განახლება და ახალი მსოფლიო წესრიგის კონტურების მოხაზვა.

გლობალური მმართველობის კომისიის მიერ შემოთავაზებული რეფორმების უმრავლესობა შეიძლება ქარტიის ცვლილების გარეშე მოხდეს.

გაეროზე საუბრისას ყველაზე დიდი მნიშვნელობა უსაფრთხოების სფეროში მის როლს ექცევა. დღეს უკვე კოლექტიური უსაფრთხოების სისტემაზე უფრო მნიშვნელოვანია ლოკალური და შიდა კონფლიქტების შეკავება ან გადაწყვეტა. სხვა მთავარი საჭიროება ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერაა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ქარტიის მიზანი, რომელიც სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების უკეთესი სტანდარტის შექმნას ეხება. საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციები და მსოფლიო ხალხების მდგომარეობის გაუმჯობესება, ცალკეული სახელმწიფოების შესაძლებლობებს აღემატება. გაერო, რომ არ არსებობდეს ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი გახდება გაეროს მსგავსი ორგანიზაციის შექმნა.

თანამედროვე მსოფლიოში მრავლად არის ისეთი პრობლემები, რომლებიც ერთი ქვეყნის საზღვრებში არ ეტევა და ცალკეულ სახელმწიფოებს მათი დამოუკიდელად გადაწყვეტა არ შეუძლიათ. ასეთი პრობლემებია: ტერორიზმთან და ნარკოტიკების კონტრაბანდასთან ბრძოლა, იარაღით ვაჭრობის რეგულირება, მათ შორის ბირთვული და ქიმიური იარაღის კონტროლი, ასევე გლობალური სამედიცინო პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლა და გარემოს დაცვითი საკითხები (დაწყებული გლობალური დათბობით და წყლის რესურსების გამოყენებით დასრულებული).

მნიშვნელოვანი ტენდენციაა გაეროს ზოგიერთი სააგენტოს ფუნქციების გადანაწილება რეგიონული ორგანიზაციებისათვის. პასუხისმგებლობის გადაცემამ უფრო დაბალ დონეზე თავისი ეფექტურობა ევროპის კავშირის მაგალითზე დაადასტურა. ეს სისტემა შეიძლება გლობალურ დონეზეც წარმატებული აღმოჩნდეს. ყველაფრის მიუხედავად, მრავლად არის ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაშიც გაეროს ცენტრალური როლი გააჩნია. გარდა ამისა, მთავრობებისთვის დიდი ღირებულება აქვს ისეთი დაწესებულების არსებობას, რომელიც შეაგროვებს და ანალიზს გაუკეთებს ინფორმაციას, ასევე გამოყოფს მსოფლიოსათვის ახალ პრობლემატურ საკითხებს.

გლობალური მმართველობის კომისიამ დიდი ყურადღება მიაქცია ორგანიზაციის განსაკუთრებულ როლს ადამიანის უფლებების დაცვასა და დემოკრატიული ღირებულებებისა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერაში.

გაეროს ამ უფლებების ლეგიტიმურობა და ძალა გამომდინარეობს გაეროს უნივერსალური ხასიათისა და ქარტიიდან. თუმცა, არც ერთი მათგანი არ შეიძლება გამოვიყენოთ ცენტრალური მთავრობისა თუ მსოფლიო მთავრობის ნებისმიერი ფორმის სასრგებლო არგუმენტად. გაეროს როლია მთავრობები თანამშრომლობისათვის მსოფლიო ფორუმით უზრუნველყოს.

## გლობალური მმართველობის რესტრუქტურიზაცია

1998 წლის 14 ივლისს გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა გამოაქვეყნა მორის სტრონგის გაეროს რეფორმის გეგმა. 95 გვერდიანი დოკუმენტის სახელია „გაეროს განახლება: რეფორმების პროგრამა.“ ის იმ რეკომენდაციების პრაქტიკული გამოხატულებაა, რომელიც 1995 წელს გაეროს მიერ ჩამოყალიბებულმა „გლობალური მმართველობის კომისიამ“ თავის ანგარიშში: „ჩვენი გლობალური საზოგადოება“ წარმოადგინა. რეფორმების გეგმა არავისთვის იყო მოულოდნელი. მორის სტრონგი ამ კომისიის წევრი და მისი ანგარიშის თანაავტორი იყო. კოფი ანანის დანიშვნისთანავე მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა უმაღლესი პოსტი დაიკავა და, როგორც რეფორმების აღმასრულებელი კოორდინატორი, უფლებამოსილი გახდა გაეროს სისტემის რეფორმირება რეალურად დაეწყო, რაც ორგანიზაციის გლობალური მმართველობის მექანიზმად გადაქცევას გულისხმობდა.

რეფორმების გეგმას აშშ დიდი ენთუზიაზმით შეხვდა. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ახალი გენერალური მდივნის ინიციატივამ, გაეროს გაბერილი ბიუროკრატიული აპარატის სერიოზული შემცირების შესახებ. კოფი ანანმა პირობა დადო, რომ 1000 თანამშრომელს შეამცირებდა და ორგანიზაციულ ხარჯებს საერთო ბიუჯეტის 38%-დან 25%-მდე დაიყვანდა. სტრუქტურულ ცვლილებებს ძალიან მცირე ყურადღება ჰქონდა დათმობილი და რჩება შთაბეჭდილება, თითქოს რეფორმები მარტო შტატისა და ხარჯების შემცირებას ითვალისწინებს. თუმცა, რეალურად რეფორმის მიზანია გაერო ცვალებადი მსოფლიოს ადექვატური გახადოს.

გაერო დაარსების დღიდან წევრ-სახელმწიფოების ინტერესებს ემსახურებოდა. დღეს უკვე შეიცვალა მსოფლიო და გაერო ცდილობს მეტი ყურადღება არა ცალკეულ სახელმწიფოთა, არამედ ამ სახელმწიფოებში მცხოვრები მოქალაქეების ინტერესების დაცვას დაუთმოს. ადამიანის უფლებების დაცვა სცდება სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ფარგლებს და ადგილს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებულებად იმკვიდრებს.

გაეროს რეფორმათა პაკეტი სიტყვა „უსაფრთხოების“ გაგების ევოლუციაში საბოლოო ნაბიჯია. გაეროს ქარტია „კოლექტიურ უსაფრთხოებას“ განიხილავს, როგორც სახელმწიფოთა შორის შეთანხმებას არ გამოიყენონ ძალა ერთმანეთის წინააღმდეგ და ერთმანეთი უცხო ძალის შემოტევისგან დაიცვან. 1980-იან წლებში კოლექტიური უსაფრთხოება „მრავალმხრივ უსაფრთხოებაში“ გადაიზარდა. იგი განიარაღებას, დემობილიზაციას და დემილიტარიზაციას გულისხმობს. ამ ტერმინის ევოლუციაში საბოლოო ნაბიჯი „ადამიანის უსაფრთხოებაა“, რომელიც ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პირობას შეიცავს და დამატებით გულისხმობს „დაცულობას ქრონიკული საფრთხისგან, როგორებიცაა შიმშილი, ავადმყოფობა, რეპრესიები და სხვა“.

არსებობს თუ არა კონფლიქტი ეროვნულ სუვერენიტეტსა და სუვერენულ სახელმწიფოებში მცხოვრებთა „ადამიანის უსაფრთხოების“ პრინციპის დაცვას შორის? ამ საკითხზე მორის სტრონგი შემდეგნაირად პასუხობს:

- სახელმწიფოები უნდა შეეგუონ ზოგიერთ სფეროში სუვერენიტეტის კოლექტიურ განხორციელებას, განსაკუთრებით გლობალურ პრობლემებთან მიმართებაში;
- სუვერენიტეტის პრინციპი ცვალებად რეალობასთან მუდმივ ადაპტაციას უნდა განიცდიდეს;
- სახელმწიფოს ავტონომიურობის სუვერენული უფლება და ინდივიდების უსაფრთხოება გაწონასწორებული უნდა იყოს;
- დროა დავიწყოთ ფიქრი თვითგამორკვევაზე ახალი, გლობალური საზოგადოების კონტექსტში და არა ცალკეული სახელმწიფოებისაგან შემდგარი მსოფლიოს ტრადიციული სურათის ფარგლებში;
- ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპი საერთაშორისო ურთიერთობების ურყევ, საკრალურ დებულებას წარმოადგენდა. ამ პრინციპის დათმობა ახალ გარემოში გლობალური თანამშრომლობის იმპერატივების გათვალისწინებით ძნელი და ნელი პროცესი იქნება. მაგრამ აუცილებელია იმის გააზრება, რომ სუვერენიტეტის სრულად განხორციელება ერთი ცალკე აღებული ერი-სახელმწიფოს მიერ უკვე შეუძლებელია, რაც არ უნდა ძლიერი იყოს ეს სახელმწიფო.

მორის სტრონგისთვის ეროვნული სუვერენიტეტი მოძველებული პრინციპია. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები გასცდა პოლიტიკური რეალიზმის ჩარჩოებს და ახალი პლურალისტური საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ მოგვიწოდებს. ეს ცვლილებები ეროვნული თვითმყოფადობისა და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების ფონზე იდეების, კაპიტალისა და ინფორმაციის თავისუფალ დინებას გულისხმობს, რაც კაცობრიობას საერთო პრობლემების უფრო ეფექტურ გადაჭრაში უნდა დაეხმაროს. სტრონგის ვერსიით გაეროს ამ პროცესში ცენტრალური ადგილი უკავია.

რას გულისხმობს ამგვარი მიდგომა საქართველოსათვის? ერთი მხრივ, ბუნებრივია მრავალთა მხრიდან ერი-სახელმწიფოს მკაცრი ჩარჩოებისათვის დამახასიათებელი დაცვითი რეაქცია, რომელიც გლობალისტთა განქიქების ისტერიული ცდებიდან შედარებით დასაბუთებულ პოლიტიკურ არგუმენტაციამდე ვარირებს - ჩვენ არ დავთმობთ ახლად მოპოვებულ სახელმწიფოებრიობას, ეროვნულობასა და სუვერენიტეტს. თუმცა ალბათ საჭიროა ამ შავთეთრი პოზიციის მიღმა გახედვა და იმის გაანალიზება, თუ რეალურად რა პოლიტიკურ უპირატესობებზეა საუბარი თუნდაც მხოლოდ გაეროს რეფორმირების კონტექსტში. უპირველეს ყოვლისა, მიმდინარე ეტაპზე საქართველოსათვის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა მის მთელ ტერიტორიაზე სწორედ სუვერენიტეტის კლასიკური გაგებით განხორციელების შეუძლებლობაა. ამ მხრივ, სუვერენიტეტის ახალი გაგება რამდენიმე უპირატესობას იძლევა. პირველი - მასში პრიორიტეტული ადამიანის უსაფრთხოებაა. თუკი ადამიანის უსაფრთხოება ილახება, შესაძლოა ამოქმედდეს „კოლექტიური სუვერენიტეტი“ - საერთაშორისო კრიმინალური სასამართლო, იძულების ღონისძიებები და ა.შ. რეფორმირების პროგრამა სწორედ ამ მექანიზმების დახვეწისკენაა მიმართული.

მეორე მხრივ, თუ კარგად დავუკვირდებით მორის სტრონგის კონცეფციას ის გულისხმობს გლობალური პრობლემების გადასაწყვეტი ინსტრუმენტების სრულყოფას. შესაბამისად სტრონგის სუვერენულობის მოდელის განხილვისას საქართველომ უპირველეს ყოვლისა პასუხი უნდა გასცეს შეკითხვაზე „როგორი გაერო გვინდა ჩვენ?“. ამ დისკუსიაში ჩართვა ეთნოცენტრული პოზიციიდან „როგორი საქართველო გვინდა ჩვენ?“ (ეროვნული, კულტურული, სუვერენული და ა.შ.) ნამდვილად ვერ იქნება ნაყოფიერი.

სტრონგი პასუხისმგებელია გაეროს რეფორმაზე. მის მიერ შემოთავაზებული სასწრაფო სტრუქტურული ცვლილებები ბევრ მნიშვნელოვან სიახლეს მოიცავს. მათ შორისაა ახალი საერთაშორისო კრიმინალური სასამართლო, „ხალხთა ასამბლეა“, პეტიციების საბჭო, გაეროს რეფორმირებული სამეურვეო საბჭო. ქართული პოლიტიკური აზრის ძირითადი ყურადღება სწორედ ამ ინსტიტუტებზე და ჩვენთვის მათი შედარებითი უპირატესობებისაკენ უნდა იყოს

ბიულეტენი №39 ივლისი 2000 წ.

მიმართული.

## საერთაშორისო კრიმინალური სასამართლო

ახალი საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს შექმნა წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. იდეა შემოთავაზებულ იქნა სამხედრო დამნაშავეების გასასამართლებლად. გლობალური მმართველობის კომისიის მიერ შემუშავებულ ანგარიშში სასამართლო განმარტებულია არა მარტო სამხედრო დამნაშავეების, არამედ ზოგადი საერთაშორისო სამართლის კონტექსტში. სასამართლოს ეყოლება საკუთარი „პროკურორთა საბჭო“, რომელიც თავისუფლად შეძლებს წევრი-სახელმწიფოების საზღვრებში გამოძიების ჩატარებას, ცენტრალური თუ ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების გარეშე. საერთაშორისო სამართლის ინტერესის სფეროში სულ უფრო მრავალფეროვან საკითხთა წრე ექცევა და ამიტომაც ასეთი სასამართლო აუცილებელი ინსტრუმენტია. კრიმინალური სასამართლოს დაარსება თვისობრივად ახალ ეტაპად იქცა საერთაშორისო სისტემის განვითარებაში და ადამიანის უფლებების მზარდი საერთაშორისო მნიშვნელობის გამოძახილია.

საქართველოსათვის, რომლის სახელმწიფო პოლიტიკა დევნილი მოსახლეობის შიდა კონფლიქტებისას დარღვეულ უფლებებზე მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს, საერთაშორისო კრიმინალური სასამართლო მეტად შესამჩნევი პოლიტიკური ინსტრუმენტია. აქ უბრალოდ აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ამ ინსტრუმენტის რეალური გამოყენება ბევრად უფრო სერიოზულ მომზადებასა და არგუმენტაციას მოითხოვს.

## „ხალხთა ასამბლეა“

ახალი „ხალხთა ასამბლეა“ უნდა შედგებოდეს გაეროში აკრედიტებული 300-600 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლისაგან. პირველი შეხვედრა უნდა გაიმართოს გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალურ ათასწლეულის ასამბლეის წინ. ხალხთა ასამბლეის ფუნქცია გენერალური ასამბლეისათვის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა პოზიციისა და შეხედულებების გაცნობაა.

აკრედიტებული არასამთავრობო ორგანიზაციები აირჩევენ 5-7 წარმომადგენელს პეტიციების საბჭოსთვის. მათი ფუნქცია იქნება აკრედიტებული არასამთავრობო ორგანიზაციების წინადადებები განიხილონ და პეტიციები შესაბამის გაეროს სააგენტოებში დააგზავნონ.

„ხალხთა ასამბლეის“ იდეა საქართველოსათვის, რომლის სამოქალაქო სექტორი საკმაოდ ძლიერია, კიდევ ერთი საშუალებაა მიიღოს არსით უთანამედროვესი პოლიტიკური მონაწილეობის ინსტრუმენტი და რეალურად დაეყრდნოს სამოქალაქო პოტენციალს. შესაბამისად ამ სტრუქტურაში ეფექტური მონაწილეობა სახელმწიფოსა და მთავრობის როლის ახლებურ გააზრებას მოითხოვს.

## რეფორმირებული სამეურვეო საბჭო

გაეროს სამეურვეო საბჭო კოლონიური სახელმწიფოების დამოუკიდებლობაზე გადასვლის ხელშეწყობისათვის შეიქმნა. რეფორმირებული საბჭოს საზრუნავი კი გლობალური და უნივერსალური პრობლემები იქნება, როგორებიცაა: ატმოსფერო, კოსმოსი, ოკეანეები, ბუნებრივი რესურსები. გაეროს ადამიანთა დასახლებების ცენტრი (HABITAT) გაერთიანებულ იქნა გაეროს გარემოს პროგრამაში (UNEP). რესტრუქტურირებული UNEP გარემოს დაცვის სფეროში დადებული 3000-ზე მეტი ხელშეკრულების დაცვას უხელმძღვანელებს და გაეროს სამეურვეო საბჭოს განმხორციელებელი ორგანო იქნება.

რეფორმის პროგრამა სრული დატვირთვით მიმდინარეობს. შტატი 1000 კაცით, ორგანიზაციული ხარჯები კი საერთო ბიუჯეტის 38%-დან 25%-მდე შემცირდა. სეკვესტრირებული თანხები სახელმწიფოებს არ დაუბრუნდება და განვითარებად ქვეყნებში განვითარების პროგრამებს მოხმარდება. „რეფორმა ერთჯერადი მოვლენა არ არის. იგი პროცესია და ეს პროცესი ამ ანგარიშის გამოცემით არ დასრულდება“ - განაცხადა კოფი ანანმა.

წინასწარი გეგმით რეფორმების პროცესს, გაეროს ხუთივე პრიორიტეტული სფერო გაივლის: მშვიდობა და უსაფრთხოება, თანამშრომლობა განვითარებისათვის, ჰუმანიტარული სფერო და ადამიანის უფლებები. ოთხი სფეროსთვის უკვე შეიქმნა აღმასრულებელი კომიტეტები. მეხუთე სფერო, ადამიანის უფლებები, ყველა სფეროს კვეთს და იგი ყველა კომიტეტშია წარმოდგენილი.

მსოფლიოს გარშემო გაეროს ოფისებში გაეროს ნებისმიერი საქმიანობა „გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის“ ხელში უნდა იყოს თავმოყრილი, ისევე როგორც გაეროს ყველა პროგრამა ერთ შენობაში - „გაეროს სახლში“ ერთი დროშის ქვეშ დაიდებს ბინას.

## გენერალური ასამბლეა და გაეროს რეფორმა

გენერალური ასამბლეის 1998 წლის 12 ნოემბრის რეზოლუციით გენერალური მდივნის მიერ შემოთავაზებულ რეფორმათა პაკეტს ცხოვრებაში განხორციელებისაკენ გზა გაეხსნა. გენერალური ასამბლეისაგან მხარდაჭერის მიღების შემდეგ გენერალური მდივანი ენერგიულად შეუდგა რეფორმის პროგრამის შესრულებას. კოფი ანანმა შტატი 10%-ით შეამცირა, მნიშვნელოვნად შეკვეცა ადმინისტრაციული ხარჯები და ნულოვანი ზრდის ბიუჯეტის შემუშავების ინიციატივა წამოაყენა.





გენერალურმა მდივანმა უფრო გრძელვადიანი რეფორმების გეგმაც შეიმუშავა და გაეროს 30 სააგენტო 4 ჯგუფში გააერთიანა: მშვიდობა და უსაფრთხოება, ეკონომიკური და სოციალური სფერო, განვითარების პროგრამები, ჰუმანიტარული სფერო. ოთხი აღმასრულებელი კომიტეტი შედგება დეპარტამენტების, ფონდებისა და პროგრამების ხელმძღვანელებისაგან, რომლებიც ამ 4 სფეროში მუშაობენ. ისინი სამოქმედო პროგრამების ეფექტური შემუშავებისათვის რეგულარულ შეხვედრებს აწყობენ.

გაეროს რეფორმის აღმასრულებელი კოორდინატორი მორის სტრონგი გაეროს იმ მაღალჩინოსნების შეხვედრებს თავმჯდომარეობს, რომლებიც სამდივნოში რეფორმის პროცესს მონიტორინგსა და კოორდინაციას უწევენ. კოფი ანანმა შექმნა კაბინეტური სტილის უმაღლესი მენეჯმენტის ჯგუფი, რომელშიც სამდივნოს ოფიციალური პირები და სხვა მაღალჩინოსანი ხელმძღვანელები შედიან. ჯგუფს თავად გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს.

რეფორმის მენეჯმენტის ახალი ჯგუფი მენეჯმენტის დეპარტამენტის შიგნით, გენერალური მდივნის მოადგილის ხელმძღვანელობით შეიქმნა. მას სამდივნოს მენეჯმენტის რეფორმის განხორციელება ეკისრება.

გენერალური მდივნის გაეროს რეფორმის პაკეტის გარდა, გენერალურმა ასამბლეამ რეფორმის საკუთარი ვარიანტიც შეიმუშავა. „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ გენერალური ასამბლეისათვის აშკარა გახდა გაეროს რეფორმის აუცილებლობა. შედეგად, 1992 წელს გენერალურმა ასამბლეამ 5 სამუშაო ჯგუფი შექმნა. სამუშაო ჯგუფებს მშვიდობის, უსაფრთხოებისა და განვითარების სფეროში ახალი სტრატეგიები, ასევე, ინსტიტუციონალური და ორგანიზაციული ცვლილებებისათვის რეკომენდაციები უნდა შეემუშავებინათ.

## უშიშროების საბჭოს რეფორმის სამუშაო ჯგუფი

სამუშაო ჯგუფის მიერ უშიშროების საბჭოს რეფორმაზე შემუშავებული რეკომენდაციების განხორციელება სავარაუდოდ გაეროს ქარტიაში ცვლილებების შეტანას გამოიწვევს. გაეროს რეფორმის გეგმიდან უშიშროების საბჭოში თანაბარი წარმომადგენლობის უზრუნველყოფისა და წევრების რაოდენობის გაზრდა ყველაზე უფრო აქტუალური და პოლიტიკური მნიშვნელობისაა. სამუშაო ჯგუფის მუშაობაში ყველა წევრ-სახელმწიფოს აქვს მონაწილეობის მიღების უფლება, რაც სახელმწიფოთა სიმრავლის გამო საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას, ბუნებრივია, რომ აართულებს. სამუშაო ჯგუფში დისკუსია ძირითადად უშიშროების საბჭოს სიდიდიზე, შემადგენლობასა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმზე, მათ შორის ვეტოს უფლებასა და საბჭოს მუშაობის მეთოდების გაუმჯობესებაზე მიმდინარეობს. ეს საკითხები ურთიერთგადაჯაჭვულია და მათი დამოუკიდებლად გადაწყვეტა ნაკლებად მოსალოდნელია.

ამჟამად საბჭოს შემადგენლობაში 15 წევრია. სახელმწიფოთა უმრავლესობისათვის საბჭოს შემადგენლობის გაზრდა აღიქმება, როგორც საბჭოსთვის უფრო წარმომადგენლობითი ხასიათის მინიჭების მცდელობა. საბჭოს შემადგენლობის გაზრდის საჭიროება გამოწვეულია გაეროს წევრების მნიშვნელოვანი გაფართოვებითა და მსოფლიოში 1963 წლის შემდეგ მომხდარი ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებებით. 1963 წელს საბჭოს შემადგენლობა 11-დან 15 წევრამდე გაიზარდა. ბევრი ქვეყანა საბჭოში განვითარებადი სახელმწიფოების რაოდენობის გაზრდას საბჭოს დემოკრატიულობისა და ლეგიტიმურობის გამოხატულებად მიიჩნევს მაშინ, როდესაც სხვები რაოდენობის გაზრდაში საბჭოს მუშაობის ეფექტურობის შემცირებას ხედავენ.

გარკვეული პროგრესი უკვე მიიღწა საბჭოს მუშაობის მეთოდების გაუმჯობესებაში, რამაც უშიშროების საბჭოს საქმიანობა უფრო გამჭირვალე გახადა. რთული მისაღწევია გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის შემუშავება, განსაკუთრებით კი ვეტოს უფლების საკითხი. ამჟამად ვეტოს გამოყენების უფლება მხოლოდ საბჭოს 5 მუდმივ წევრს აქვს, რაც ვეტოს გამოყენების საკითხში რაიმე ცვლილების შემთხვევაში ხუთივე წევრის თანხმობას მოითხოვს.

სამუშაო ჯგუფის შექმნის შემდეგ საბჭოს შემადგენლობის შესახებ მრავალი მოსაზრება გამოითქვა. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა რაზალიმ ამ საკითხთან დაკავშირებით ჯგუფის შეხედულებები წარმოადგინა. რაზალის წინადადებით საბჭოს შემადგენლობა 15-დან 24 წევრამდე უნდა გაიზარდოს. 5 მუდმივ წევრს კიდევ 5 მუდმივი წევრი უნდა დაემატოს (თითო-თითო აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის განვითარებადი ქვეყნებიდან და ორი ინდუსტრიული სახელმწიფო. ამ უკანასკნელში, საყოველთაოდ აღიარებული შეხედულებით, გერმანია და იაპონია იგულისხმება). საბჭოში უნდა შევიდეს კიდევ 4 არამუდმივი წევრი (თითო-თითო აფრიკიდან, აზიიდან, აღმოსავლეთ ევროპიდან და ლათინური ამერიკიდან და კარიბის ზღვის აუზიდან).

რაზალის ჯგუფის მიერ შემუშავებული წინადადების მიხედვით საბჭოს ახალ მუდმივ წევრებს არ უნდა ჰქონდეთ ვეტოს უფლება, რაც ქვეყანათა უმრავლესობის განცხადებით საბოლოოდ სრულიად ზედმეტი გახდება. გარდა ამისა,

რაზალის ჯგუფის წინადადება მუდმივი წევრებისთვის ქარტიის VII თავთან მიმართებაში ვეტოს გამოყენების უფლების შეზღუდვას ითვალისწინებს. VII თავი საბჭოს მიერ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას უკავშირდება.

ზოგიერთი ქვეყანა მიიიჩნევს, რომ საბჭოს შემადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს 20 წევრს. აშშ-მა წამოაყენა წინადადება იაპონია, გერმანია და სამი განვითარებადი ქვეყანა საბჭოში მუდმივი წევრების სახით ვეტოს უფლების გამოყენების გარეშე მიეღოთ. ამით მუდმივი წევრების რაოდენობა 10-მდე გაიზრდებოდა, საერთოდ წევრებისა კი 20-მდე.

ვეტოს უფლების გამოყენების საკითხი და ახალი მუდმივი წევრების ვინაობის გარკვევა ყველაზე მწვავე პრობლემაა. იმედები იმისა, რომ იგი მოკლე დროში გადაწყდებოდა, არ გამართლდა და როგორც ჩანს სახელმწიფოთა შორის იგი კვლავ დავის საგანი იქნება.

## გაეროს ფინანსური მდგომარეობის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი

ამ სფეროში სამუშაო ჯგუფი 1994 წელს შეიქმნა. ჯგუფს წევრი-სახელმწიფოების მიერ საწევრო გადასახადების გადაუხდელობის შედეგად გამოწვეული ფინანსური კრიზისი უნდა შეესწავლა და ორგანიზაციის განვითარებისათვის საიმედო ფინანსური ბაზის შექმნისათვის საჭირო გზები გამოენახა. ჯგუფმა შეისწავლა საწევროების გადახდის სფეროში არსებული პრობლემები და გამოავლინა ის ქვეყნები, რომლებიც აგვიანებენ ან არ იხდიან საწევროებს და ისინი ვინც მათ წილ საწევრო გადასახადს დროულად და გადაჭარბებით იხდიან.

ჯგუფის ყურადღების ცენტრში საწევროების ახალი შკალის შემუშავების საკითხიც მოექცა. იგი დღესაც პრობლემატური თემაა და სახელმწიფოთა შორის შეუთანხმებლობის გამო მისი საბოლოო გადაწყვეტა ჯერ არ მომხდარა.

## სამუშაო ჯგუფი მშვიდობის დაცვის სფეროში

დღევანდელ მსოფლიოში ორგანიზაციის ახალი როლის განსაზღვრისას საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვაში გაეროს სამშვიდობო მანდატის საკითხის განსაზღვრა უმნიშვნელოვანესია. მშვიდობის დაცვის შესახებ დისკუსია 1992 წლის 31 იანვარს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების უშიშროების საბჭოს ისტორიული შეხვედრის შემდეგ დაიწყო, როდესაც გენერალურ მდივანს პრევენტული დიპლომატიისა და მშვიდობის დაცვაში გაეროს შესაძლებობების გაძლიერების გზების ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება თხოვეს. ეს საკითხი ისევე მგრძნობიარე იყო, როგორც უშიშროების საბჭოს რეფორმა, რადგან სახელმწიფოთა სუვერენიტეტის საკითხს ეხებოდა.

1992 წელს გენერალურმა მდივანმა ბუტროს ბუტროს გალიმ შეიმუშავა მოხსენება, რომელიც საბჭოს მოთხოვნასა და პოსტკონფლიქტური მშვიდობის დამყარების საკითხებს ეხებოდა. ამ საკითხების შემდგომი შესწავლისათვის გენერალურმა ასამბლეამ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც გენერალურ მდივანს გენერალური ასამბლეის ნებართვით პრევენტული დიპლომატიის წარმოების მანდატი მიანიჭა.

## სამუშაო ჯგუფი განვითარების სფეროში

ეს სამუშაო ჯგუფი 1994 წელს გენერალური ასამბლეის მიერ შეიქმნა. განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავების მიუხედავად, სამუშაო ჯგუფმა მოახერხა საერთო დოკუმენტის მიღება, რომელიც გენერალურმა ასაბლეამ სპეციალურ შეხვედრაზე დაამტკიცა.

მხარეებს შორის განსხვავებული დამოკიდებულება იყო თავად ტერმინ განვითარების მიმართ. „მდგრად განვითარებას" უპირატესობას განვითარებული ქვეყნები ანიჭებდნენ, რომლებიც მასში კარგ მმართველობას, ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვას გულისხმობდნენ. ამის საწინააღმდეგოდ განვითარებადი ქვეყნები ტერმინ „მდგრად ეკონომიკურ განვითარებას" იყენებდნენ. იგი განვითარებადი ქვეყნების მიერ ახსნილი იყო, როგორც სოციალურ სფეროში პროგრესის წინაპირობა. განვითარებადი ქვეყნები შეშფოთებულნი იყვნენ იმით, რომ მდიდარი ქვეყნების მიერ დაწესებული პოლიტიკური, სოციალური და ბუნების დაცვითი სტანდარტები მათთვის დახმარების მიღების პირობად იქცა.

საბოლოოდ ამ ტერმინის 4 ნაწილად გაყოფა გადაწყდა. იგი ხაზს უსვამდა გაეროს მუშაობაში განვითარების პროგრამების ცენტრალურ მნიშვნელობას, განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის მნიშვნელობას, დემოკრატიისა და თავისუფლების გადამწყვეტ როლსა და ქალთა უფლებების დაცვის განსაკუთრებულობას.

## სამუშაო ჯგუფი გაეროს სისტემის გაძლიერების სფეროში

ამ სამუშაო ჯგუფმა გაეროს სისტემის ორგანოების ეფექტურობა შეისწავლა. ჯგუფი თავის მოხსენებაში არ შეხებია გაეროს სპეციალიზებული ორგანოების რეფორმის საკითხს. თუმცა, განსაკუთრებული ყურადღება სისტემის შიგნით კოორდინაციის საკითხს მიექცა.

სამუშაო ჯგუფმა გენერალური მდივნის შერჩევის პროცესში მეტი გამჭირვალობისაკენ მოუწოდა.

სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული რეკომენდაციებიდან აღსანიშნავია:

- გენერალური ასამბლეის რეზოლუციები ძირითადს უნდა ეხებოდეს და არ უნდა იყოს დანაწევრებული;
- მჭიდრო კავშირები უნდა დამყარდეს გენერალურ ასამბლეასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის...



ბიულეტენი №39 ივლისი 2000 წ.

## ევროპის კავშირის წინადადებები ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში გაეროს სისტემის რეფორმირებაზე

გაეროში დაწყებულ რეფორმატორულ განწყობილებას მხარი აუბა ევროპის კავშირმაც, რომელმაც 1996 წლის ოქტომბერში ირლანდიის პრეზიდენტობის პერიოდში გამოაქვეყნა მემორანდუმი, სადაც გამოთქმულია კავშირის შეხედულებები ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა სფეროებში გაეროს რეფორმირებაზე - „ევროპის კავშირის წინადადებები ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში გაეროს სისტემის რეფორმირებაზე".

ევროკავშირის აზრით, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში გაეროს რეფორმების ძირითადი მიზანი უნდა იყოს ორგანიზაციის გაძლიერება ყველა დონეზე, რათა გაერომ საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეში სრულყოფილი და ეფექტური როლი შეასრულოს.

ახალი თანამშრომლობა მიმართული უნდა იყოს დღევანდელ მსოფლიოში არსებული ყველაზე მწვავე პრობლემების გადაწყვეტისაკენ, როგორებიცაა სიღარიბის შემცირება, საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის შესაძლებლობა, ქვეყნების განვითარებას შორის არსებული უფსკრულის შემცირება, ჯანმრთელობისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესება, ადამიანის უფლებების დაცვა, სამოქალაქო ინსტიტუტების გაძლიერება, გარემოს დაცვა, კონფლიქტების თავიდან აცილება და სხვა.

ევროკავშირში მიაჩნიათ, რომ გენერალური ასამბლეისა და ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მუშაობის მეთოდები, პროცედურები და ამოცანები საერთაშორისო ეკონომიკურ და სოციალურ თანამშრომლობაში მხარდაჭერას საჭიროებს.

ევროკავშირი რეფორმების უმთავრეს მიზნად მიიჩნევს ფონდებისა და პროგრამების მოქმედების ეფექტურობის გაზრდას. კონკრეტული წინადადებები ითვალისწინებს გენერალური მდივნის მოადგილის ახალი თანამდებობის შემოღებას, რომელიც გენერალური მდივნის დაქვემდებარებაში იქნება და ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხებზე იქნება პასუხისმგებელი. იქნება რა ეკოსოკის აღმასრულებელი მდივანი იგი უზრუნველყოფს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებას.

ევროკავშირი მხარს უჭერს სახელმწიფოებში გაეროსა და მისი სააგენტოების წარმომადგენლობის გაერთიანებას. ამგვარი ფუნქციების მქონე მუდმივი კოორდინატორი გენერალური მდივნის მიერ დაინიშნება და სახელმწიფოს დონეზე გაეროს ყველა ოპერატიული საქმიანობის ფორმალური ხელმძღვანელი იქნება. მუდმივ კოორდინატორს უნდა გააჩნდეს ქვეყანაში გაეროს პრიორიტეტების განსაზღვრის საშუალება. იგი ინფორმირებული უნდა იყოს გაეროს სააგენტოების, ფონდებისა და პროგრამების საქმიანობის შესახებ. კოორდინატორის არჩევა შეძლებისდაგვარად ფართო, ხოლო მისი არჩევის სისტემა გამჭირვალე უნდა იყოს.

ეკოსოკი მინისტრების დონეზე უნდა განიხილავდეს საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის, სოციალური და სხვა სფეროების აქტუალურ საკითხებს. ეკოსოკი უნდა თანამშრომლობდეს ყველა იმ ორგანიზაციასთან, რომლებიც მსგავს საკითხებზე მუშაობენ. ეკოსოკმა სრულად უნდა გამოიყენოს მისი როლი, როგორც გაეროს განვითარების ფონდებისა და პროგრამების მაკოორდინებელმა ორგანომ.

ევროკავშირში მიაჩნიათ, რომ გაეროს სპეციალიზებული სააგენტოები ერთმანეთის საქმიანობის კოპირებას არ უნდა ახდენდნენ. ამიტომ გაეროს ყველა სააგენტოს ფუნქცია და მანდატი ზუსტად უნდა განისაზღვროს.

აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობის განვითარება გაეროს სააგენტოებს, საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებსა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას შორის. თანამშრომლობა უნდა განვითარდეს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ერთობლივი ინიციატივები და დიალოგი.

ევროკავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გაეროს პროგრამებისა და ფონდების დაფინანსებას და გამოყოფილი თანხების ეფექტურ ხარჯვას. დროა გამოინახოს დაფინასების ახალი წყაროები. გარდა ამისა რეფორმის შედეგად დაზოგილი ფული უნდა გამოიყენებოდეს გაეროს პროგრამების განვითარებისათვის.

გაეროს პერსონალი ადამიანის პიროვნული თვისებებისა და პროფესიონალიზმის გათვალისწინებით, რაც შეიძლება ფართო გეოგრაფიული არეალიდან უნდა აირჩეს. გათვალისწინებული უნდა იყოს გენდერული ბალანსი და ლინგვისტური შესაძლებლობებიც.

საქართველოს ინტერესი ევროკავშირის წინადადებებისადმი ბუნებრივია. ევროკავშირის აქტიურობა გაეროს რეფორმირების საკითხში სიმპტომატურია და რეგიონული ორგანიზაციების როლის გაძლიერების კიდევ ერთ დასტურს წარმოადგენს. ევროკავშირს ტრადიციული ინტერესი გააჩნია ეკონომიკური და სოციალური საკითხებისა და სამოქალაქო უფლებებისადმი. ფაქტია ისიც, რომ ამ სფეროებში ევროპული სტანდარტები ბევრად უფრო შორს მიდის, ვიდრე

გაეროს მიერ რეკომენდირებული საბაზისო მოთხოვნები. თუკი საქართველო ევროპულ სტრუქტურებში ეტაპობრივი ინტეგრაციისაკენ ისწრაფვის, ევროკავშირის, როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაციის პოზიცია გაეროს რეფორმის საკითში დეტალური ანალიზის საგნად უნდა იქცეს.

## შტატის რეფორმირების საკითხები

გაეროს რეფორმირების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ადამიანებს, რომლებიც ორგანიზაციის სახეს წარმოადგენენ და რეფორმის უშუალო მონაწილეები არიან. კოფი ანანმა მენეჯმენტის რეფორმაზე რეპორტის წარდგენის დროს გაეროს წევრი-ქვეყნებისა და გაეროს თანამშრომლების წინაშე გამოსვლისას განაცხადა, რომ თუ გაეროს სურს ეფექტურად შეასრულოს თავისი მისია მშვიდობის, განვითარებისა და ადამიანის უფლებების საკითხებში, თავისი ადამიანური რესურსები ეფექტურად უნდა გამოიყენოს. კოფი ანანის განცხადებით, უნდა მოხდეს მაღალპროფესიონალური კადრების არჩევა, პროცედურების გამარტივება და ხელმძღვანელი პირებისათვის მეტი უფლებების მიცემა.

საკადრო პოლიტიკა ნებისმიერი, განსაკუთრებით გლობალური ორგანიზაციისათვის გადამწყვეტი ფაქტორია. გაეროს სამდივნოს ბიუჯეტის 3/4 მის თანამშრომლებზე იხარჯება. გაბერილი შტატი კი ხელს უშლის ორგანიზაციის ეფექტურ მუშაობას, რაც მის სახელს დიდ ზიანს აყენებს. გაეროს კრიტიკისას სწორედ გაბერილ შტატსა და მათზე გაუმართლებლად დახარჯულ ფულს ასახელებნ. ახალმა ხელმძღვანელობამ რეალურად გააცნობიერა არსებული ნაკლოვანების დამღუპველი გავლენა ორგანიზაციის სახელზე და შტატის შემცირება დაიწყო.

კოფი ანანმა ადამიანური რესურსების უკეთესი გამოყენების მიზნით წარმოადგინა თავისი შეხედულებები, რისი განხორციელებაც ორგანიზაციის მენეჯმენტს გააუმჯობესებს. აი ზოგიერთი მოსაზრება:

• მენეჯერებს შეზღუდული პასუხისმგებლობა აქვთ ადამიანურ და ფინანსურ რესურსებზე. ეს კი ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა საფეხურზე თანამდებობის პირის ანგარიშვალდებულობას ძირს უთხრის;

• გართულებული წესები და პროცედურები ხელს უშლის თანამშრომლების არჩევასა და ორგანიზაციის მობილურობას. რთულდება პროფესიონალთა საჭირო ადგილას დროულად გააგზავნა. ეს უკანასკნელი გლობალური ორგანიზაციისათვის გადამწყვეტია, გაეროს ხომ ხშირ შემთხვევაში კრიზისებსა და ცვალებად გარემოებებზე სწრაფი რეაგირება უწევს;

• ადამიანური რესურსების არაადექვატური დაგეგმვა გაეროს მოკლევადიანი და გრძელვადიანი საკადრო პოლიტიკის განახორციელებას ხელს უშლის;

ცვალებადი მსოფლიო ახალ ადამიანებსა და ახალ უნარ-ჩვევებს მოითხოვს, მითუმეტეს ისეთი ორგანიზაციისაგან, რომელსაც მსოფლიოში არსებული პრობლემების გადაწყვეტაში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება ეკისრება. ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ოფისმა გენერალური მდივნის მიერ ორგანიზაციის განახლების პოლიტიკის შესაბამისად, გაეროს თანამშრომლებს ყველა დონეზე საშუალება მისცა სამუშაო ჯგუფებში მიეღოთ მონაწილეობა, რაც მათ უნარ-ჩვევებსა და პროფესიონალიზმს გამოავლენდა. მსგავსი ჯგუფები შეიქმნა გაეროს ყველა დიდ წარმომადგენლობაში: ნიუ-იორკში, ჟენევაში, ადის-აბებაში, ბანგკოგში, ბეირუთსა და სანტიაგოში. ჯგუფებში უნდა გამოვლენილიყო გაეროს თანამშრომლების დამოკიდებულება ცვლილებებისადმი, ადამიანებთან მათი კომუნიკაციის უნარი და სამუშაო ჯგუფებში მუშაობის შესაძლებლობა. მსგავსი „გამოცდები" გაიარა გაეროს ყველა სახის თანამშრომელმა მაღალი თანამდებობის პირებისა და უშიშროების სამსახურიდან დაწყებული ინფორმაციის ოფიცრებითა და თარჯიმნებით დასრულებული. მსგავსი „გამოცდები" ჩატარდება ყველა მაღალი თანამდებობის დასაკავებლად.

ორგანიზაციის მაღალჩინოსნების ანგარიშვალდებულების გაზრდისაკენ ნაბიჯები კოფი ანანის არჩევისთანავე გადაიდგა. გენერალურმა მდივანმა საკუთარი ადმინისტრაციის შიგნით შეიმუშავა კომუნიკაციის ახალი კულტურა, რაც სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი გაეროს თანამშრომლების გენერალური მდივნისადმი ანგარიშვალდებულების კიდევ ერთი გამოვლინებაა. კოფი ანანმა არჩევის პირველივე დღეებიდან ჟენევიდან, რომიდან, ვენიდან და ნაირობიდან გაეროს 20 ყველაზე მაღალ თანამდებობის პირს შორის ყოველკვირეული ტელეკონფერენციის გამართვის პრაქტიკა დანერგა. ეს შეხვედრები მაგალითად იქცა გაეროს ყველა თანამშრომლისათვის. გარდა ამისა, მსგავსი შეხვედრები ხელს უწყობს მათ მონიტორინგს და გენერალური მდივნის წინაშე მათ პასუხისმგებლობას ზრდის.

წესებისა და პროცედურების გამარტივებისათვის გენერალური მდივანი მართებულად მიიჩნევს ადმინისტრაციული ფუნქციების ნაწილობრივ კომპიუტერისათვის გადაბარებას, ისეთი ფუნქციების, როგორიცაა მაგალითად ხელშეკრულებების გაგრძელება. კომპიუტერულ მონაცემთა ბაზის შექმნა კი დროსა და ფინანსებს დაზოგავს.

თანამშრომელთა საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისათვის გაეროს მენეჯერებს მეტი უფლებები უნდა მიენიჭოთ. საკუთარ საქმეში ისინი დიდი უფლებებით უნდა სარგებლობდნენ და თანამშრომლების კონტროლი უნდა შეეძლოთ. გარდა ამისა, დაგეგმარება და ფინანსური რესურსების განაწილება მათ კომპეტენციაში



ბიულეტენი №39 ივლისი 2000 წ.

უნდა შევიდეს. მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს მათ საქმეში ჩარევა. შედეგად ისინი საკუთარი თანამშრომლების შერჩევასა და მათი საქმიანობის მონიტორინგზე პასუხისმგებლობას აიღებენ.

ახალი თანამშრომლის შერჩევას საშუალოდ 260 დღე სჭირდება, აქ იგულისხმება ის დროც, რაც წევრი სახელმწიფოს მიერ კანდიდატის წარდგენასა და შესაბამის დეპარტამენტში მისი კანდიდატურის განხილვას სჭირდება. ამ ვადის არსებობა განპირობებულია კანდიდატების შერჩევისას თანაბარი გენდერული და გეოგრაფიული წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად, რაც გაეროს სისტემის უნიკალური თვისებაა. რეფორმების მომხრეებს სურთ ეს ვადა 120 დღემდე მაინც შეამცირონ.

გაეროს გენერალური მდივანი ასევე ცდილობს წინასწარ განსაზღვროს იმ ადამიანთა სავარაუდო წრე, რომელიც გაეროს სისტემაში გახდება საჭირო. 1997 წლის შემდეგ სამდივნო 11%-ით შემცირდა. ბევრმა თანამშრომელმა უკვე საპენსიო ასაკს მიაღწია, რაც ახალი კადრების მოძიებას მოითხოვს. ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ოფისი გაეროს მთელ სისტემაში შეისწავლის იმ სავარაუდო „დანაკარგებს", რაც თანამშრომლების პენსიაზე გასვლას მოჰყვება და ავლენს იმ პროფესიისა და შესაძლებლობების ადამიანებს, რომლებიც მათ ღირსეულ შეცვლას შეძლებენ.

კოფი ანანის მოსვლით განსაკუთრებული ყურადღება გაეროს თანამშრომლების ტრენინგებს დაეთმო. თანამშრომლეთა ტრენინგებზე და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე თანამშრომელთა ხელფასების მხოლოდ 0,75% იხარჯებოდა. გაეროს სხვა პროგრამები და ფონდები კი ტრენინგებისთვის თანამშრომლეთა ხელფასების 2%-ს ხარჯავს, როცა კერძო სექტორში იგივე მაჩვენებელი 5%-ია. გაეროს მუშაობის ეფექტურობის გაზრდისათვის გაცილებით მეტი უნდა ჩაიდოს ადამიანური რესურსების განვითარების საქმეში, ვიდრე ეს ახლა ხდება.

1996 წლიდან მოყოლებული გაეროს თითქმის ყველა მაღალჩინოსანი და საშუალო დონის პროფესიონალი საკადრო მენეჯმენტის პროგრამაში მონაწილეობდა. ტრენინგების გარდა ტარდება ვორქშოფები და ლექციები, რაც გაეროს თანამშრომლებს პროფესიონალიზმის გაზრდაში ეხმარებათ.

გენერალური მდივნის კიდევ ერთი წინადადებაა გაეროს თანამშრომლობის, დეპარტამენტებისა და გაეროს სისტემის ორგანიზაციებს შორის მობილურობის უზრუნველსაყოფად სამუშაოების გაცვლა, დეპარტამენტებსა და ორგანიზაციებში სამუშაოს დროებითი როტაცია განხორციელდეს. ეს თანამშრომლებს საშუალებას მისცემს მეტი გამოცდილება შეიძინონ და გაეროს საქმინოაბაში მაქსიმალიურად გაერკვნენ. გარდა ამისა, როტაციის შედეგად თანამშრომლებს ახალი შესაძლებლობები შეექმნებათ და ახალი უნარ-ჩვევების განვითარებას შეძლებენ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ თანამშრომლებს, რომლებსაც გაეროს სისტემაში კარიერა ახალდაწყებული აქვთ. ხშირია შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდა თანამშრომლები გაეროს სისტემას მხოლოდ იმიტომ ტოვებენ, რომ კარიერის გაგრძელების პერსპექტივას ვერ ხედავენ. ახალგაზრდა კადრების მოზიდვის, მათ მაღალკვალიფიციურ კადრებად ჩამოყალიბების და მათთვის კარიერის გაგრძელების სურვილის შენარჩუნებისათვის სპეციალური პროგრამები ხორციელდება.

კოფი ანანის მიერ დასახული ახალი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება უფრო ფართო ტრენინგებსა და რესურსებს მოითხოვს. კადრების აღზრდა და ახალი მენეჯერების ჩამოყალიბება შედეგს გრძელვადიან პერსპექტივაში მოიტანს. ამ რეფორმებს მენეჯმენტის დეპარტამენტისა და ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ოფისის განსაკუთრებული მხარდაჭერა ესაჭიროება. ამ სტრუქტურებს ადამიანური რესურსების განვითარებაში ახალი პრინციპებისა და პოლიტიკის ჩამოყალიბება ევალებათ. მთელ ამ პროცესში გადამწყვეტი სიტყვა გაეროს წევრ-სახელმწიფოებს ეკუთვნით. მათი მხარდაჭერა და მათთან თანამშრომლობა მომავალში წარმატების მიღწევის წინაპირობაა. ახალი მენეჯერული კულტურის ჩამოყალიბებით გაეროს სისტემის თანამშრომლები და თავად წევრი-სახელმწიფოები დარჩებიან მოგებულნი.

ის, თუ როგორი კადრი იმუშავებს გაეროში წყვეტს თუ ვინ იქნება ქვეყნის პარტნიორი გაეროსთან ურთიერთობაში. აქედან გამომდინარე, საქართველოსათვის, ისევე როგორც ყველა სხვა სახელმწიფოსათვის, ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია. მეორე მხრივ, საქართველოში არის კვალიფიციური კადრები, რომელთა დასაქმებაც შესაძლებელია გაეროს სტრუქტურებში.

გაეროს ახალი საკადრო პოლიტიკის დამადასტურებელია კოფი ანანის მიერ შემოთავაზებული მაღალი თანამდებობის პირების დანიშვნის ახალი სტილი. ორგანიზაციის ავტორიტეტის ამაღლებისა და მისი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისათვის კოფი ანანმა გაეროს სისტემის ორგანიზაციებისა და პროგრამების ხელმძღვანელებად მსოფლიოში გამოჩენილი და პოლიტიკურ წრეებში ცნობილი ადამიანების დანიშვნა დაიწყო.

პირველი ასეთი ცნობილი პირი, რომელიც მაღალ თანამდებობაზე დაინიშნა, ირლანდიის პრეზიდენტი მერი რობინსონი იყო. გაეროს რეფორმის ეგიდით ჟენევაში არსებული ადამიანის უფლებების პროგრამები ერთ ოფისში გაერთიანდა და მის ხელმძღვანელად რობინსონი დაინიშნა. ადამიანის უფლებების უმაღლეს კომისრად ასეთი რანგის პოლიტიკოსის დანიშვნა ორგანიზაციის „ლიდერშიფის" გაძლიერებას ისახავდა მიზნად.

მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო გენერალური მდივნის მოადგილის პოსტის შემოღება. ამ პოსტზე

კანადის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ლუის ფრეშეტი დაინიშნა. გერმანიის გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი კლაუს ტოპფერი გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის ხელმძღვანელად დანიშნეს, ვენაში ახლად შექმნილ ნარკოტიკების კონტროლისა და დანაშაულის ალკვეთის ოფისის ხელმძღვანელად კი — ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლით განთქმული იტალიელი პინო არლაჩი. მისი საქმიანობის მიზანი დამნაშავეობისა და ნარკოტიკების კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლაა.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მაღალჩინოსანი სერჟიო ვიეირა დე მელო საგანგებო მდგომარეობათა მართვის კოორდინატორად დაინიშნა, რამაც ჰუმანიტარულ სფეროში ამ მნიშვნელოვან პოსტზე ძლიერი და გამოცდილი პიროვნება მოიყვანა.

საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებულ ბავშთა სპეციალურ წარმომადგენლად ნიუ-იორკში მოღვაწე საერთაშორისო მშვიდობის აკადემიის ხელმძღვანელი ოლარა ოტუნუ დაინიშნა. ახლად დაარსებული განიარაღების საკითხების დეპარტამენტის მეთაურად გენერალური მდივნის მოადგილის რანგში აშშ-ში შრილანკის ყოფილი ელჩი ჯაიანატა დჰანაპალა დამტკიცდა. იგი მსოფლიოში ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების განახლებისათვის ბრძოლით არის ცნობილი.

კოფი ანანის საკადრო პოლიტიკაში თვალსაჩინო ადგილი უკავიათ ქალებსაც. ფრეშეტისა და რობინსონის გარდა, ქალებმა სხვა მაღალი პოსტებიც დაიკავეს. გაეროს ადამიანური რესურსების ოფისის ხელმძღვანელად გენერალური მდივნის თანაშემწის რანგში მალაიზიელი რაფიაჰ სალიმი დაინიშნა. გენდერულ საკითხებზე გენერალური მდივნის სპეციალურ მრჩევლად კი იამაიკელი ანჟელა კინგი.

## უშიშროების საბჭოს რეფორმა:

გაეროს რეფორმაში უშიშროების საბჭოს რეფორმა პრიორიტეტულად მიიჩნევა. 1945 წლიდან საბჭოს წევრთა რაოდენობა მხოლოდ ერთხელ გაიზარდა. 1963 წლის გაფართოვებამ ცივი ომის პერიოდში რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი ვერ გამოიღო. 1946-1990 წლებში უშიშროების საბჭომ 646 რეზოლუცია მიიღო, გარდა ამისა 201 რეზოლუცია ვეტოს მსხვერპლი გახდა. ზესახელმწიფოები ზოგჯერ თავისი ქმედებებით უშიშროების საბჭოს როლის დაკნინებას იწვევდნენ.

1990 წლის შემდეგ საბჭოს მუშაობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. მაგალითად ერაყის აგრესიის უკუგდება ქუვეიტში, ჰაიტიში ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის აღდგენა, სომალიში ჯარების გაგზავნა, კამბოჯაში ახალი ცხოვრების დაწყებაში ხელშეწყობა. საბჭო ყოველთვის იქ იყო, სადაც საერთაშორისო უსაფრთხოების ბედი წყდებოდა.

საბჭოს როლის გაფართოვება მოითხოვს მისი მუშაობის გამჭირვალობის გაზრდას. სერიოზული განხილვის საგნად უნდა იქცეს საბჭოს შემადგენლობის ზრდის საკითხიც. არ იქნება სწორი გვეთქვა, რომ მეორე მსოფლიო ომის ხუთი გამარჯვებული სახელმწიფო და 10 როტაციის პრინციპით არჩეული საბჭოს არამუდმივი წევრები 188 წევრიანი გაეროს ლეგიტიმური და სრულუფლებიანი წარმომადგენლები არიან.

როგორც მუდმივი ისე არჩევითი წევრების სისტემის რეფორმირების გარეშე, საბჭო ვერ უზრუნველყოფს მსოფლიოში მშვიდობასა და უსაფრთხოებას. მსგავსმა რეფორმამ არ უნდა შეამციროს საბჭოს ეფექტურობა და მისი პოლიტიკური სიცოცხლისუნარიანობა. მაგალითად, არის მოსაზრება, რომ წევრთა გაზრდილი რაოდენობა საბჭოს კრიზისებზე სწრაფი რეაგირების უნარს წაართმევს. ამგვარმა შიშმა რეფორმა არ უნდა შეაჩეროს. პრიორიტეტად უნდა იქცეს ის, რომ უშიშროების საბჭო საერთაშორისო საზოგადოების ნების გამოხატვის ეფექტური საშუალებაა. ეს მიზანი მიიღწევა ლეგიტიმურობით, რომელიც საბჭოს შემადგენლობის გაზრდაში უნდა გამოიხატოს და გარდა ამისა საბჭოს მუშაობა უფრო გამჭირვალე უნდა გახდეს.

გლობალური მმართველობის კომისიის მიერ შემოთავაზებული საბჭოს გაფართოების წინადადება შეიცავს ორ ფაზას: სტრუქტურული ცვლილება და ვეტოს საკითხი.

თითქმის უკვე არსებობს ერთიანი აზრი იმის შესახებ, რომ უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში დამატებით უნდა შევიდნენ მუდმივი წევრები. თუ საბჭოს 5 მუდმივ წევრს უბრალოდ განვითარებული სახელმწიფოები დაემატება ეს საბჭოს წარმომადგენლობითობაზე სრულებითაც ვერ იმოქმედებს. თუ ახალ მუდმივ წევრებს ვეტოს გამოყენების უფლება ექნებათ, მაშინ ვეტოს გამოყენება შეიძლება საბჭოს მუშაობის შემაფერხებელი ფაქტორი გახდეს.

კომისია მოვლენების ამგვარი განვითარების თავიდან ასაცილებლად მუდმივი წევრების ახალ კატეგორიას „სთენდინგ მემბერს" გვთავაზობს. ახალი წევრები როტაციას არ დაექვემდებარებიან, მაგრამ ვეტოს უფლებით არ ისარგებლებენ. ორი სახელმწიფო ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებიდან უნდა იქნეს არჩეული, რაც ახალი ეკონომიკური რეალობის ასახვა იქნება და სამიც განვითარებადიდან (თითო-თითო აფრიკიდან, ლათინური ამერიკიდან და აზიიდან). ეს წინადადება მრავალ უთანხმოებას იწვევს, რადგან რთულია იმის განსაზღვრა, თუ რომელი სახელმწიფოები უნდა იყვნენ საბჭოს ახალი წევრები. მათი დამტკიცება გენერალური ასამბლეის პრეროგატივაა, რომელიც ორი ძირითადი კრიტერიუმით ისარგებლებს - სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოების მხარდაჭერაში შეტანილი წვლილი და შესაბამისობა გაეროს სხვა მიზნებთან.

როგორც ალვნიშნეთ, არამუდმივი წევრების რაოდენობა 10-დან 13-მდე უნდა გაიზარდოს, რაც რეფორმირებული უშიშროების საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობას 23-მდე გაზრდის. შედეგად საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხების განხილვისას საჭირო იქნება უფრო ფართო კონსენსუსი. რეფორმის შემდეგ საბჭოს გადაწყვეტილების მისაღებად 9 ხმის მაგივრად, 14 ხმა დასჭირდება.

და ბოლოს, დროა გაუქმდეს ვეტოს ინსტიტუტი, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხების დროულ გადაწყვეტას. უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები ვეტოს ხშირად მიმართავენ, რაც უშიშროების საბჭოს მუშაობას არაეფექტურს ხდის, ხოლო საერთაშორისო კრიზისებს კი ალრმავებს. მუდმივი წევრები 10 წლიან მორატორიუმზე უნდა შეთანხმდნენ, რომლის განმავლობაში ვეტოს უფლებას მხოლოდ ექსტრემალურ ვითარებაში გამოიყენებენ, თუკი მათ ეროვნულ უსაფრთხოებას საფრთხე შეექმნება. ამ პერიოდმა სახელმწიფოები შეიძლება ვეტოს უფლების საბოლოოდ გაუქმებაში დაარწმუნოს.

უშიშროების საბჭოს შემადგენლობის გაფართოება და ვეტოს უფლების შეზღუდვა უპირველეს ყოვლისა თანამედროვე მსოფლიო რეალობის უკეთესად ასახვას და ინტერესების უფრო ადექვატურ წარმოდგენას გულისხმობს. ამგვარი ცვლილება მცირე ქვეყნებისათვის საკმაოდ მომგებიანია - მათ უჩნდებათ საშუალება უკეთ გაიტანონ თავიანთი აზრი და პრობლემები საერთაშორისო ასპარეზზე. მეორე მხრივ, უშიშროების საბჭო უნდა შენარჩუნდეს, როგორც ოპერატიული რეაგირების საერთაშორისო მექანიზმი. ოპერატიულობის შენარჩუნებასა და დისკუსიის არსის გაზრდას შორის ბალანსის ძიება რთული და ხანგრძლივი პროცესი იქნება, რაც საქართველოს საგარეო პოლიტიკის მუდმივ ყურადღებას მოითხოვს.

## სამშვიდობო ღონისძიებების რეფორმა

გაეროს ქარტიაში მოცემულია დისპუტების მშვიდობიანი გადაწყვეტის მექანიზმი, ხოლო გაერო ძირითადი ინსტრუმენტია, რომელსაც ამ მიზნის განხორციელება შეუძლია. უკანასკნელ წლებში მთელი რიგი სამშვიდობო ოპერაციების წარუმატებლობა აშკარა იყო. თუმცა, იყო წარმატებებიც — ნამიბიაში, კამბოჯაში, სალვადორსა და მოზამბიკში. მთელი ეს სურათი გვიდასტურებს, რომ ამ ღონისძიებათა სრულყოფისათვის აუცილებელია, როგორც წარმატებების, ისე მწარე გამოცდილების გამოყენება. სამშვიდობო ოპერაციებს უნდა გააჩნდეს სრული პოლიტიკური მხარდაჭერა, ერთმნიშვნელოვნად უნდა იყოს დაფიქსირებული მანდატი, გარანტირებული იყოს შესაბამისი აღჭურვილობისა თუ პერსონალის გამოყოფა და მხარდაჭერა.

უშიშროების საბჭომ 30 ათასი მსუბუქად შეიარაღებული ცისფერჩაფხუტიანი გაგზავნა ბოსნიაში მაშინ, როდესაც იქ სრულმასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა. ჩრდილო-ატლანტიკურმა ორგანიზაციამ კი, ამავე ზონაში, მხოლოდ სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, 60 ათასი მძიმედ აღჭურვილი და ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ჯარისკაცი შეიყვანა. სომალიში მრავალეროვანი ძალების 37 ათასი ჯარისკაცი ძლივს აკონტროლებდა ქვეყნის ტერიტორიის ნახევარს, მაშინ, როდესაც 22 ათას ცისფერჩაფხუტიანს ტერიტორიის სრული გაკონტროლების მანდატი მიეცა.

თავის მხრივ, გაერო ცდილობს გააუმჯობესოს სამშვიდობო ოპერაციების დაგეგმვა და მხარდაჭერა. შეიქმნა სპეციალური ცენტრი, რომელიც 24 საათის განმავლობაში ფუნქციონირებს. გაუმჯობესდა სამშვიდობო ოპერაციების პერსონალის საწვრთნელი პროგრამა. 50 ქვეყანასთან მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ამ ქვეყნების შეიარაღებული ძალების ნაწილი სამშვიდობო ოპერაციებში ოპერატიულად ჩართვისათვის მუდმივ მზადყოფნაში უნდა იყოს. თუმცა, მათი მონაწილეობა მაინც არ იქნება ავტომატური - სახელმწიფოები თავად გადაწყვეტენ მიიღონ, თუ არა მონაწილეობა ამა თუ იმ ოპერაციაში.

იუგოსლავიის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ახალი საერთაშორისო წესრიგის ფუძემდებლური პრინციპი საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენების ნორმის ტრანსფორმაციაში უნდა იქნას მოძიებეული. ამ თვალსაზრისით გაეროს უშიშროების საბჭოს რეფორმის საკითხი წარმოგვიდგება, როგორც ჭიდილი ორ ტენდენციას - ერთი მხრივ, უშიშროების საბჭოს კრიზისულ მდგომარეობას შორის, რომელიც განაპირობებს ძალის ცალმხრივი გამოყენების რეციდივებს და მეორე მხრივ, უშიშროების საბჭოში ცვლილებებს შორის, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს ძალის ინსტიტუციონალური გამოყენების ახალ მოდელამდე. პრინციპში, ძალის ცალმხრივი გამოყენების ტენდენციის დამკვიდრება საერთაშორისო სისტემისათვის დესტრუქციული მუხტის მატარებელია, რადგან ამ შემთხვევაში, ძალის გამოყენების მართლზომიერების წყაროდ ცალკეული სახელმწიფოების ან სახელმწიფოთა ჯგუფის ნება მიიჩნევა.

ამ მიმართებით, საყურადღებოა, რომ ალიანსის მოქმედების სამართლებრივ-პოლიტიკურ საფუძვლად მისი წევრი-სახელმწიფოების ლიდერები და ალიანსის ყოფილი გენერალური მდივანი ხ. სოლანა კოსოვოსთან დაკავშირებით მიღებულ უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შეუსრულებლობას ასახელებდნენ. ისინი, ამასთანავე, მიუთითებდნენ, რომ ასეთ პირობებში ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, როგორც გაეროს

ქარტიის 51-ე მუხლის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაცია, აგრესიის წინააღმდეგ ძალის გამოსაყენებლად არ საჭიროებდა გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციას.

ასეთი არგუმენტაციის საერთო აღიარების მიღწევის სირთულის გათვალისწინებით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ოფიციალური პირები მათთვის „ხელსაყრელი შთაბეჭდილების“ შესაქმნელად არ აზუსტებდნენ ოპერაციის წამოწყებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საბჭოსადმი ყოფილი გენერალური მდივნის ჰ. სოლანას 1998 წლის 9 ოქტომბრის წერილში შემდეგი დებულებებია ჩამოყალიბებული:

• მიუხედავად უშიშროების საბჭოს მიერ გაეროს ქარტიის მე-7 თავის მიხედვით მიღებული 1998 წლის 31 მარტის 1160 და 1998 წლის 23 სექტემბრის 1199 რეზოლუციებისა იუგოსლავიამ არ შეასრულა საერთაშორისო თანამეგობრობის მოთხოვნა;

• გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებებში, რომელიც ზემოაღნიშნული რეზოლუციების შესაბამისად გაკეთდა, სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება კოსოვოში ჰუმანიტარული კატასტროფის საფრთხეზე გამახვილდა;

• ჰუმანიტარული კატასტროფა გრძელდებოდა, რადგან იუგოსლავიამ არ განახორციელა კონკრეტული ღონისძიებანი კრიზისის მოსაგვარებლად;

• გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომელიც გაითვალისწინებდა იძულების ღონისძიების განხორციელებას, უახლოეს მომავალში მოსალოდნელი არ იყო;

• კოსოვოში სიტუაციის გაუარესება სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას, როგორც ეს ხაზგასმულია გაეროს უშიშროების საბჭოს 1119 რეზოლუციაში.

შესაბამისად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივანი ასკვნიდა, რომ არსებობს ლეგიტიმური საფუძველი ალიანსის მიერ ძალის მუქარის და თუ საჭირო გახდა, ძალის გამოყენებისათვის.

აღსანიშნავია, რომ 1999 წლის იანვარში, გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა ბრიუსელში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ იუგოსლავიაში სამხედრო ჩარევისათვის, ჩვეულებრივ, საჭიროა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია.

უკვე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ ძალის გამოყენების შემდეგ, კოფი ანანმა ერთგვარი შეშფოთებით აღნიშნა, რომ „წევრი-სახელმწიფოები და თვით რეგიონული ორგანიზაციები იძულების ღონისძიებებს ზოგჯერ უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე ახორციელებენ.“ იმავე გამოსვლაში გაეროს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ „ზოგჯერ დგება დრო, როდესაც მშვიდობის მისაღწევად ძალის გამოყენება შეიძლება ლეგიტიმურად ჩაითვალოს“. კოფი ანანმა ხაზი გაუსვა, რომ სანამ უშიშროების საბჭო არ აღადგენს თავის, როგორც ძალის გამოყენების ლეგიტიმურობის ერთადერთი წყაროს როლს, ჩვენ ყველანი ანარქიის საშიში მდგომარეობისკენ მივდივართ.

ამრიგად, დღეისათვის გაეროს უშიშროების საბჭოს რეფორმის ძირითადი საკითხი უნდა ვეძიოთ სწორედ იმაში, თუ რაოდენ წარმატებით მოახერხებს უშიშროების საბჭო ძალის გამოყენების ლეგიტიმურობის განმსაზღვრელის ფუნქციის დაბრუნებას. ძალის გამოყენების ლეგიტიმურობის საკითხთან მიმართებით ძალზე მნიშვნელოვანია, უშიშროების საბჭოს როლი აგრესიის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რაც მას საერთაშორისო სისხლის სასამართლოს საშუალებით საერთაშორისო მართლმსაჯულების აღსრულებასთან აკავშირებს.

ფართო გაგებით, უშიშროების საბჭოს რეფორმის პრობლემა კოლექტიური უშიშროების სისტემის ფუნქციონირების პრობლემაა, რომლის ძირითად მექანიზმს გაეროს ქარტიის მე-7 თავი აყალიბებს. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ მე-7 თავის დებულებები ძალის გამოყენების თვალსაზრისით არასოდეს ყოფილა განხორციელებული. მეორე მსოფლიო ომის შემდეგდროინდელი ძალის გამოყენების ყველა შემთხვევა ეფუძნებოდა ad hoc მექანიზმებს, როდესაც გადამწყვეტი როლი ეკისრებოდა სახელმწიფოთა კოალიციებს, რომელთაც უშიშროების საბჭო ძალის გამოყენების ნებართვას აძლევდა. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ გაეროს ქარტიის კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის კრიზისი გაეროს ქარტიის ხელმოწერისთანავე დაიწყო.

უშიშროების საბჭოს შემადგენლობის გაზრდის წინადადებების ძირითადი არსია ძალის გამოყენების ლეგიტიმურობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფა. ამასთანავე, საფიქრებელია, რომ უშიშროების საბჭოში მსოფლიოს გეოპოლიტიკური ცენტრების ადეკვატურად ასახვა გაზრდის ძალის გამოყენების გადაწყვეტილების დემოკრატიულობას, რაც, თავის მხრივ, ლეგიტიმურობის ერთ-ერთ ასპექტად განიხილება.

ამ ცვლილებათა მიუხედავად, სამშვიდობო ოპერაციების ეფექტურობა მთლიანად სამშვიდობო ოპერაციისათვის აუცილებელი დაფინანსების არსებობაზეა დამოკიდებული. თუ ქვეყნები დაწესებულ გადასახადებს დროულად არ გადაიხდიან, ჯარებისა და სხვა სახის დახმარების გამოყოფის სულ უფრო ნაკლები მსურველი იქნება. ამავე დროს, არსებობს სხვა ყურადსაღები პრობლემებიც, რომელთა შორისაა:

♦ გენერალური მდივნის პრევენტული ქმედების მასშტაბების გაზრდა და ამ საშუალების გამოსაყენებლად ურთულეს პრობლემებში ჩაფლულ სახელმწიფოთა წახალისება;

♦ გაეროს პრევენტულ ღონისძიებათა უფრო





მჭიდროდ დაკავშირება ისეთ რეგიონულ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია და აფრიკული ერთობის ორგანიზაცია;

♦ სამშვიდობო სარეზერვო ძალების სისტემის გაძლიერება და იმ ქვეყნებთან თანამშრომლობა, რომლებსაც გაეროს ძალების სწრაფი გადაყვანის ტექნიკური საშუალებები გააჩნიათ. აუცილებელია გაეროს შტაბ-ბინასა და მოქმედ სამშვიდობო ძალებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება;

♦ გაეროს იმ შესაძლებლობების გაძლიერება, რომლებიც სამოქალაქო კონფლიქტების შემდგომ პერიოდშია მნიშვნელოვანი — საპოლიციო/მრჩეველთა მისიების ჩამოყალიბებაში, დახმარება არჩევნების ჩატარებასა და ადამიანთა უფლებების დაცვის მონიტორინგში.

## ეკონომიკური უსაფრთხოების საბჭო

საერთაშორისო თანამშრომლობის რეფორმირება არ შეიძლება სრულყოფილად ჩაითვალოს, თუკი მსოფლიო ეკონომიკის უკეთესი მართვის საკითხი არ გადაწყდება. თანამედროვე მსოფლიოში აშკარაა სახელმწიფოთა განვითარების დონეში პოლარიზაცია. ეკონომიკური და სოციალური საბჭო უკვე ველარ ასახავს ახალ ეკონომიკურ რეალობას. დიდი შვიდეულის ქვეყნები მსოფლიო ეკონომიკის 50%-ს წარმოადგენენ, მაშინ როდესაც მათი მოქალაქეები მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 12%-ს შეადგენენ. ქვეყანათა ამ მცირე ჯგუფს არ შეუძლია მსოფლიოს უმრავლესი სახელმწიფოსათვის აუცილებელ მთავარ ეკონომიკურ საკითხებზე კონსენსუსის მიღწევა. რეალურად მსოფლიო ეკონომიკის მართვა კი დიდი შვიდეულის პრიორიტეტი გახდა.

მსოფლიო ეკონომიკაში არსებული პრობლემების გადაწყვეტისათვის მსოფლიო მმართველობის კომისია გვთავაზობს ეკონომიკური უსაფრთხოების საბჭოს მექანიზმს, რომელიც გაეროს ეგიდით იმუშავებს. ბევრი კრიტიკოსი აცხადებს, რომ გაერო მთავრობებისგან განცალკევებით არსებობს და არ შეუძლია ეკონომიკური საკითხების გადაჭრა. თუკი უშიშროების საბჭო მსოფლიო მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებს წყვეტს, აღნიშნული ახალი ორგანო სუვერენულ სახელმწიფოთა ჯგუფს ეკონომიკურ საკითხებზე მუშაობის საშუალებასაც მისცემს.

საბჭოში უნდა შევიდეს მსოფლიო ეკონომიკაში წამყვანი სახელმწიფოები. თუმცა, დაცული უნდა იყოს ბალანსი მსოფლიოს ძირითად რეგიონებს შორის. შესაძლებელია საბჭოში წარმოდგენლი იყოს რეგიონული ჯგუფები, რომლებიც მისი წევრების ინტერესებს წარმოადგენენ. ასეთ ჯგუფებში მოიაზრება ევროპის კავშირი, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოების ასოციაცია, მერკოსური (არგენტინა, ბრაზილია, ურუგვაი, პარაგვაი). საბჭოს წევრების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეფორმირებული უშიშროების საბჭოს წევრთა რაოდენობას - 23 წევრი.

საბჭო ფინანსთა მინისტრების, წელიწადში ერთხელ კი - მთავრობის მეთაურების დონეზე უნდა იკრიბებოდეს. აქ დიდი ბიუროკრატიის არსებობის საჭიროება არ არის. საბჭოს შეიძლება პატარა სამდივნოც მოემსახუროს.

ეკონომიკური უსაფრთხოების საბჭოს როლი დროთა განმავლობაში განვითარდება. მის ფუნქციებში იქნება გრძელვადიანი, სტრატეგიული პოლიტიკის შემუშავება სტაბილური, ბალანსირებული და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. პოლიტიკის შემუშავებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს სხვა ეკონომიკური ინსტიტუტების (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია) მოსაზრებებიც. საბჭოს როლი ასევე შეიძლება აისახოს მთავრობებს შორის დიალოგის ხელშეწყობასა და მსოფლიო ეკონომიკის პრობლემებზე გლობალური ფორუმის გამართვაში.

## სამეურვეო საბჭოს რეფორმა

თანამედროვე მსოფლიოში მრავლად არის ისეთი პრობლემები, რომელიც ყველა სახელმწიფოს ერთნაირად აღელვებს და მათი გადაწყვეტა საერთაშორისო თანამშრომლობას მოითხოვს. ოკეანეები, ატმოსფერო, სახელმწიფო იურისდიქციის გარეთ მყოფი წყლები, გარემო, ბუნებრივი რესურსები ის საკითხებია, რომელთა გადაწყვეტაშიც საერთაშორისო თანამშრომლობამ თავისი სიტყვა უნდა თქვას.

გაეროს სამეურვეო საბჭომ ამოწურა თავისი პირვანდელი ფუნქცია და ახლა დროა მოხდეს გაეროს ამ ორგანოს რეფორმირება. სამეურვეო საბჭო შეიძლება გადაიქცეს მსოფლიო ფორუმად გარემოსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ხელი შეუწყოს ხელშეკრულებების დადებას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა კლიმატური ცვლილება, ბიომრავალფეროვნება, კოსმოსი და საზღვაო სამართალი.

ეს საკითხები 1945 წელს დღის წესრიგში არ იყო და გაეროს ქარტიაშიც არ არის ნახსენები.

გაეროს უკვე აქვს მრავალი კომიტეტი თუ კომისია, რომლებიც მსოფლიოსთვის საერთო პრობლემების გადაწყვეტაზე მუშაობენ. სამეურვეო საბჭოს შეიძლება მსგავსი საერთო პრობლემების გადაწყვეტა დაეკისროს.

## გენერალური ასამბლეა

გენერალური ასამბლეა უნიკალური პოლიტიკური ფორუმია, სადაც ყველა საკითხის

განხილვაა შესაძლებელი. მის რეზოლუციებს სარეკომანდაციო ხასიათი გააჩნია და წევრი-სახელმწიფოებისათვის შესასრულებლად სავალდებულო არ არის. გენერალური ასამბლეა ხელს უწყობს ახალი საერთაშორისო ქცევის ნორმების დამკვიდრებას, შეუძლია ახალი ხელშეკრულებების შემუშავება, რომლებსაც შეიძლება მოგვიანებით სახელმწიფოები შეუერთდნენ, ან შეუძლია მორალური ძალის მქონე დეკლარაციები მიიღოს.

სახელმწიფოებს შორის არის თანხმობა იმაზე, რომ დაიხვეწოს გენერალური ასამბლეის მუშაობის პროცედურა, შემსუბუქდეს გადატვირთული დღის წესრიგი და კომიტეტების სტრუქტურა უფრო რაციონალური გახდეს. მნიშვნელოვანია გენერალური ასამბლეის პრეზიდენტის შესაძლებლობების გამოყენება. უნდა გაიზარდოს მისი როლი და მას გენერალურ მდივანსა და უშიშროების საბჭოს შორის კავშირების გაუმჯობესება დაევალოს. უნდა გახშირდეს პრეზიდენტის ვიზიტები სხვადასხვა რეგიონებში, რაც მწვავე საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტას ხელს შეუწყობს.

გაცილებით ბევრი შეიძლება გაკეთდეს ყოველ შემოდგომაზე მსოფლიოს ყველა ქვეყნის ლიდერისა და საგარეო საქმეთა მინისტრების ტრადიციული შეხვედრით. ამის მისაღწევად აუცილებელია დიალოგის კულტურის განვითარება რეგიონებში არსებულ მთელ რიგ საკითხებზე.

## სამოქალაქო საზოგადოების როლი

გაერო მთავრობების ორგანიზაციაა, რომლებიც სხვადასხვა დემოკრატიული პროცედურით აირჩევიან. გაეროს არსებობისთვის მნიშვნელოვანია, რომ მასში მთავრობებია წარმოდგენილი, მაგრამ სულ უფრო მატულობს მმართველობის ნებისმიერ სფეროში, მათ შორის, გლობალურ დონეზე, სამოქალაქო საზოგადოების როლის გაფართოვების მოთხოვნილება. დღეისათვის ორიათასამდე არასამთავრობო ორგანიზაციაა აკრედიტებული გაეროში. არასამთავრობო ორგანიზაციების როლის აღიარებად შეიძლება გენერალურ ასამბლეამდე სამოქალაქო საზოგადოების ყოველწლიური ფორუმის მოწვევა ჩაითვალოს. გენერალური ასამბლეის სხდომათა დარბაზში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შეხვედრას ძლიერი სიმბოლური დატვირთვა აქვს. სამოქალაქო საზოგადოებას ძალუძს გაეროში მიმდინარე სამთავრობათშორისო პროცესებზე უფრო სერიოზული გავლენა იქონიოს.

სამოქალაქო საზოგადოებისათვის ხმის მიცემის პრაქტიკული გზა იქნება პეტიციების საბჭოს შექმნა, რომელიც ადამიანთა უსაფრთხოების საკითხებზე ცალკეული ინდივიდებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წინადაებებს მიიღებს. საბჭოს უნდა მიეცეს ამ საკითხების პირდაპირ უშიშროების საბჭოზე გატანის უფლება პოლიტიკური განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის. სამოქალაქო საზოგადოებისათვის „პეტიციის უფლება“ კაცობრიობის წინაშე მისი როლის აღიარება იქნება და გაეროს პრევენტული მოქმედებების საშუალებას მისცემს.

აღსანიშნავია, რომ გაეროს გენერალურმა მდივანმა გაეროს საქმიანობაში სამოქალაქო საზოგადოების უფრო ფართო მონაწილეობას მხარი დაუჭირა და რეკომენდაცია წარადგინა, რომ „ხალხთა მილენიუმის“ სამიტი 2000 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის სესიამდე გაიმართოს.

თავის ერთ-ერთ პირველ გამოსვლაში კოფი ანანმა მსოფლიოში სიღარიბისა და უსამართლობის აღმოფხვრისათვის ბრძოლაში გაეროსა და კერძო სექტორს შორის ახალი თანამშრომლობისაკენ მოუწოდა. კოფი ანანის მოწოდებამ, როგორც ჩანს, კერძო სექტორის წარმომადგენლებზე იმოქმედა. ამის გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს კომპანია „Time-Warner“-ის თანათავმჯდომარის, ტედ ტერნერის მიერ გაეროსათვის 1 მლრდ. დოლარის გადაცემა. ტერნერის ნაბიჯი შეფასებულ იქნა, როგორც გაეროსათვის ნდობის გამოცხადება, რასაც კერძო სექტორის სხვა წარმომადგენლებზეც უნდა ემოქმედა.

## სამდივნო რეფორმა

გაეროს რეფორმირებაზე საუბრისას ხშირად აღნიშნავენ სამდივნოს რეორგანიზაციის საკითხს. პრობლემის გადაჭრა ზემოდან უნდა დაიწყოს და გენერალურ მდივანს შეეხოს. რეფორმის მომხრეები გენერალურ მდივანს ნდობას უცხადებენ და სხვადასხვა სფეროებში გენერალური მდივნის მოადგილეების დანიშვნას უჭერენ მხარს. განსაკუთრებით აუცილებელია საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სფეროში მოადგილის დანიშვნა.

გენერალური მდივნის არჩევის პროცედურა რადიკალურად საჭიროებს გაუმჯობესებას. აუცილებელია, რომ ამ პოსტზე საუკეთესო პიროვნება იყოს არჩეული. უშიშროების საბჭოს წევრებმა ჯენტლმენურ შეთანხმებას უნდა მიაღწიონ და კანდიდატების შერჩევისას არ უნდა გამოიყენონ ვეტოს უფლება. კანდიდატებმა არ უნდა აწარმოონ საარჩევნო კამპანია და მათი არჩევა ერთხელ, 7 წლის ვადით უნდა მოხდეს. მთვარობებმა უნდა გაითვალისწინონ კანდიდატის კვალიფიკაცია და არჩევანი მხოლოდ საუკეთესოზე შეაჩერონ.

წევრ-სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ სამდივნოს საკუთარი ეროვნული ინტერესებისათვის გამოყენებისაგან და მისი მაქსიმალური დამოუკიდებლობა უზრუნველყოს. სამდივნოში





რაც შეიძლება ფართოდ უნდა იყოს წარმოდგენილი ყველა წევრ-სახელმწიფო, და რაც უფრო მაღლა ავდივართ, უფრო მრავალფეროვანი უნდა იყოს წარმომადგენლობა. ასევე უნდა გაიზარდოს ქალთა მონაწილეობა გაეროს სისტემის მმართველ ორგანოებში. ისეთი ბრწყინვალე მენეჯერი, როგორიცაა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი სადაკო ოგატა მმართველ ორგანოებში ქალების დაწინაურებას ხელს შეუწყობს.

## მმართველობა და პასუხისმგებლობა

გაეროს ყურადღების ცენტრში ხელმძღვანელობის გაძლიერება, განსაკუთრებით კი, ზედამხედველობითი ორგანოების სრულყოფაა. შრომის ნაყოფიერების გასაუმჯობესებლად, პასუხისმგებლობის გასაზრდელად და დროის არადანიშნულებისამებრ გამოყენების აღსაკვეთად, აუცილებელია რევიზიის ჩატარება. ბოლო წლებში გაწეული ძალისხმევის შედეგად გარკვეულწილად მიიღწა ორგანიზაციული მმართველობის სისტემის გაძლიერება. აღსანიშნავია შიდა მონიტორინგის სამსახურის მოღვაწეობა.

1994 წლის ზაფხულში გენერალურმა ასამბლეამ შიდა მონიტორინგის სამსახურის (OIOS) ჩამოყალიბების გადაწყვეტილება მიიღო. იგი გამიზნულია გაეროს პროგრამების ნაყოფიერებისა და ეფექტურობის გასაზრდელად; პროგრამების სისტემატური შეფასების უზრუნველსაყოფად; დროის არადანიშნულებისამებრ გამოყენების აღსაკვეთად. აგრეთვე, მის ფუნქციებში შტატის წევრების არაკომპეტენტურობის შესახებ გენერალური მდივნისა და გენერალური ასამბლეის ინფორმირება შედის. 1994 წლის 15 ნოემბერს გერმანელი კარლ თეოდორ პაშკე ორგანიზაციის ხელმძღვანელად ხუთწლიანი ვადით დაინიშნა.

მმართველობითი სტრუქტურის რეფორმის გზაზე კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯად გენერალური მდივნის წარმომადგენლის თანამდებობის შემოღების საკითხია მიჩნეული. 1996 წელს აშშ-მ გამოთქვა მოსაზრება გენერალური მდივნის წარმომადგენლის თანამდებობა ჩამოყალიბებულიყო. დღეს, გენერალური მდივნის წარმომადგენელი გაეროს რეფორმის პროგრამის პროცესში წამყვან როლს ასრულებს. იგი განაგებს ადმინისტრაციულ შესაძლებლობებს და თვალყურს ადევნებს მრავალ საკითხს, რაც ინსტიტუტების ყოველდღიური მართვისათვის არის მნიშვნელოვანი.

გაეროს რეფორმის საკითხებზე საუბრისას, არაერთხელ აღინიშნა, რომ ინიციატივათა დიდი ნაწილი გაეროს გარედან მოდის. დისკუსიის პროცესში, რა თქმა უნდა, ჩაბმული არიან სხვა საერთაშარისო ორგანიზაციებიც.

ამ სფეროში მოღვაწეობისას, განსაკუთრებული ყურადღება განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნილებებს უნდა მიექცეს. ახალმა გლობალურმა პარტნიორობამ წინა პლანზე მდგრადი განვითარება უნდა წამოსწიოს, ხალხი განვითარების ცენტრში უნდა მოექცეს, რაც შესაძლებელს გახდის განვითარებადმა ქვეყნებმა მსოფლიო ეკონომიკაში მიიღონ მონაწილეობა და მისი მიღწევები გაიზიარონ. ახალმა თანამეგობრობამ ახალი მიზნები და ამოცანები უნდა დაისახოს. კერძოდ, სიღარიბესთან ბრძოლა, საერთაშორისო ბაზრების ხელმისაწვდომობა, სახელმწიფოებს შორის უთანასწორობის შესუსტება, ჯანმრთელობის, განათლების, აგრეთვე ადამიანთა ჯანდაცვისა და სხვა საშუალებათა სტანდარტების გაუმჯობესება, ქალთა უფლებები, ადამიანის უფლებების დაცვა, გარემოს დაცვა.

ცხადია, რომ თუ გაერო განვითარების მხარდამჭერ მთავარ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებს, მაშინ გაეროს განვითარების უფრო ერთიანი, ეფექტური და ნაყოფიერი სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა ჩნდება. აღნიშნული სისტემა უნდა მოიცავდეს საქმიანობის მთელ სპექტრს, გრძელვადიან ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, ჰუმანიტარულ დახმარებასა და კრიზისის შემდგომ დარეგულირებას. რეფორმის მიზანი ორგანიზაციის ეფექტურობის გაზრდა უნდა იყოს, რათა მან ახალი გლობალური პარტნიორობის მხარდასაჭერად მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს. ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში გაეროს საქმიანობის გაძლიერების ნებისმიერი ღონისძიება სხვა დაწესებულებებთან მიმართებაში მის შედარებით უპირატესობასა და ძალას უნდა დაეფუძნოს.

გაერო გზაჯვარედინზე იმყოფება. უამრავი ამოცანის ეფექტურად გადაჭრის შემთხვევაში, განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში მიმდინარე რეფორმა მნიშვნელოვნად წინ წაიწევს. ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში გაეროს საქმიანობის რეფორმა არ შეწყდება. პირიქით, გაეროს შესაძლებლობა ექნება ამ სფეროში ვალდებულებებსა და ამოცანებს მხნედ გაუმკლავდეს. ამისათვის აუცილებელია პროცესის განახლება და რეფორმა, ეს კი თანამშრომლობასა და ერთობლივ გადაწყვეტილებებს უნდა დაეფუძნოს. აღნიშნულის გათვალისწინებით, გაერო მზად იქნება მომავალი საუკუნის ამოცანების მოსაგვარებლად.

## გაეროს ფინანსური რეფორმა

გაეროს რეფორმირების შესახებ საუბრისას, ყველა მოდავე მხარე ფინანსური რეფორმის საკითხის უპირველეს მნიშვნელობას აღიარებს. გაეროს ფინანსური მდგომარეობის გაუარესება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმით,

რომ მრავალ წევრ-ქვეყანას, უდიდესი დონორის, აშშ-ის ჩათვლით, ორგანიზაციის მილიონობით დოლარი ვალი აქვს.

გაეროს ბიუჯეტში 10 ყველაზე დიდი დავალიანების მქონე სახელმწიფო, 1998 წლის მონაცემები მლნ. აშშ დოლარი




ცალკეული შეხედულებებისამებრ, გაეროს ბიუჯეტი უსამართლოდ ექცეოდა ისეთ დიდ გადამხდელს, როგორიც აშშ-ია. მრავალი წლის უკმაყოფილების შემდეგ, სენატორმა ნენსი კასებაუმმა 1985 წელს სახელმწიფო დეპარტამენტის კანონპროექტის შესწორება წარმოადგინა. იგი გაეროს ბიუჯეტში აშშ-ის დადგენილი შენატანის 20 %-ით შემცირებას მოითხოვდა. ეს იმ შემთხვევაში, თუ გენერალური ასამბლეა საბიუჯეტო საკითხებზე გაძლიერებული ხმის მიცემის სისტემას არ მიიღებდა. შესწორება გამიზნული იყო იმისათვის, რომ ამ საკითხების გადაწყვეტისას აშშ-ს ძლიერი ხმა ჰქონოდა. გადასახადზე უარის თქმით, აშშ-მა გაეროს ასამბლეის 41-ე სხდომა აიძულა მისთვის სასარგებლო რეფორმათა პაკეტი მიეღო. ამან კი გამოიწვია ის, რომ წევრ-ქვეყნებს კონსესუსისთვის უნდა მიეღწიათ, ან საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე ერთხმად უნდა შეთანხმებულიყვნენ.

დღესდღეობით, გადასახადის რაოდენობა ეროვნულ შემოსავალს ეყრდნობა და მდიდარი ქვეყნები, ბუნებრივია, მეტს იხდიან. გაეროს საგადასახადო სისტემის ერთ-ერთი სისუსტეთაგანი სწორედ ისაა, რომ გადახდისუნარიანობის შეფასება არც დროულია და არც ობიექტური. საგადასახადო შკალის შესწორება, როგორც წესი, რეალურად შეფარდებით ეკონომიკურ სიმდიდრეში ცვლილებებს 7-8 წლით ჩამორჩება. ქვეყნების კლასიფიკაცია, რომელიც ღარიბი ქვეყნებისათვის იყო გამიზნული, 70-იან წლებში დამუშავდა და მას შემდეგ არ შეცვლილა. მცირე ქვეყნები იძულებულნი არიან, მინიმალური დადგენილი გადასახადი გადაიხადონ, რაც გულისხმობს იმას, რომ ისინი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით დიდ ქვეყნებზე მეტს იხდიან.

ამ უთანასწორო სისტემის იმგვარად შეცვლა, რომ გადასახადების შკალა რეგულარულად და სწრაფად შესწორებულიყო, პოლიტიკური მოტივებისა და სახელმწიფოთა „ვაჭრობის“ გარეშე, გაეროს ფინანსური სისტემის გაჯანსაღებისათვის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნებოდა.

არის მოსაზრება, რომ გადასახადების სისტემა ნებაყოფლობით შემოწირულობებს უნდა ეფუძნებოდეს. ერთნი საერთაშორისო საფინანსო ოპერაციებზე ან ავიაბილეთებზე გადასახადის დაწესებას გვთავაზობენ, მეორენი კი - საერთაშორისო ლატარიის გათამაშებას. ძნელია გადასახადების ნებაყოფლობითობას დავაფუძნოთ უნივერსალური ორგანიზაციის ფუნქციონირება, რომლისგანაც მსოფლიო სულ უფრო და უფრო მეტს ელის. რაც შეეხება გაეროს სასარგებლოდ

გაეროს რეგულარულ ბიუჯეტში შენატანების ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე (ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით) 10 სახელმწიფო. 1998წ. მლნ. აშშ დოლარი








გადასახადების დაწესებას, ეს ალბათ მრავალ პოლიტიკურ და ტექნიკურ პრობლემას შექმნის. ამასთანავე, მთავრობებიც ნაკლებად ისურვებენ ისეთი გადასახადების დაკანონებას, რომელთა ხარჯვაზეც კონტროლი არ ექნებათ.

1999 წელს გაეროს რეგულარულ ბიუჯეტში ყველაზე მაღალი საწევროს შენატანის მაჩვენებლის მქონე სახელმწიფოები (მლნ. აშშ დოლარი)




გასული წლების გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ აუცილებელია მთავრობათა, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური სტიმულირება, რათა გადახდა დროული და სრული იყოს. წახალისება უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომელთაც გაიღეს იმაზე მეტი, ვიდრე კანონმდებლობა ავალდებულებდათ და ამით ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას ხელი რეალურად შეუწყვეს. გადასახადების დაგვიანების ალსაკვეთად მთელი რიგი ზომების შემუშავებაა აუცილებელი. ეს შესაძლოა გამოიხატოს როგორც დავალიანებაზე პროცენტის დარიცხვით, არსებული საბაზრო განაკვეთების შესაბამისად, ასევე უშიშროების საბჭოსა და გაეროს სხვა ორგანოებში არჩევაზე რიგის დაკარგვაში, გაეროს კონტრაქტებში მონაწილეობის ალკვეთასა და ამ ქვეყნის წარმომადგენლებისათვის გაეროს საპასუხისმგებლო პოსტებზე არჩევის უფლების ჩამორთმევაში. რეალობიდან გამომდინარე, არსებული დავალიანების დასაფარავად, უპრიანი იქნებოდა ხუთწლიანი ვადის დაწესება, რის შემდეგაც ძალაში ეს ახალი სანქციები შევიდოდა.

1998 წლის მარტში გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა საწყისი საბიუჯეტო და ადმინისტრაციული რეფორმების დეტალები წარმოადგინა. ეს რეფორმები მისი მმართველობის პროცესში უნდა დაწყებულიყო. მათ შორის მთავარი გაეროს სამდივნოს მიერ ადმინისტრაციული ხარჯების 1/3-ით შემცირება იყო.

წინადადებათა უმრავლესობა გაეროს გარედან მოდის. გენერალური მდივნის მოთხოვნით, ფორდის ფონდმა მოიწვია დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც ღონისძიებათა შემდეგი გეგმა დასახა:

- ♦ ქვეყნებმა ერთდროულად დაფარონ სამი წლის გადასახადი;
- ♦ დაგვიანებულ გადასახადებზე დაერიცხოს პროცენტი;
- ♦ დაარსდეს 400 მილიონი დოლარის ოდენობის ფონდი, რომელიც წევრი-სახელმწიფოების მიერ დაფინანსდება და სამშვიდობო ოპერაციების საწყისი ფაზის მომზადებას მოხმარდება;
- ♦ სამშვიდობო ოპერაციები ქვეყნების თავდაცვის და არა საგარეო უწყების ბიუჯეტის ნაწილი გახდეს.

10 სახელმწიფო, 1999 წელს გაეროს რეგულარულ ბიუჯეტში საწევრო შენატანის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით (%)




ავსტრალიამ წამოაყენა წინადადება ვალუტის გაცვლითი ოპერაციების საფასურად ქვეყნების გადასახადს 0,001% დაერიცხოს. ეს წლიურად 3 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს და სამშვიდობო ოპერაციების ღირებულებას მთლიანად ფარავს.

ევროკავშირმა შემოიტანა

წინადადება, გადასახადის დროულად გადახდა ფინანსურად მომგებიანი იყოს წევრი-ქვეყნებისათვის, ხოლო ორი წლის გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში კი, ქვეყანას ხმის უფლება ავტომატურად ჩამოერთვას.

შედარება მლრდ. აშშ დოლარი[1]




## მომავლის ხედვა

კაცობრიობის სწრაფვას მშვიდობისაკენ ღრმადა აქვს გადგმული ფესვები ისტორიაში. ომის დამღუპველობა და სისასტიკე ყოველთვის აღძრავდა ადამიანთა სულებში უფრო სამართლიანი, ნათელი და ომისაგან თავისუფალი მსოფლიოს ხატებას.

საყოველთაო მშვიდობის შესახებ ოდითგანვე დაწყებულ დისკუსიას კაცობრიობისათვის ხელი არ შეუშლია თითქმის ყოველი ათწლეული ომის საშინელებებით აღენიშნა. იმისდა მიუხედავად, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში წარმოშობილი თეორიები ომს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევდნენ, მათ მაინც მოუმზადეს საფუძველი XX საუკუნეში ომის კანონგარეშე გამოცხადებას.

მეორე ათასწლეულის ბოლოს მიმდინარე მსოფლიო ომებში ადამიანებმა საყოველთაო განადგურების საფრთხე დაინახეს და არა მხოლოდ ეთიკური კატეგორიების, არამედ თვითგადარჩენის პრაგმატული მოსაზრებებით, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს საერთაშორისო ურთიერთობების უკვე ტრადიციულად ქცეული ფორმის, ომის მიზანშეწონილობა. მშვიდობიანი თანაარსებობის იდეამ შვა ერთა ლიგა და გაერო. თუ პირველის სიცოცხლე ხანმოკლე გამოდგა და მისი მოღვაწეობის უმთავრეს შედეგად, ალბათ, მეორესათვის საფუძვლის მომზადება უნდა ჩავთვალოთ, გაერომ ურთულეს ათწლეულებს გაუძლო და განვითარებისაკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა.

გაეროს როლის სამომავლო გააზრება მჭიდროდ უკავშირდება თვით საერთაშორისო საზოგადოების განვითარების პროცესს. თუკი ცნება „საერთაშორისო საზოგადოება“ ადრე, მხოლოდ, მსოფლიოს სახელმწიფოთა საზოგადოებების მათემატიკურ ჯამს შეადგენდა, დღეს ის ცოცხალი, დინამიურად და ურთიერთგადაჯაჭვულად განვითარებადი ერთობაა. საერთაშორისო საზოგადოებას აკავშირებს სახელმწიფოებსა და კომპანიებს შორის გაბმული თანამშრომლობის ძაფები, გლობალურად ქცეული კულტურული სივრცე, საერთო ინფორმაციული ველი, რომელიც უსწრაფესად ვითარდება და სულ უფრო ახალ ფორმებს იღებს. ამავე დროს, საერთაშორისო საზოგადოებას ემუქრება მრავალი ბუნებრივი თუ საზოგადოების მიერ შობილი პრობლემა - ეკოლოგიური კატასტროფები, გლობალური დათბობა, საერთაშორისო დანაშაული - რომელთა გადაწყვეტა მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება.

ეს ყოველივე გვაძლევს იმედს, რომ მშვიდობა უკვე იმდენად ღირებულია, რომ გლობალური ომი მეტისმეტად ძვირ სიამოვნებად იქცა; რომ ის მოგება, რომელსაც თითოეული ჩვენგანი საერთაშორისო საზოგადოების შეუფერხებელი მუშაობით იღებს, იმდენად დიდია, რომ საზოგადოებები აღარ დაუჭერენ მხარს ელიტების სამხედრო ავანტიურებს; რომ დემოკრატიული სისტემა ხელს შეუშლის ხელისუფლებაში ფანატიკოსების მოსვლას.

მომავლის საზოგადოების ოპტიმისტური მოდელი საერთაშორისო ორგანიზაციების როლის მკვეთრ ზრდას ითვალისწინებს. გაეროსათვის, ანდა, შესაძლოა, მისი მემკვიდრე ორგანიზაციისათვის ნამდვილად არის ადგილი ასეთ საზოგადოებაში არა მხოლოდ საერთაშორისო პოლიტიკური დიალოგის შესანარჩუნებლად, არამედ ადამიანის ცხოვრების მრავალ სფეროში დაწყებული კვლევისა და კონკრეტული საქმიანობის გასაგრძელებლად.

ცხადია, რომ მსოფლიოში ჯერ კიდევ მრავალი პრობლემაა, რომელსაც შეუძლია თავისუფალი და მშვიდობიანი მსოფლიოს ხედვა ნამსხვრევებად აქციოს. ლოკალური ომები არანაკლებ სისხლიანია ვიდრე გლობალური, ადამიანის უფლებები უხეშად ირღვევა მრავალ სახელმწიფოში, ფიზიკური ძალა ჯერ კიდევ თრგუნავს სამართლიანობას.

ერთი უპირატესობა, რომელიც დღეს ჩვენ ყველას გაგვაჩნია და რომელშიც გაეროს დიდი წვლილი მიუძღვის ისაა, რომ ჩვენ, საერთაშორისო საზოგადოებას, შეგვიძლია არჩევანის გაკეთება. მშვიდობიანი მსოფლიო კი საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმს მოითხოვს.

ჩვენი ნებაა ავირჩიოთ სასურველი მომავალი და სრულვყოთ ის ინსტრუმენტები, რომლებიც ამ მომავლის რეალობად ქცევაში დაგვეხმარება.

---

მასალა მოამზადა გაეროს ასოციაციის სამუშაო ჯგუფმა
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრის დაკვეთით

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაერო, დამხმარე სახელმძღვანელო. საქართველოს გაეროს ასოციაციისა და გაეროს საზოგადოებრივი ინფორმაციის დეპარტამენტის გამოცემა. 1999წ.
2. Our global Neighborhood, The Commission on Global Governance, Reforming the United Nations, Chapter Five Our Global Neighbourhood, DPI 1997
3. Staff become focus of United Nations modernization, New management culture key to revitalization, United Nations Focus series, (No. 4 - Nov. 1998)
4. Proposals of the European Union for Reform of the United Nations System in the Economic and Social Areas, New York, 28 January 1997
5. UN Reform, Restructuring for global governance (From eco-logic, July/August, 1997)
6. The United Nations: A time to Reform, By Ingvar Carlsson, Co-Chairman of the Commission on Global Governance, This article appeared in the 100th Issue of Foreign Policy Magazine, Fall 1995
7. The United Nations At 50: The Issues and Opportunities by Maurice Strong, April 1997
8. General Assembly takes decisive first step on UN Reform, United Nations Focus series, (No. 1 - Nov. 1997)
9. Secretary-General sets course forlong-awaited UN revitalization, United Nations Focus series, (No. 2 - Jan. 1998)
10. Utopia Lost, The United Nations and World Order, Rosemary Righter, 1995
11. Basic Facts About the United Nations, UN DPI Edition. 1999
12. Conference New Challenges, Annual Report on the Work of the Organization, Boutros Boutros Ghali, UN DPI Edition 1995
13. An Agenda for Democratization, Boutros Boutros Ghali, UN DPI Edition 1996
14. Partnerships for Global Community, Annual Report on the Work of the Organization, Kofi A. Annan, UN DPI Edition 1998

[1] გაეროს ბიუჯეტში საქართველოს შენატანი 2000 წლისათვის არის 0,007%, რაც დაახლოებით 80 000 აშშ დოლარს შეადგენს.

# საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებების შეუსრულებლობა და სანქციის გამოყენების შესაძლებლობები

■ გაგა გაბრიჩიძე

## შესავალი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს მიმოიხილოს საერთაშორისო სამართლის სივრცეში არსებული 4 განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მართლმსაჯულების ორგანოს (საერთაშორისო სასამართლო, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო, საერთაშორისო საზღვაო სასამართლო და ევროპის გაერთიანების სასამართლო) სასამართლო გადაწყვეტილებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები და აღნიშნულ შემთხვევაში შესაბამისი სახელმწიფოს წინააღმდეგ სანქციის გამოყენების შესაძლებლობები.

აღნიშნული საკითხი გარკვეულწილად დაკავშირებულია უფრო გლობალურ პრობლემასთან, კერძოდ, არა მარტო სასამართლო გადაწყვეტილებების, იყოს სხვა საერთაშორისო ხასიათის გადაწყვეტილებების (როგორიცაა მაგალითად საერთაშორისო ორგანიზაციების სხვადასხვა ორგანების მიერ მიღებული აქტები) შესრულების იძულებითი წესით უზრუნველყოფის მექანიზმების დეფიციტთან.

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხის ცოდნა გვეხმარება საქართველოს - როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრის - საერთაშორისო ვალდებულებებისადმი რეალისტური მიდგომის ჩამოყალიბებაში.

## 1. საერთაშორისო სასამართლო

### 1.1 სანქციების გამოყენების შესაძლებლობა სასამართლო გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის შეთხვევაში

საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში სანქციების გამოყენების შესაძლებლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიხედვით არსებითად განსხვავდება ერთა ლიგის დროინდელი რეგულირებებისაგან. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ერთა ლიგის წესდების მე-13 მუხლის მეოთხე აბზაცი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაცი.

ასე მაგალითად, გაეროს წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაცი[1] ეხება მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ერთა ლიგის მე-13 მუხლის მეოთხე აბზაცი კი საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და სხვა საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებებსაც მოიცავს.

გაეროს წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაცში ტერმინის „საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებები" ხსენება წარმოშობს მრავალ კითხვას, მათ შორის, შეუძლია თუ არა უშიშროების საბჭოს იმოქმედოს მხარეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად მიღებული ე.წ. „დროებითი ღონისძიებების" (საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 41-ე მუხლი) შეუსრულებლობისას. აღნიშნული პრობლემა პირველად 1951 წელს ინგლისურ-ირანულ ნავთობის შესახებ დავის დროს[2] გახდა აქტუალური.

ბრიტანეთის მთავრობა თავის სარჩელის საფუძველს არა 94-ე მუხლში, არამედ წესდების 34-ე და 35-ე მუხლებში ხედავდა, რომელთა მიხედვით უშიშროების საბჭო უფლებამოსილია გამოიძიოს ნებისმიერი დავა ან სიტუაცია, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს საერთაშორისო დაპირისპირება ან დავა, ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს შეუძლია მსგავსი ხასიათის ნებისმიერი დავის ან სიტუაციის შესახებ აცნობოს უშიშროების საბჭოს, ან გენერალურ ასამბლეას. ის აცხადებდა, რომ „დროებითი ღონისძიებები" ისევე სავალდებულო ძალის მქონე არიან, როგორც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებები. ირანი მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილებაში ხედავდა სავალდებულო ძალის მქონე აქტს და აღნიშნულ შემთხვევაში უშიშროების საბჭოს კომპეტენციის არსებობას უარყოფდა. საბოლოო ჯამში, კითხვა უპასუხოდ დარჩა, რადგანაც საერთაშორისო სასამართლომ წარმოდგენილ საქმეში თავისი უფლებამოსილება უარყო და შესაბამისად ამ

[1] „იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე მხარე არ შეასრულებს მასზე სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებულ მოვალეობას, მეორე მხარეს შეუძლია მიმართოს უშიშროების საბჭოს, რომელმაც, თუკი ამას აუცილებლად მიიჩნევს, შეიძლება შეიმუშაოს რეკომენდაციები, ანდა გადაწყვიტოს ზომების მიღება გადაწყვეტილების აღსრულებისათვის" (გაეროს წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაცი).

[2] დავის მიზეზს წარმოადგენდა ირანის მიერ ანგლო-ირანული სანავთობე კომპანიის პრივატიზირების ფაქტი; Anglo-Iranian Oil Co., ICJ Reports 1952, 97.





კონკრეტულ შემთხვევაშიც „დროებითი ღონისძიებებიც" გაუქმდა.

საერთაშორისო სასამართლოს ვალდებულება შეატყობინოს უშიშროების საბჭოს ყველა ღონისძიების შესახებ (საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 41-ე მუხლის მეორე აბზაცი), და ღონისძიებების სავალდებულო ხასიათი ზემოთ მოცემულ შემთხვევაში 94-ე მუხლის მეორე აბზაცის გამოყენების სასარგებლოდ მეტყველებენ. დადგენილება „დროებითი ღონისძიებების" შესახებ, საქმის გარემოებების შესაბამისად, იმ სიტუაციებშიც მიიღება, რომელშიც უშიშროების საბჭოს 34-ე, 35-ე და 39-ე მუხლების საფუძველზეც შეუძლია იმოქმედოს.[3]

ერთა ლიგის საბჭოს გააჩნდა საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებების განხორციელებათა ღონისძიებათა შესახებ წინადადებების წარმოდგენის ვალდებულება, რაც უზრუნველყოფს მათ ეფექტურობას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს კი თავად შეუძლია გადაწყვიტოს, მიიღებს თუ არა იგი რაიმე ზომებს საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების განხორციელების უზრუნველსაყოფად შემოსული განცხადების საფუძველზე.

აღნიშნული შესაძლებლობა განცხადების იგნორირებისა, ჩემი აზრით, წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ საერთაშორისო გადაწყვეტილებების განხორციელების სისტემის ისეთ დებულებას, რომელიც ცვლილებას მოითხოვს, რადგანაც უშიშროების საბჭოს მსგავსი უმოქმედობა სასამართლო დავაში გამარჯვებულ მხარეს აიძულებს საკუთარი საშუალებებით სცადოს სასამართლო გადაწყვეტილების შესრულების მიღწევა.[4]

ერთა ლიგის წესდების მე-13 მუხლის მეოთხე აბზაცის მიხედვით, ერთა ლიგის საბჭოს შეეძლო proprio motu ემოქმედა, ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიხედვით კი მხოლოდ და მხოლოდ სასამართლო პროცესში გამარჯვებულ მხარეს შეუძლია უშიშროების საბჭოსადმი მიმართვა.

ორივე დებულებას გააჩნია გარკვეული ხარვეზები: proprio motu მოქმედება არ ითვალისწინებს იმას, რომ სახელმწიფოებს თავიანთი უფლებების დისპონირება ანუ განკარგვა შეუძლიათ, ანუ მათ შეუძლიათ გადაწყვეტილების განხორციელებაზე უარი თქვან და მხოლოდ და მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებაში თავისი უფლებების დაფიქსირებით დაკმაყოფილდნენ.

თუმცა გაეროს წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაცით გათვალისწინებული დებულებაც არ არის სრულიად დამაკმაყოფილებელი, რადგანაც აქ მხოლოდ იმ მხარეს გააჩნია გაეროს 94-ე მუხლის მეორე აბზაცის შესაბამისად უშიშროების საბჭოსადმი მიმართვის შესაძლებლობა, რომლის სასარგებლოდაც იქნა მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მეორე მხარესაც უნდა მიეცეს ანალოგიური შესაძლებლობა. აღნიშნული ხარვეზი გარკვეულწილად კომპენსირდება გაეროს წესდების სხვა მუხლებით[5], რომლის მიხედვითაც არა მხოლოდ პროცესის მხარეებს აქვთ აღნიშნული შესაძლებლობა, არამედ ასევე სარგებლობენ ამ უფლებით მესამე სახელმწიფოები და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებიც.

ერთა ლიგის წესდების მე-13 მუხლის მეოთხე აბზაცისგან განსხვავებით, რომელიც წესდების მე-12 მუხლთან კავშირში გამორიცხავს ომის წარმოების უფლებას იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც არ ასრულებს სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, მსგავსი დებულება არ გვხვდება გაეროს წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაცში. ვინაიდან გაეროს წესდების სხვა მუხლებში ხაზგასმულია ომის საშუალების გამოყენების აკრძალვა (გამონაკლისს შეადგენს გაეროს წესდების 51-ე მუხლი, რომელიც ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის უფლებას ითვალისწინებს), გაეროს წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაცში მსგავსი დებულების გამოყენება ზედმეტად იქნა ჩათვლილი.

არსებითი განსხვავება ერთა ლიგის წესდების მე-13 მუხლის მეოთხე აბზაცსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაცს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ერთა ლიგის საბჭოს მხოლოდ და მხოლოდ წინადადების წარდგენის უფლება ჰქონდა, უშიშროების საბჭოს კი შესაძლებლობა გააჩნია, მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული ღონისძიებების გატარების შესახებ. ეს კი ნიშნავს, რომ შესაბამის სახელმწიფოს უკვე აღარ შეუძლია თვითონ გადაწყვიტოს, შეასრულოს თუ არა ღონისძიებებიდან გამომდინარე ვალდებულებები, რაც თავის მხრივ კიდევ ერთ პროგრესულ ნაბიჯს წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველყოფის სფეროში.

თუმცა ერთა ლიგის წესდების მე-13 მუხლის მეოთხე აბზაცთან მიმართებაში ამ, პრინციპში მნიშვნელოვან, ცვლილებას აკლია შესაბამისი განხორციელება, რადგანაც ხმის მიცემის

[3] იხ. Oellers-Frahm, Karin, Die Einstweilige Anordnung in der internationalen Gerichtsbarkeit, in : Beiträge zum ausländischen öffentlichen Recht und Völkerrecht, Bd. 66 (1975); Mosler, Hermann, Kommentar zum Artikel 92 der VN-Charta in: Simma (Hrsg.) Charta der Vereinten Nationen, 1991, S.957.

[4] იხ. Oehlers-Frahm, Karin, Zur Vollstreckung der Entscheidungen internationaler Gerichte im Völkerrecht, in: ZaöRV 36 (1976), S. 663.

[5] შეადარე: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 33-ე, 34-ე, 35-ე და39-ე მუხლები.

სისტემაში, რომელიც გადაწყვეტილების მიღებას პროცედურულად განსაზღვრავს, არსებითი არაფერი შეცვლილა.

ამასთან, აღარ არის გადაწყვეტილების ერთხმად მიღების პრინციპი გათვალისწინებული, როგორც ეს ერთა ლიგაში იყო, მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 27-ე მუხლის მესამე აბზაცის მიხედვით, რადგანაც ამ შემთხვევაში საქმე არ ეხება პროცედურულ საკითხებს, აუცილებელია ყველა მუდმივი სტატუსის მქონე წევრის თანხმობა.

გაეროს წესდების 27-ე მუხლის მესამე აბზაცის ბოლოს გათვალისწინებული გამონაკლისი, რომელიც გაეროს წესდების 52-ე მუხლის მესამე აბზაცით გათვალისწინებული დავების მშვიდობიან მოწესრიგებას და დავების რეგიონალური დარეგულირების რეგიონალურ მექანიზმებს ეხება და ხმის მიცემისას დავის მხარეების მიერ თავის შეკავებას ითვალისწინებს, არ შეიძლება გაეროს წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაცის შესაბამისად უშიშროების საბჭოს მოქმედებაზე უშუალოდ გავრცელდეს.[6]

თუკი უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს სასამართლო გადაწყვეტილებით რაიმე ვალდებულება ეკისრება, მათი ვეტოს უფლება დამოკიდებულია მასზე, განიხილება მეორე აბზაცი, როგორც პირველი აბზაცით გათვალისწინებული გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულების კონკრეტიზირება, თუ ჩაითვლება, რომ გადაწყვეტილების შესრულება წარმოადგენს `other matter"-ს - და არა „პროცედურული საკითხს" - გაეროს წესდების 27-ე მუხლის მესამე აბზაცის შესაბამისად. უკანასკნელი ინტერპრეტაციის მიხედვით აუცილებელია ცხრა ხმის უმრავლესობა მუდმივი წევრების ხმის ჩათვლით, პირველი ინტერპრეტაციის მიხედვით კი საკმარისია ცხრა ნებისმიერი სტატუსის მქონე ხმა.

გაეროს წესდების 94-ე მუხლის ორივე აბზაცის მჭიდრო სისტემატური ურთიერთკავშირი, სასამართლო გადაწყვეტილების როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი, ორგანოს საბოლოო გადაწყვეტილების ხასიათი და მართლმსაჯულების ფუნქციის განხორციელება, წარმოადგენენ აღნიშნულ შემთხვევაში გაეროს წესდების 27-ე მუხლის მესამე აბზაცის გამოყენების საწინააღმდეგო არგუმენტებს, თუმცა ლიტერატურაში ძირითადად გავრცელებული შეხედულებით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ საგნის ხასიათს, რომელიც საპროცედურო საკითხებს არ ეხება.[7]

პრაქტიკაში ჯერჯერობით ერთადერთ შემთხვევაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი მუდმივი წევრის, ამერიკის შეერთებული შტატების, მიერ ხმის წინააღმდეგ მიცემამ ხელი შეუშალა უშიშროების საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას, რომელშიც 1986 წლის 26 ივნისს საერთაშორისო სასამართლოს მიერ ე.წ. ნიკარაგუის საქმესთან[8] დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების[9] გაეროს წესდების შესაბამისი დებულებების შესაბამისად „გადაუდებელი და სრული" შესრულების მოთხოვნა უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. უშიშროების საბჭოს პრეზიდენტმა დაადასტურა გადაწყვეტილების მიუღებლობა, ისე რომ საბჭოს არც ერთ წევრს პროტესტი არ გამოუთქვამს. უფრო ადრე ამერიკის შეერთებული შტატების ვეტოს ემსხვერპლა პროცედურა, რომლის ინიციატივითაც გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 4 კვირის თავზე ნიკარაგუა გამოვიდა. თუმცა აღნიშნული განცხადება უშუალოდ ეხებოდა არა გაეროს წესდების 94-ე მუხლს, არამედ პირველ რიგში იმ საფრთხეს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებთან დავის გამო შეექმნა საერთაშორისო მშვიდობას და უსაფრთხოებას და ამასთან დაკავშირებით ახსენებდა საერთაშორისო სასამართლოს ზემოთ აღნიშნულ გადაწყვეტილებას.

გაეროს წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაცის მნიშვნელობა მსგავსი ინტერპრეტაციისა და პრაქტიკის გამო მნიშვნელოვნად შემცირდა.[10]

გაეროს წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაცთან დაკავშირებით არსებითია და ამასთან სადავოს წარმოადგენს საკითხი, არის თუ არა უშიშროების საბჭოს გაეროს წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაციდან გამომდინარე კომპეტენცია წესდების სხვა მუხლებიდან გამომდინარე კომპეტენციიდან დამოუკიდებელი, სხვა სიტყვებით, არის თუ არა 94-ე მუხლის მეორე აბზაცი სპეციალური დებულება, რომელიც სხვა დებულებებზე მაღლა დგას.

ამასთან დაკავშირებით პრობლემატურია საკითხი, შეუძლია თუ არა უშიშროების საბჭოს სასამართლო პროცესში გამარჯვებული მხარის განცხადებისა და გაეროს წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაცის საფუძველზე იმოქმედოს მაშინაც, როცა საქმე არ ეხება მშვიდობისა და უშიშროების საკითხს.[11]

ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, 94-ე მუხლის მეორე აბზაცის ტექსტი და ადგილი გაეროს წესდების სისტემატურ ჩარჩოში მეტყველებენ იმაზე, რომ აღნიშნული პროცედურა დამოუკიდებელ ხასიათს ატარებს.[12]

დებულება არ მიუთითებს VI და VII თავებში გათვალისწინებული უფლებამოსილებების არც წინაპირობებსა და არც შედეგებზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო თავისუფალია თავის მოქმედებაში, თუ როგორი რეკომენდაცია ან ღონისძიებები სურს მას მიიღოს. მას შეუძლია ყოველგვარი შემდგომი კონკრეტული მოდიფიცირების გარეშე შესაბამის მხარეს სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებისაკენ მოუწოდოს. თუმცა ამასთან მას შეუძლია რეკომენდაცია მისცეს საშუალებებს, რომელთაც, მისი აზრით, სასამართლო გადაწყვეტილების შესრულების ხელშეწყობა შეუძლია.

სახელმწიფოს, რომელსაც სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით გარკვეული ვალდებულებები აქვს დაკისრებული, გაეროს წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაცით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად გააჩნია შესაძლებლობა წარმოადგინოს ის ფაქტები და გარემოებები, რომლებიც მას ხელს უშლის სასამართლო გადაწყვეტილების განხორციელებაში (მაგ. ფინანსური პრობლემები ვალების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნის შემთხვევაში).

კონკრეტული ღონისძიებების თაობაზე რეკომენდაციებს შეუძლიათ მსგავსი პრობლემების გათვალისწინება. თუკი უშიშროების საბჭომ კონკრეტული ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, იგი ზემოთ აღნიშნული შეხედულების მიხედვით არ საჭიროებს გაეროს წესდების 39-ე მუხლით შესაბამისად იმის დადგენას, რომ სახეზეა მშვიდობისადმი საფრთხის შექმნის ან მშვიდობის დარღვევის, ან კიდევ აგრესიის ფაქტი. მას შეუძლია გაეროს წესდების 41-ე მუხლით[13] გათვალისწინებული ან სხვა სათანადო ღონისძიებების შესახებ მიიღოს გადაწყვეტილება. იარაღის გამოსაყენებლად (გაეროს წესდების 42-ე მუხლი) კი აუცილებლად მიიჩნევა წესდების 39-ე მუხლით[14] გათვალისწინებული გარემოებების დადგომა, რადგანაც საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებები დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალებებს მიეკუთვნებიან. ამ შემთხვევაში პროცედურის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს არა 94-ე მუხლის მეორე აბზაცი, არამედ უშუალოდ 39-ე მუხლი.

ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებები არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ სასამართლო გადაწყვეტილების შემოწმების მოცულობის საკითხთან დაკავშირებით. გაეროს წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაცის მიხედვით, სასამართლო გადაწყვეტილების შესრულება უზრუნველყოფილ უნდა იქნას. ეს კი თავისთავად გულისხმობს იმას, რომ უნდა არსებობდეს კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილება. შეუძლია თუ არა უშიშროების საბჭოს განახორციელოს სასამართლო გადაწყვეტილების შემოწმება? შეუძლია თუ არა უშიშროების საბჭოს დაეთანხმოს სასამართლო პროცესში დამარცხებული მხარის არგუმენტებს, რომ თითქოს სასამართლო გადაწყვეტილება ბათილია exces de pouvoir-ს ან პროცედურული შეცდომების გამო? ანუ, გააჩნია თუ არა უშიშროების საბჭოს სარევიზიო ინსტანციის ფუნქცია? ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულებები უარყოფენ ასეთი შესაძლებლობის არსებობას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო წარმოადგენს არა მართლმსაჯულების, არამედ პოლიტიკურ ორგანოს. იგი რანგით არ დგას საერთაშორისო სასამართლოს ზემოთ და წარმოადგენს როგორც ეს უკანასკნელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთ მთავარ ორგანოს. თუკი კითხვები წარმოიშვება სასამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, უშიშროების საბჭოს შეუძლია საერთაშორისო სასამართლოს მოსთხოვოს დასკვნის გაკეთება, ხოლო თვით სასამართლო გადაწყვეტილების შეცვლა მას არ შეუძლია.[15]

როგორც ზემოთ იქნა ნაჩვენები, გაეროს წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაცი წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრუ-

[6] ob. Mosler, Hermann, Kommentar zum Artikel 92 der VN-Charta in: Simma (Hrsg.) Charta der Vereinten Nationen, 1991, S.956f.

[7] ob. Schachter, O. The Enforcement of International Judicial and Arbitral Decisions, AJIL 54 (1960), S. 23; Oehlers-Frahm, Karin, Zur Vollstreckung der Entscheidungen internationaler Gerichte im Völkerrecht, in: ZaöRV 36 (1976), S. 664.

[8] 80-იან წლებში ნიკარაგუის სანდინისტური მთავრობა იარაღის მიწოდებით და სხვა მატერიალური თუ ფინანსური საშუალებებით ეხმარებოდა კომუნისტ მეამბოხეებს სალვადორში, ჰონდურასსა და პუერტო-რიკოში. აშშ, თავის მხრივ, მსგავსი მეთოდებით ეხმარებოდა ნიკარაგუის მთავრობის მოწინააღმდეგე ძალებს ნიკარაგუას შიგნით და გარეთ და თვითონაც სამხედრო ძალის გამოყენებით არაერთხელ დაესხა ნიკარაგუას. აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით ნიკარაგუამ მიმართა საერთაშორისო სასამართლოს.

[9] ICJ Reports 1986, 14, S. 146-150.

[10] ob. ამ საქმესთან დაკავშირებით Oehlers-Frahm, Karin, Die „obligatorische" Gerichtsbarkeit des Internationalen Gerichtshofs, in: Archiv des Völkerrechts (1989) B.27.

[11] ob. Schachter, O. The Enforcement of International Judicial and Arbitral Decisions, AJIL 54 (1960), S. 19f.

[12] ob. მაგ. Oehlers-Frahm, Karin, Zur Vollstreckung der Entscheidungen internationaler Gerichte im Völkerrecht, in: ZaöRV 36 (1976), S. 665f.; Mosler, Hermann, Kommentar zum Artikel 92 der VN-Charta in: Simma (Hrsg.) Charta der Vereinten Nationen, 1991, S.956.

[13] გაეროს წესდების 41 მუხლის მიხედვით, „უშიშროების საბჭო უფლებამოსილია მოიფიქროს, თავის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რა ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომლებიც არ უკავშირდებიან შეიარაღებული ძალების გამოყენებას; უშიშროების საბჭოს შეუძლია მოსთხოვოს ორგანიზაციის წევრებს ამ ზომების შესრულება. ეს ზომები შეიძლება მოიცავდნენ ეკონომიკურ ურთიერთობათა, სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო მიმოსვლის, საფოსტო, სატელეგრაფო, რადიო- ან კავშირგაბმულობის სხვა საშუალებათა სრულ ან ნაწილობრივ შეწყვეტას, აგრეთვე დიპლომატიურ ურთიერთობათა გაწყვეტასაც."

[14] „უშიშროების საბჭო განსაზღვრავს მშვიდობისადმი ნებისმიერ მუქარას, მშვიდობის ნებისმიერ დარღვევას, ანდა აგრესიის აქტს და იძლევა რეკომენდაციებს, ან გადაწყვეტს, თუ რა ზომები უნდა იქნეს მიღებული 41-ე და 42-ე მუხლების შესაბამისად საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად" (გაეროს წესდების 39-ე მუხლი).

[15] ob. Oehlers-Frahm, Karin, Zur Vollstreckung der Entscheidungen internationaler Gerichte im Völkerrecht, in: ZaöRV 36 (1976), S. 666f. სხვა არგუმენტებით ერთად.

ლებლობის შემთხვევაში სანქციის გამოყენების შესაძლებლობას, რომელსაც თუმცა გარკვეული ხარვეზები გააჩნია, მაგრამ ერთა ლიგის წესდების მე-13 მუხლის მეოთხე აბზაცის დებულებასთან შედარებით პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს. აღნიშნული მუხლის მთავარი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ იგი ეხება მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, და შესაბამისად, საერთაშორისო ხასიათის სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებისათვის კვლავინდებურად რომელიმე სხვა სპეციალური დებულების საჭიროებას წარმოშობს.

ვინაიდან გაეროს წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაციც არ შეიცავს ზუსტ წესებს საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის და თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ზედამხედველობის ქვეშ საკითხის მოგვარებას ითვალისწინებს, იგი არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც ნორმა, რომელიც თავისი თავდაპირველ ჩარჩოებს გასცდა და მოქმედებს როგორც საყოველთაო საერთაშორისო სამართალი საერთაშორისო ხასიათის სასამართლო გადაწყვეტილებების განხორციელების დასარეგულირებლად. მიუხედავად ამისა, 94-ე მუხლის მეორე აბზაცის დებულება, რომელიც მხოლოდ საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებებს ეხება, არ არის ისე გრავირებადი, როგორც იგი ერთი შეხედვით ჩანს, რადგანაც მრავალი შეთანხმება დავის გადაწყვეტის შესახებ როგორც უკანასკნელ საშუალებად დავის საერთაშორისო სასამართლოში განხილვას ითვალისწინებს, ისე რომ ისინი გაეროს წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაცის მოცულობის ფარგლებში ექცევიან.

გაეროს წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაცის კიდევ ერთ ხარვეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სახელმწიფო, რომლის სასარგებლოდაც იქნა საერთაშორისო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული, თავისუფალია არჩევანში, მიმართავს თუ არა იგი გაეროს უშიშროების საბჭოს. ამასთან ღიად რჩება საკითხი, თავისუფალია თუ არა აღნიშნული სახელმწიფო თავის არჩევანში იმასთან დაკავშირებით, აირჩევს იგი უშიშროების საბჭოს საშუალებებს თუ თავის საკუთარ საშუალებებს გადაწყვეტილების განსახორციელებლად, ე.ი. ალტერნატივა იქნება არა განხორციელება უშიშროების საბჭოს საშუალებით ან საერთოდ უარის თქმა განხორციელებაზე, არამედ განხორციელება, მაგრამ არა მარტო უშიშროების საბჭოს საშუალებით.

აღნიშნული მეორე შესაძლებლობა ძალაუნებურად იწვევს საერთაშორისო სამართლის საყოველთაო ნორმების გამოყენებას საერთაშორისო ხასიათის სასამართლო გადაწყვეტილებების განსახორციელებლად, ანუ აღნიშნულ შემთხვევაში გამოიყენება ნორმები თვითდახმარების შესახებ.

**1.2 სპეციალიზირებული ორგანიზაციები**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზოგიერთი სპეციალიზირებული ორგანიზაცია, რომელიც აღიარებს საერთაშორისო სასამართლოს უფლებამოსილებას საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 36-ე მუხლის პირველი აბზაცის საფუძველზე, სასამართლო გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველსაყოფად სპეციალურ დებულებებს ითვალისწინებს.[16] გაეროს წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაცის გამოყენება ამით არ გამოირიცხება, რადგანაც საერთაშორისო სასამართლო ყველა შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს როგორც პირველი და ამასთან ბოლო ინსტანციის სასამართლო.

რეგლამენტი ამასთან დაკავშირებით ადგენს, რომ მსგავს ე.წ. „Special Reference to the Court" - შემთხვევებში გამოიყენება სტატუტით და რეგლამენტით გათვალისწინებული დებულებები.

**1.3 საერთაშორისო სამართლებრივი თვითდახმარების ნორმების გამოყენების შესაძლებლობა**

ის, რომ საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ნორმები სასამართლო გადაწყვეტილების განხორციელების სფეროში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაცის საშუალებით lex specialis derogat legi generali - პრინციპის მიხედვით არ კარგავენ თავის დანიშნულებას, ჩანს თუნდაც იქედან, რომ გაეროს წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაცი არ წარმოადგენს ნორმას, რომელიც მოიცავდა ნებისმიერი საერთაშორისო ხასიათის სასამართლო გადაწყვეტილებას. იგი, გარდა ამისა, არ გამხდარა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილი.

ასე მაგალითად, უდავოა, რომ თვითდახმარების წესები[17] (მაგ. რეპრესალიები და რეტორსიები) კვლავინდებურად გამოიყენება საერთაშორისო ხასიათის სასამართლო გადაწყვეტილებების განხორციელების უზრუნველსაყოფად მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში, როდესაც ეს გადაწყვეტილებები საერთაშორისო სასამართლოს მიერ არ არის მიღებული. საქმე სხვაგვარად იქნებოდა, თუკი გაეროს წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაცი აღიარებულ იქნება საყოველთაო მოქმედების ძალის მქონედ, კერძოდ კი იმ აზრით, რომ სასამართლო გადაწყვეტილების

[16] იხ. Oehlers-Frahm, Karin, Zur Vollstreckung der Entscheidungen internationaler Gerichte im Völkerrecht, in: ZaöRV 36 (1976), S. 669ff; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) წესდების 33-ე მუხლი; სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) წესდების 84-ე, 86-88-ე მუხლები.

[17] დაწვრილებით ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. Doehring, Karl, Die Selbstdurchsetzung völkerrechtlicher Verpflichtungen.





განხორციელების დავის მხარეების ნაცვლად მესამე მხარისათვის, კერძოდ კი შეძლებისდაგვარად უფრო მაღალი ინსტანციისათვის დაკისრება საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ნორმად ჩაითვლება და რომ ეს გაეროს წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაცით და უფრო ადრე ერთა ლიგის წესდების მე-13 მუხლის მეოთხე აბზაცით გათვალისწინებული პრინციპი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილად ჩაითვლება. ეს კი სინამდვილეს არ შეესაბამება.

კითხვას, იძლევა თუ არა გაეროს წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაცი სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში თვითდახმარების შესაძლებლობის გამოყენების საშუალებას იმის გათვალისწინებით, რომ იგი სასამართლო პროცესში გამარჯვებულ სახელმწიფოს მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებლობას უტოვებს და არ წარმოშობს მისთვის ვალდებულებას განახორციელოს სასამართლო გადაწყვეტილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს დახმარებით, ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულება შემდეგნაირად პასუხობს: გაეროს წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაცი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებისათვის და ყველა იმ სახელმწიფოსათვის, რომლებიც საერთაშორისო სასამართლოს კომპეტენციას ექვემდებარებიან, წარმოადგენს სავალდებულო ძალის მქონე ნორმას, ესე იგი თვითდახმარების წესების გამოყენება მასთან ერთად გამოირიცხება, თუკი მიღებულია გადაწყვეტილება გაეროს წესდების 94-ე მუხლის მეორე აბზაცის საფუძველზე.

## 2. ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო

**2.1 სანქციების გამოყენების შესაძლებლობა სასამართლო გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის შემთხვევაში**

ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს სასამართლო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით არ არსებობს სანქციების გამოყენების რაიმე მსგავსი მექანიზმი ამ გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის შემთხვევისათვის.

ადამიანის უფლებებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 54-ე მუხლი ადგენს, რომ მინისტრთა კომიტეტი ზედამხედველობს ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების შესრულებას. მიუხედავად ამისა, აღნიშნული დებულებები არ ითვალისწინებენ არანაირ იძულები ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

შესაბამისი დებულება არ მოიპოვება არც კონვენციაში და არც ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს რეგლამენტში.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 54-ე მუხლის ზემოთ აღნიშნულ დებულებას შეიძლება როგორც მორალური სანქციას ჰქონდეს მნიშვნელობა. მაგრამ მისი ძირითადი ძალა ჩანს მხოლოდ და მხოლოდ ევროპის საბჭოს სტატუტის მე-3, მე-7, მე-8 და მე-9 მუხლებთან ურთიერთკავშირში,[18] რომლის მიხედვითაც ევროპის საბჭოდან შესაბამისი წევრი სახელმწიფოს სუსპენდირება და გარიცხვა არის გათვალისწინებული.

ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაძლებელია სანქციად ევროპის საბჭოდან შესაბამისი სახელმწიფოს სუსპენდირება ან გარიცხვა იქნას გამოყენებული.

გარიცხვის შესაძლებლობა და წინაპირობები ევროპის საბჭოს წესდებაში, კერძოდ კი მე-8 მუხლით არის გათვალისწინებული. მის მიხედვით, წევრი სახელმწიფო ევროპის საბჭოდან შეიძლება გარიცხულ იქნას, თუკი იგი სტატუტის მესამე მუხლის დებულებებს დაარღვევს. ევროპის საბჭოს სტატუტის მე-3 მუხლის მიხედვით კი, ევროპის საბჭოს ყველა წევრ-სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები და სრული მოცულობით ითანამშრომლოს ამ ორგანიზაციის მიერ ამოცანების შესრულების პროცესში.

ლიტერატურაში ძირითადად გავრცელებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა წევრ-სახელმწიფოს მიერ ევროპის საბჭოს სტატუტის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს.[19]

ეს, როგორც უკიდურეს შემთხვევაში გამოსაყენებელი, ღონისძიებები ერთი შეხედვით უვარგისი ჩანს იმისათვის, რომ აიძულოს რომელიმე კონკრეტული სახელმწიფო შეასრულოს სასამართლო გადაწყვეტილება, რადგანაც გარიცხულ სახელმწიფოს არანაირი ვალდებულება, მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულებაც, აღარ აკისრია. თუმცა ამ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს ის ფაქტი, რომ წევრი სახელმწიფოები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ევროპის საბჭოს

[18] იხ. Polakiewicz, J., Die Verpflichtungen der Staaten aus den Urteilen des Europäischen Gerichtshofs für Menschenrechte, 1993, S. 156f.

[19] აქვე მაგალითად: Polakiewicz, J., Die Verpflichtungen der Staaten aus den Urteilen des Europäischen Gerichtshofs für Menschenrechte, 1993, S 158f.

წევრობას და აქედან გამომდინარე, ნაკლებ სავარაუდოა, რომ მათ სასამართლოს რომელიმე ერთი გადაწყვეტილების გამო კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ამ ორგანიზაციაში თავიანთი წევრობა. შესაბამისად, აღნიშნულ დებულებას გააჩნია სასამართლო გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველყოფის არაპირდაპირი ეფექტი.[20]

თუმცა ამასთან ეჭვი ჩნდება იმასთან დაკავშირებით, შეუძლია თუ არა იმოქმედოს აღნიშნული დებულების მორალურმა და პოლიტიკურმა ბუნებამ მინისტრთა კომიტეტის მიმართაც. კერძოდ, მინისტრთა კომიტეტი ყოველთვის ეცდება თავი აარიდოს მსგავსი ნაბიჯების გადადგმას.

ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების შესრულება, როგორც წესი, არანაირ დამატებით პრობლემებს არ წარმოშობს.[21] აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით არ არსებულა შემთხვევა, რომ რომელიმე წევრსახელმწიფოს მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებაზე ერთმნიშვნელოვნად უარი ეთქვა. თუმცა დროის გაჭიანურება ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება.

### 2.2 საერთაშორისო სამართლებრივი იძულებითი ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა

როგორც ზემოთ იქნა ნაჩვენები, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს შემთხვევაში მხოლოდ თეორიული შესაძლებლობა არსებობს იმისათვის, რომ წევრ-სახელმწიფო იძულებულ იქნას შეასრულოს მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი სასამართლო გადაწყვეტილება. ე.ი. ამ შემთხვევაშიც არსებობს საერთაშორისო სამართლებრივი იძულებითი ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა.

თუმცა აღნიშნული შესაძლებლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოყენებულ იქნას, როდესაც ევროპის საბჭოს წევრ-სახელმწიფოების ერთობლივი პოლიტიკური ზეწოლის ყველა საშუალება ამოიწურება.[22]

## 3. საერთაშორისო საზღვაო სასამართლო

### 3.1 სანქციების გამოყენების შესაძლებლობა სასამართლო გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის შემთხვევაში

სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობისას ზემოთ განხილულ ორივე სასამართლოს სანქციების გამოყენების სულ მცირე თეორიული შესაძლებლობა მაინც გააჩნიათ, როგორც მაგალითად ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს შემთხვევაში.

საერთაშორისო საზღვაო სასამართლოს სტატუტში და საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის 10 დეკემბრის კონვენციაში[23] კი სანქციების გამოყენების შესაძლებლობა გათვალისწინებული არ არის.

სტატუტის 33-ე მუხლის პირველი აბზაცი მხოლოდ და მხოლოდ აღნიშნავს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მოდავე მხარის მიერ უნდა იქნას აქცეპტირებული და შესაბამისად შესრულებული.

სტატუტი სასამართლო გადაწყვეტილებებს აცხადებს სავალდებულო ძალის მქონედ, თუმცა ამასთან არ ადგენს სანქციებს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში.[24]

### 3.2 საერთაშორისო სამართლებრივი იძულებითი ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა

ვინაიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ კონვენცია და საერთაშორისო საზღვაო სასამართლოს სტატუტი აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის შემთხვევაში რომელიმე ინსტიტუციონალიზირებული სანქციის გამოყენების შესაძლებლობას არ ითვალისწინებენ, რჩება მხოლოდ საერთაშორისო სამართლებრივი თვითდახმარების წესების შესაბამისად საერთაშორისო სამართლებრივი იძულებითი ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, ვერ მოხერხდა თვითდახმარების გამოყენების შესაძლებლობის შეზღუდვა და სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების მის ნაცვლად ობიექტური ინსტანციის მიერ უზრუნველყოფა.[25]

## 4. ევროპის გაერთიანების სასამართლო

### 4.1 სანქციების გამოყენების შესაძლებლობა სასამართლო გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის შემთხვევაში

სანქციის გამოყენების შესაძლებლობა იმ წევრ-სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც არ შეასრულა სასამართლო გადაწყვეტილებით ან დროებითი ზომების შესახებ სასამართლო დადგენილებით მასზე დაკისრებული ვალდებულებები, ევროპის გაერთიანებების დამფუძნებელ ხელშეკრულებებში თავდაპირველად გათვალისწინებული არ იყო. თუკი რომელიმე წევრ-

[20] იხ. Oehlers-Frahm, Karin, Zur Vollstreckung der Entscheidungen internationaler Gerichte im Völkerrecht, in: ZaöRV 36 (1976), S. 674f.
[21] იხ. Ress, Georg, Wirkung und Beachtung der Urteile und Entscheidungen der Straßburger Konventionsorgane, EuGRZ 1996, S. 353.
[22] იხ. Polakiewicz, J., Die Verpflichtungen der Staaten aus den Urteilen des Europäischen Gerichtshofs für Menschenrechte, 1993, S. 203.
[23] გამოქვეყნებულია: BGBl. 1994 II, S. 1799.
[24] Noyes, John E., Third-Party Dispute Settlement and the United Nations Convention on the Law of the Sea, Wellington 1997, S.45.
[25] Noyes, John E., Third-Party Dispute Settlement and the United Nations Convention on the Law of the Sea, Wellington 1997, S.46.





სახელმწიფო მის მიერ ხელშეკრულების დარღვევის ფაქტს, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურდა, არ აღმოფხვრიდა, ეს - იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ევროპის გაერთიანებას იმ დროისათვის არ გააჩნდა წევრსახელმწიფოებზე უშუალო ზემოქმედების საშუალებები - თავის მხრივ ნიშნავდა, რომ ადგილი ჰქონდა გაერთიანების სისტემაში სერიოზულ შეჭრას.[26]

სამართლებრივი თვალსაზრისით, კომისიას რომელიმე წევრ-სახელმწიფოს მიერ სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში სხვა არაფერი რჩებოდა, თუ არა შეეტანა ახალი სარჩელი, მაგრამ ამ შემთხვევაში ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 226-ე მუხლის შესაბამისად და ამავე ხელშეკრულების 228-ე მუხლის დარღვევის საფუძველზე.

თუკი კომისიის აზრით რომელიმე წევრსახელმწიფომ სასამართლო გადაწყვეტილების განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებები არ მიიღო ან მის მიერ ამ მიზნით განხორციელებული ღონისძიებები არ შეესაბამებოდნენ სასამართლო გადაწყვეტილებიდან ვალდებულებებს, იგი ვალდებული იყო ხელშეკრულების დარღვევის შესახებ სარჩელის ევროპის გაერთიანების სასამართლოში ხელახლა შეეტანა, რადგანაც იგი დამფუძნებელი ხელშეკრულების 211-ე მუხლის თანახმად პასუხისმგებელია წევრსახელმწიფოების მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებების განხორციელების კონტროლზე.[27]

კომისიას ამ სახის სარჩელის შეტანა შეეძლო იმ შემთხვევაშიც, თუკი შესაბამისი წევრსახელმწიფოს ახალი საკანონმდებლო აქტი ვერ ჩაითვლებოდა სასამართლო გადაწყვეტილების ზუსტ და შეუზღუდავ შესრულებად ან თუკი ახალი საკანონმდებლო აქტი ფაქტიურად ადრინდელი, ხელშეკრულების საწინააღმდეგო აქტის შენარჩუნებას უზრუნველყოფდა.[28]

მაასტრიხტის ხელშეკრულებით ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 228-ე მუხლისათვის მეორე აბზაცის დამატებით ევროპის გაერთიანების სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების დარღვევის შესახებ სარჩელის შეტანის პროცედურა სპეციალური ნორმით დარეგულირდა. მომავალში სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს დამფუძნებელი ხელშეკრულების 228-ე მუხლის მეორე აბზაცი, რომელიც 226-ე მუხლს როგორც lex specialis ავიწროებს და მის ადგილს იკავებს.[29]

სამართლებრივი საფუძვლის შეცვლა, თავის მხრივ, ავტომატურად არ იწვევს პროცედურის შეცვლას, რადგანაც 228-ე მუხლის მეორე აბზაცით გათვალისწინებული პროცედურა თავის პირველ ფაზებში 226-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის იდენტურია. აღსანიშნავია მხოლოდ და მხოლოდ, რომ 228-ე მუხლის მეორე აბზაცი 226-ე მუხლის დებულებასთან შედარებით უფრო ზუსტია იმდენად, რამდენადაც იგი აღწერს დასკვნაში გასათვალისწინებელ შინაარსს: კომისიამ უნდა ჩამოაყალიბოს, თუ რომელ პუნქტებში არ შეასრულა შესაბამისმა წევრსახელმწიფომ ევროპის გაერთიანების სასამართლოს გადაწყვეტილება.

იდენტური შინაარსის შემცველი დებულება იმავდროულად ევროპის ატომური გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებაშიც ჩაიდო[30], რასაც ვერ ვიტყვით ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებაზე. თუმცა ამ ხელშეკრულებაში 228-ე მუხლის მეორე აბზაცს ადრე ჰყავდა წინამორბედი. ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 88-ე მუხლი წევრსახელმწიფოს მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში ითვალისწინებს ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულებისაგან განსხვავებულ პროცედურას. ამ პროცედურის მიხედვით კომისიას ევალება წევრ-სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულების დარღვევის დადგენა გადაწყვეტილების სახით. შესაბამის წევრსახელმწიფოს შეუძლია ამ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება.

დღესდღეობით ხელშეკრულებებს შორის გარკვეული პარალელები ჩამოყალიბდა, რადგანაც ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება წევრ-სახელმწიფოების მიმართ სანქციების შეზღუდული მოცულობით გამოყენებას უშვებს, ისევე როგორც ეს - მართალია სხვა სახის პროცედურული დებულებებით - ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 88-ე მუხლით არის გათვალისწინებული. თუკი რომელიმე წევრსახელმწიფო ღონისძიებებს, რომელიც გამომდინარეობს სასამართლოს გადაწყვეტილებიდან, კომისიის დადგენილი ვადის ფარგლებში არ შეასრულებს, კომისიას და არა რომელიმე წევრსახელმწიფოს, შეუძლია ევროპის გაერთიანების სასამართლოს მიმართოს. ამასთან, ის ასახელებს თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შესაბამისმა წევრ-სახელმწიფომ და რომლის რაოდენობაც მას, გარემოებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიაჩნია.

ამ დებულების ტექსტის გათვალისწინებით

[26] ასე მაგალითად: Krück, Hans, Kommentar zum Artikel 171 EGV in: von der Groeben, Hans/Thiesing, Jochen/Ehlermann, Claus-Dieter (Hrsg.), Kommentar zum EU-/EG-Vertrag, 5. Auflage, Baden-Baden 1997, Rn.8.
[27] შეადარე: EuGH, Rs. 281/83, Slg. 1985, 3397, 3406 (კომისია იტალიის წინააღმდეგ).
[28] EuGH, Rs. 391/85, Slg. 1988, 579, 604 (Kommission/Belgien).
[29] ეს გამომდინარეობს ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 228-ე მუხლის მეორე აბზაცის მეოთხე პუნქტიდან.
[30] ევროპის ატომური გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 143-ე მუხლი.

უნდა აღინიშნოს, რომ კომისია ვალდებულია ზემოთ აღნიშნული თანხა დაასახელოს თავის სარჩელში, თუკი ის საერთოდ მიზნად ისახავს მის ამოღებას. ამასთან კომისიამ თანხის დადგენისას უნდა გაითვალისწინოს როგორც ხელშეკრულების დარღვევის სიმძიმე, ასევე შესაბამისი წევრ-სახელმწიფოს ფინანსური და ეკონომიკური სიტუაცია. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ კომისია წინადადების წარდგენის უფლებას ფლობს.

იძულებითი ღონისძიება საბოლოოდ დგინდება სასამართლო გადაწყვეტილებით, რომელიც შესაბამისი წევრ-სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულების დარღვევის ფაქტს ადასტურებს და რომელსაც ევროპის გაერთიანების სასამართლო იღებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს შეუძლია იძულებითი ღონისძიებების სასამართლო გადაწყვეტილებაში გათვალისწინება, მაგრამ იგი ვალდებული არ არის ეს გააკეთოს.

ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 228-ე მუხლის მეორე აბზაცი ითვალისწინებს „ღონისძიებებს", რომლებიც გამომდინარეობენ სასამართლოს გადაწყვეტილებიდან. ამასთან არ არის დეფინირებული, თუ რა კონკრეტული ღონისძიება უნდა გაატაროს წევრ-სახელმწიფომ, რომ უზრუნველყოფილი იყოს სასამართლო გადაწყვეტილება.

228-ე მუხლის მეორე აბზაცით გათვალისწინებული პროცედურისას კომისია იძულებულია გააკეთოს თითოეული ამ ღონისძიების ჩამონათვალი, რადგანაც მხოლოდ და მხოლოდ ამ საშუალებით ხდება ხელშეკრულების დარღვევის სიმძიმე ნათელი, რაც, თავის მხრივ, 228-ე მუხლის მეორე აბზაცში გათვალისწინებული თანხის რაოდენობის დასასაბუთებლად არის აუცილებელი.

განსაკუთრებულ პრობლემებს არ წარმოშობს შემთხვევა, როდესაც რომელიმე წევრ-სახელმწიფო არ შეასრულებს ვალდებულებას გამოსცეს გარკვეული ნორმატიული აქტები (დირექტივების ეროვნულ სამართალში იმპლემენტაციის შეუსრულებლობა). პრობლემატურია, როდესაც წევრ-სახელმწიფოს არჩევანი გააჩნია, თუ როგორ სურს მას აღმოფხვრას ხელშეკრულების დარღვევა: ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 90-ე მუხლის შესაბამისად საგადასახადო ხასიათის დისკრიმინაციის შემთხვევაში ეს შეიძლება გაკეთდეს საიმპორტო საქონელზე გადასახადის შემცირებით ან ადგილობრივი წარმოების საქონელზე გადასახადის გაზრდით.

რა თქმა უნდა, სასამართლო ვერ ჩაერევა წევრ-სახელმწიფოების არჩევანის თავისუფლებაში. ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 228-ე მუხლის მეორე აბზაცის პროცედურას კომისია თავს ვერ აარიდებს შესაძლებელი ალტერნატივების ძიებას და გამოყენებას.

სულ სხვა მდგომარეობა იქმნება, თუკი საქმე ეხება იმ ზიანის მოცულობის გათვალისწინებით სანქციების დადგენას, რომელიც წარმოიშვა ხელშეკრულების დარღვევის შედეგად. ამაში მდგომარეობდა ევროპის გაერთიანების სასამართლოს „Francovich"-ის საქმეზე[31] მიღებული გადაწყვეტილების პრობლემატიკა. სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს ფულადი სახით, თუკი თვით ზიანის აღმოფხვრა შეუძლებელია.

ლიტერატურაში დიდი ხანია ხაზი ესმება ხელშეკრულების დარღვევის შესახებ პროცედურის ამ განსაკუთრებულ ასპექტს.[32] კომისიას (და რა თქმა უნდა ევროპის გაერთიანების სასამართლოს) ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 228-ე მუხლის მეორე აბზაცის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად აკისრია დავალება დააფიქსიროს პოზიცია იმ ღონისძიებებთან მიმართებაში, რომლებიც უნდა განახორციელოს წევრ-სახელმწიფომ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

თავის არგუმენტირებულ დასკვნაში კომისიამ უნდა ჩამოაყალიბოს „თუ რომელ პუნქტებში არ შეასრულა შესაბამისმა წევრ-სახელმწიფომ ევროპის გაერთიანების სასამართლოს გადაწყვეტილება"[33] (შენიშვნა: თარგმანი ავტორისაა). მათ მიეკუთვნება საკანონმდებლო ღონისძიებები ისევე როგორც წარმოშობილი ზიანის მოცულობა და სიდიდე.

228-ე მუხლის მეორე აბზაცის გამოყენებისას წარმოშობილი სხვა პრობლემები დაკავშირებულია შესაბამისი წევრ-სახელმწიფოს მიერ გადასახდელი თანხის დადგენასთან.

ამასთან, უპირველეს ყოვლისა, ისმება კითხვა აღნიშნული სანქციის გამოყენების აზრთან დაკავშირებით, რადგანაც ამ საკითხთან არის დაკავშირებული უნდა მიესაჯოს შესაბამის წევრ-სახელმწიფოს თანხის ერთჯერადი გადახდა თუ თანხის გარკვეული პერიოდის განმავლობაში დადგენილი ინტერვალით გადახდა.[34]

ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 228-ე მუხლის მეორე აბზაცის აზრის და მიზნის გათვალისწინებით, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული თანხის გადახდის ვალდებულების (იქნება ეს ერთჯერადი გადახდა თუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში დადგენილი ინტერვალით გადახდა) დაკისრება ხელშეკრულების საწინააღმდეგო ქმედების სანქციას წარმოადგენს.

თანხის ერთჯერადი გადახდის მისჯას გააჩნია პირველ რიგში პრევენტიული და დასჯადი ხასიათი. რაც შეეხება თანხის გარკვეული პერიოდის განმავლობაში დადგენილ ინტერვალებში გადახდას, რომელიც მაგალითად სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაწყებული ყოველ თვეში უნდა იქნას გადახდილი, ამ სახეობის უმაღლეს მიზნად უნდა ჩაითვალოს ის, რომ წევრ-სახელმწიფომ ხელშეკრულების შესაბამისი მდგომარეობა უმოკლეს ხანში აღადგინოს.

ერთჯერადი ფულადი სანქციისა და თანხის გარკვეული პერიოდის განმავლობაში დადგენილ ინტერვალებში გადახდის სანქციის სხვადასხვა მიზანი არ უნდა გამორიცხავდეს სანქციის ორივე ფორმის კუმულირებას.

თუმცა ხელშეკრულების შინაარსის გათვალისწინებით ძნელი ხდება იმის მტკიცება, თითქოს ასეთი კუმულირების დაშვება შესაძლებელი იყოს. ევროპულმა კომისიამ და ევროპის გაერთიანების სასამართლომ უნდა გადაწყვიტონ: ერთჯერადი ფულადი სანქცია ან კიდევ თანხის გარკვეული პერიოდის განმავლობაში დადგენილ ინტერვალებში გადახდის სანქცია. თუკი ეს შეხედულება სწორია, მაშინ, ალბათ, თანხის გარკვეული პერიოდის განმავლობაში დადგენილ ინტერვალებში გადახდის სანქციას ერთმნიშვნელოვნად უპირატესობა უნდა მიენიჭოს, რადგანაც მას უფრო მეტი შანსი გააჩნია იმისათვის, რომ შეასრულოს თავისი დანიშნულება. რაც შეეხება ერთჯერად ფულად სანქციას მისი პრევენტიული ფუნქციის ეფექტურობა აშკარა ეჭვს იწვევს.[35]

დადგენილი ფინანსური სანქციების განხორციელების პრობლემატიკა წინა პლანზე გამოდის იმ შემთხვევაში, როდესაც წევრ-სახელმწიფო დადგენილ ვადაში არ გადაიხდის იმ თანხას, რომელსაც მისგან მოითხოვენ. შეხედულება, თითქოსდა ამგვარი შემთხვევა მასთან დაკავშირებული პოლიტიკური შედეგების გამო არ შეიძლება მოხდეს, არ არის დამაჯერებელი. წევრ-სახელმწიფოების მიმართ სანქციის იძულებითი წესით განხორციელება ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 244-ე და 256-ე მუხლის პირველი აბზაცის დებულებებიდან[36] გამომდინარე გამორიცხულია. რჩება მხოლოდ და მხოლოდ ერთი შესაძლებლობა, იმდაგვარად შეიცვალოს ევროპის გაერთიანების შესაბამისი ფინანსური რეგლამენტები, რომ მომავალში შესაძლებელი გახდეს კომისიისადმი წევრ-სახელმწიფოების მოთხოვნების სანქციებით გათვალისწინებული თანხასთან მიმართებაში ჩათვლების სისტემის გამოყენება.

გარკვეული ძვრები ამ მიმართულებით უკვე არსებობს ევროპის გაერთიანების სოფლის მეურნეობის პოლიტიკის დარგში და გაერთიანების სტრუქტურული ფონდის სფეროში. ისინი საშუალებას იძლევიან, რომ კომისიამ ხელშეკრულების ფინანსურად მნიშვნელოვანი დარღვევა ფინანსური ხასიათის ღონისძიებებით გააწონასწოროს.[37] ამასთან, იგნორირებულ არ უნდა იქნას ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში ერთჯერადი ფულადი სანქცია უფრო მიზანშეწონილია ვიდრე თანხის გარკვეული პერიოდის განმავლობაში დადგენილ ინტერვალებში გადახდის სანქცია.

გააჩნია თუ არა იძულებითი ღონისძიებების დადგენის შესაძლებლობას პრაქტიკული მნიშვნელობა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

დღემდე არ ყოფილა ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 228-ე მუხლის მეორე აბზაცის საფუძველზე სასამართლო გადაწყვეტილებით იძულებითი ღონისძიებების დადგენის შემთხვევა. ამის მიზეზი კი არის ის, რომ 228-ე მუხლის მეორე აბზაცი ხანგრძლივ მოსამზადებელ პროცედურას მოითხოვს ვიდრე საერთოდ სასამართლოს მეორე გადაწყვეტილებამდე მივა საქმე.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საკითხი საერთოდ მოხერხდება თუ არა ამდაგვარი სასამართლო გადაწყვეტილების განხორციელება.

მართალია 244-ე მუხლის მიხედვით ევროპის გაერთიანების სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება 256-ე მუხლის შესაბამისად შეიძლება, მაგრამ ამასთან იბადება კითხვა, ფარავს თუ არა ეს ნორმა 256-ე მუხლის დებულებას, რომლის მიხედვითაც წევრ-სახელმწიფოების მიმართ სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი წესით აღსრულება თავიდანვე გამორიცხული რჩება. თუკი ამ კითხვას უარყოფითად ვუპასუხებთ, მაშინ საკუთარი ნებით გადახდასთან ერთად რჩება მხოლოდ და მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების განხორციელება ჩათვლის მეთოდის გამოყენებით იმ თანხებთან მიმართებაში, რომელიც შესაბამისი წევრ-სახელმწიფოს ვალის სახით აკისრია ევროპის გაერთიანებას.

1996 წელს კომისიამ გამოაქვეყნა შეტყობინება ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 171-ე (ახალი ნუმერაციით 228-ე) მუხლის გამოყენების შესახებ,[38] რომელშიც მან გამჭვირვალობის პრინციპიდან გამომდინარე ჩამოაყალიბა ის კრიტერიუმები, რომლებსაც ის იყენებს საორიენტაციოდ სასამართლოში ფინანსური სანქციების დადგენის მოთხოვნით განცხადების შეტანისას.

კომისიის შეხედულებით გათვალისწინებულ

[31] *EuGH, Rs. C-6/90 und C-9/90, Slg. 1991, 5357 (Francovich).*
[32] *იხ. Pescatore, P., The Law of Integration, 1974.*
[33] *ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 228-ე მუხლის მეორე აბზაცი.*
[34] *იხ. Wägenbaur, R., Zur Nichtbefolgung von Urteilen des EuGH durch die Mitgliedstaaten, S. 1618.*
[35] *იხ. Wägenbaur, R., Zur Nichtbefolgung von Urteilen des EuGH durch die Mitgliedstaaten, S. 1618.*
[36] *ეს დებულებები ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ, რომ ევროპის გაერთიანების სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების არსებული მექანიზმები არ გამოიყენება წევრ-სახელმწიფოების მიმართ.*
[37] *იხ. dazu Priebe, T., Sanktionen und sanktionsgleiche Maßnahmen im Rahmen des Gemeinschaftsfonds - neue Entwicklungen in der Gemeinschaftsgesetzgebung, in: Sanktionen als Mittel zur Durchsetzung des Gemeinschaftsrechts, Europäische Rechtsakademie Trier 1994, S.34.*
[38] *ABl. 1996 C 242, S.6.*

უნდა იქნას სამი ძირითადი კრიტერიუმი:

- დარღვევის სიმძიმე;
- დარღვევის ხანგრძლივობა;
- საჭირო პრევენტიული ეფექტი, რათა აცილებულ იქნას დარღვევის ხელახალი განმეორება.

როდესაც გარემოებები ამას ამართლებენ, კომისიას შეუძლია ხელშეკრულების დარღვევის მეორე პროცედურისას უარი თქვას იძულებითი ღონისძიებების დაწესების შესახებ განცხადების ევროპის გაერთიანების სასამართლოში შეტანაზე.

კომისიამ აღნიშნულ შეტყობინებას დაუმატა „ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 171-ე (ახალი ნუმერაციით 228-ე) მუხლის შესაბამისად თანხის გარკვეული პერიოდის განმავლობაში დადგენილ ინტერვალებში გადახდის სანქციის დაანგარიშების ინსტრუქცია."[39] აღნიშნული ინსტრუქციის მიხედვით, თანხის გარკვეული პერიოდის განმავლობაში დადგენილ ინტერვალებში გადახდის სანქცია დაიანგარიშება დღიური ფიქსირებული თანხის ჯამის საშუალებით, რომელიც წევრ-სახელმწიფომ უნდა გადაიხადოს, თუკი ის არ შეასრულებს ევროპის გაერთიანების სასამართლოს გადაწყვეტილებას. ეს თანხა დაიანგარიშება იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი წევრ-სახელმწიფო სასამართლოს მეორე გადაწყვეტილების შესახებ მიიღებს შეტყობინებას, იმ დღემდე, როდესაც აღმოიფხვრება დარღვევა.

დღიური ფიქსირებული თანხა გამოითვლება ერთიანი ძირითადი თანხის ნამრავლით სიმძიმის და ხანგრძლივობის კოეფიციენტზე. მიღებული შედეგი შემდეგ მრავლდება ზუსტად განსაზღვრულ სახელმწიფოს ფაქტორზე, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი წევრ-სახელმწიფოს გადამხდელუნარიანობას ისევე როგორც მისთვის საბჭოში მინიჭებულ ხმათა რაოდენობას.

მოხსენების მეხუთე დანართში კომისიამ გააკეთა ჩამონათვალი იმ 93 სასამართლო გადაწყვეტილებისა, რომლებიც ჯერ კიდევ არ იქნა განხორციელებული. 38 შემთხვევაში დაწყებულ იქნა ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 228-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურა. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ძველი ამ სასამართლო გადაწყვეტილებებიდან დათარიღებულია 1974 წლის 4 აპრილით (საქმე C-167/73).

კომისიის აღნიშნული მოხსენების მონაცემების შედარებისას ჩანს, რომ შეუსრულებელი სასამართლო გადაწყვეტილებების რიცხვი წინა წლის მონაცემებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა (1994 წელს შეუსრულებელი სასამართლო გადაწყვეტილების რაოდენობა შეადგენდა 85-ს), რაც ნეგატიურ ტენდენციად უნდა ჩაითვალოს.

თუმცა 1996 წლის ბოლოს ევროპის გაერთიანების სასამართლოს 99 გადაწყვეტილება რჩებოდა შეუსრულებელი,[40] კომისიამ მხოლოდ და მხოლოდ ორ შემთხვევაში მიმართა სასამართლოს ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 228-ე მუხლის შესაბამისად თანხის გარკვეული პერიოდის განმავლობაში დადგენილ ინტერვალებში გადახდის სანქციის დაწესების თაობაზე.[41]

დღემდე მთლიანობაში სულ მცირე სამი პროცედურა იყო წარმატებული იმდენად, რამდენადაც შესაბამისი წევრ-სახელმწიფოები თანხის გარკვეული პერიოდის განმავლობაში დადგენილ ინტერვალებში გადახდის სანქციის დაწესების მუქარის ქვეშ იძულებული გახდნენ შეესრულებინათ ევროპის გაერთიანების სასამართლო გადაწყვეტილებებით მათდამი დაკისრებული ვალდებულებები.

## 4.2 ზემოქმედების სხვა საშუალებები

თანხის გარკვეული პერიოდის განმავლობაში დადგენილ ინტერვალებში გადახდის სანქციის დაწესების შემდეგაც რჩება კითხვა, თუ რა ზომების მიღება შეუძლიათ ევროპის გაერთიანებას და სხვა წევრ-სახელმწიფოებს იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელიც მხედველობაში არ იღებს მის მიმართ ხელმეორედ გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებას და არ ეპუება მის მიმართ დადგენილ სანქციებს.

თუმცა ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 228-ე მუხლის მეორე აბზაცის შინაარსი არ გამორიცხავს თანხის გარკვეული პერიოდის განმავლობაში დადგენილ ინტერვალებში გადახდის სანქციის ხელმეორედ დაწესებას, მაგრამ პოლიტიკური მოსაზრებებისა და ევროპის გაერთიანების სასამართლოს რეპუტაციის გამო ასეთი რამ არ არის მიზანშეწონილი.[42]

ზემოქმედების სხვა საშუალებების გამოყენება შესაბამისად შეზღუდულია პოლიტიკურ საშუალებებამდე და საყოველთაო საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ შესაძლებლობებამდე.

ბუნებრივია კომისია ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 211-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც კომისიისათვის დაკისრებულ ზოგად ამოცანებს ჩამოთვლის, ვალდებულია, სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პოლიტიკურ დონეზეც იმოქმედოს. მან არა მარტო შესაბამის წევრ-სახელმწიფოს უნდა მიუთითოს იმ განსაკუთრებულ ზიანზე, რომელიც ევროპის გაერთიანებას ადგება ევროპის გაერთიანების სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შედეგად, მან ასევე ამ საკითხით უნდა დააინტერესოს საბჭოც. საბჭოში შეკრებილი წევრ-სახელმწიფოები ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-10 მუხლის მიხედვით[43] ვალდებულნი არიან განახორციელონ კონცენტრირებული ზეწოლა ხელშეკრულების დამრღვევ წევრ-სახელმწიფოზე.[44] კითხვას იმის თაობაზე, შეუძლიათ თუ არა სხვა წევრ-სახელმწიფოებს ხელშეკრულების დამრღვევი სახელმწიფოს მიმართ გამოიყენონ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული საშუალებები (მაგ. რეპრესალიები), ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი პასუხი ეცემა.[45] უდავოა, რომ ასეთი საშუალების გამოყენება მანამდე უნდა იქნას გამორიცხული, ვიდრე ხელშეკრულების დარღვევის ფაქტი ევროპის გაერთიანების სასამართლოს მიერ კომისიის ადმინისტრაციული პროცედურის ან ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 227-ე მუხლის საფუძველზე სასამართლო გადაწყვეტილებით არ იქნება დადასტურებული.

ევროპის გაერთიანების სამართალწესრიგის განსაკუთრებული ბუნების გათვალისწინებით[46] აუცილებელი ხდება კლასიკური საერთაშორისო სამართლის ნორმების გამოყენების კიდევ უფრო შეზღუდვა: ეს შესაძლებლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნას გამოყენებული, როდესაც ევროპის გაერთიანების სამართლით გათვალისწინებული ყველა შესაძლებლობა (პოლიტიკური ზეწოლა, საბჭოში საკითხის განხილვა, ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 228-ე მუხლის მეორე აბზაცის შესაბამისად გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებით ერთჯერადი ფულადი სანქციის ან კიდევ თანხის გარკვეული პერიოდის განმავლობაში დადგენილ ინტერვალებში გადახდის სანქციის დაწესება) იქნება ამოწურული.[47]

ევროპის გაერთიანების სამართლის საშუალებებს, რომლებიც ერთმხრივი რეტორსიებისა და რეპრესალიების ღონისძიებების გამოყენებამდე უნდა იქნას გამოყენებული, უპირველეს ყოვლისა მიეკუთვნება საბჭოს მიერ კვალიფიციური უმრავლესობით სპეციალური აქციების დადგენის შესაძლებლობა, რომელთა მიზანს ხელშეკრულების დამრღვევ წევრ-სახელმწიფოზე ზეწოლა წარმოადგენს.

აგრარულ სფეროში, სადაც თითქმის ყველა ღონისძიება კვალიფიციური უმრავლესობით შეიძლება იქნას მიღებული,[48] დიდია მსგავსი სპეციფიური სანქციების გამოყენების შესაძლებლობა. თუმცა ამ შესაძლებლობის გამოყენება დღემდე არასდროს სერიოზულად არ ყოფილა განხილული.

## დასკვნა

საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის პრობლემამ ლიტერატურაში შედარებით მცირე გამოხმაურება ჰპოვა. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებები უმრავლეს შემთხვევაში სრულდება და მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ხდება მათ შესრულებაზე ერთმნიშვნელოვნად უარის თქმა.

სასამართლო გადაწყვეტილებების შეუსრულებლობისას გამოსაყენებელი სანქციების ინსტიტუციონალიზირებული შესაძლებლობების ხარისხი და რაოდენობა, რომლებიც გამომდინარეობენ საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლიდან, ძალიან შეზღუდულია. ზოგიერთი სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველსაყოფად მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლიდან გამომდინარე საერთაშორისო სამართლებრივი თვითდახმარების შესაძლებლობის გამოყენება ხდება შესაძლებელი.

არის თუ არა რაიმე ცვლილება ამ მდგომარეობაში მოსალოდნელი? ალბათ, არა. აღნიშნული სიტუაცია შეესაბამება საერთაშორისო სამართლის დღევანდელ მდგომარეობას. თუმცა სუვერენიტეტის ცნებამ დაკარგა თავისი აბსოლუტური ხასიათი, მაგრამ სახელმწიფოები ჯერჯერობით მზად არ არიან იმისათვის, რომ მათ შესაბამისი საერთაშორისო ორგანოები აღჭურვონ ეფექტური სანქციების მექანიზმებით.

თვით ევროპის გაერთიანების სასამართლოს, რომელსაც თავისი გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კონკრეტული ინსტრუმენტების გამოყენება შეუძლია, უხდება შეჯახება მნიშვნელოვან სიძნელეებთან, რომლებიც ზემოთ იქნა განხილული.

ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილებების შეუსრულებლობა პრაქტიკაში ხშირად არ გვხვდება, აღნიშნული საკითხი არ ითვლება განსაკუთრებით აქტუალურად. მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ამ პრობლემის უდიდესი მნიშვნელობა იგნორირებულ იქნას.

---

[39] *ABl. 1997 C 63, S.2*

[40] *Kommission der Europäischen Gemeinschaften: 14. Jahresbericht über die Kontrolle der Anwendung des Gemeinschaftsrechts, Dok. KOM (97) 229, S.451f.*

[41] *Rs. C-121/97 und C-122/97, ორივე საქმეში მოპასუხედ გამოდიოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. კომისიის მიერ შეტანილი იყო განცხადება დღიური გადასახდელი თანხის შემდეგი რაოდენობით დაკისრებაზე: 26.400 / 158.400 ECU.*

[42] *აქვე მაგალითად: Karpenstein, Peter, Kommentar zum Artikel 171 EGV in: Grabitz, Eberhard/Hilf, Meinhard (Hrsg.), Kommentar zur Europäischen Union, München 1998.*



[43] *„წევრ-სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ღონისძიებებს, იქნება ეს ზოგადი თუ განსაკუთრებული ხასიათის, იმ ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან ან გაერთიანების ორგანოების ქმედებიდან. ისინი ხელს უწყობენ გაერთიანების ორგანოებს მათზე დაკისრებული ამოცანების შესრულებაში. ისინი თავს იკავებენ ყველა იმ ქმედების განხორციელებისაგან, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ხელშეკრულების მიზნების განხორციელებას" (ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 10-ე მუხლი).*

[44] *იხ. Karpenstein, Peter, Kommentar zum Artikel 171 EGV in: Grabitz, Eberhard/Hilf, Meinhard (Hrsg.), Kommentar zur Europäischen Union, München 1998.*

[45] *დადებითად პასუხობს: Däubler, S., NJW 1968, S.331; Bleckmann, Albert, RIW/AWD 1978, S.91f.; უარყოფითად: Everling, U., Fs. für Hermann Mosler, S.177f; Zuleeg, Manfred, Gs. für Christoph Sasse Bd.1, S.63.*

[46] *იგულისხმება ევროპის გაერთიანების თავისებურება, რაც გამოიხატება იმაში, რომ მას შეუძლია მიანიჭოს წევრ-სახელმწიფოების მოქალაქეებს უფლებები წევრ-სახელმწიფოების შუალედური რგოლის გამოყენების გარეშე.*

[47] *იხ. Karpenstein, Peter, Kommentar zum Artikel 171 EGV in: Grabitz, Eberhard/Hilf, Meinhard (Hrsg.), Kommentar zur Europäischen Union, München 1998, Rn. 36.*

[48] *იხ. ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 37-ე მუხლის მეორე აბზაცი.*

# შავი ზღვის სრუტეების სამართლებრივი რეჟიმი

დავით კალანდაძე

შავი ზღვა, თავისი განსაკუთრებული გეოგრაფიული მდგომარეობის გამო კაცობრიობის განვითარების ადრეულ ხანაში ასრულებდა მნიშვნელოვან როლს ძველ ტომებს შორის ურთიერთობების დამყარებაში. შავი ზღვისპირეთი ძველთაგანვე ცნობილი იყო, როგორც მრავალი კულტურების გადაკვეთისა და ბრძოლების ადგილი. ისტორიამ ჩვ. წ. აღრიცხვამდე XIV საუკუნეში ეგვიპტელი ფარაონების ლაშქრობების ცნობებიც კი შემოინახა შავი ზღვისპირეთში.

ბერძნულ პერიოდში შავი ზღვა იქცა სამხრეთს, ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთს შორის გაცხოველებული ვაჭრობის ადგილად. ასევე დიდი ხანია ცნობილია შავი ზღვის სრუტეები — ჰელესპონტი (დარდანელი), მარმარილოს ზღვა და ბოსფორი — როგორც ერთ-ერთი უძველესი სატრანსპორტო არტერია. შავი ზღვის განსაკუთრებული გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ვაჭრობა მთლიანად იყო დამოკიდებული სრუტეებზე, სამართლებრივი რეგულირება პირველად სწორედ გემების გავლას შეეხო. როგორც ბერძენი ისტორიკოსი Полибии იტყობინება, გემების გავლისათვის დაწესებულ იქნა 10% ბაჟი.

ჯერ კიდევ იმ დროს შავი ზღვის სრუტეებში ნაოსნობის რეჟიმის საკითხმა გარკვეული სიმწვავე შეიძინა, რაც არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ სამხედრო შეტაკებების მიზეზი გახდა. ამის მაგალითია ბიზანტიასა და როდოსის კუნძულს შორის ომი, რომლის მიზეზიც იყო დაბრკოლებები სრუტეებში ნაოსნობისათვის, რასაც ბიზანტია ქმნიდა. ომის შედეგად ეს უკანასკნელი იძულებული შეიქმნა წასულიყო დათმობებზე. მეომარ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით (219 წ.ჩვ.წ.აღ.-მდე) დადგინდა სავაჭრო ნაოსნობის თავისუფლება სრუტეებში: „...ბიზანტიელებმა არ უნდა აკრიფონ არანაირი გასატარებელი გადასახადი არავისგან, ვინც კი პონტოში მიდის, მაშინ როდოსელები და მათი მეკავშირეები მშვიდობით იცხოვრებენ ბიზანტიელებთან." ეს არის ჩვენამდე მოღწეული პირველი საერთაშორისო შეთანხმება სრუტეებში ნაოსნობის რეჟიმის შესახებ.

ბიზანტიის სრუტეებში ბატონობის პერიოდმა გასტანა XV საუკუნის შუა რიცხვებამდე და შეუძლება ითქვას, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში სრუტეებს არ ჰქონიათ რაიმე საერთაშორისო-სამართლებრივი რეჟიმი. ნაოსნობა წესრიგდებოდა სრუტეების ნაპირების მფლობელი სახელმწიფოს მიერ ცალმხრივად და საკუთარი შეხედულებებისამებრ. ერთადერთი გამონაკლისი ამ მდგომარეობაში იყო ცალმხრივი ან სახელშეკრულებო პრივილეგიები, რომელთაც ბიზანტია ანიჭებდა დაინტერესებულ სახელმწიფოებს, მაგალითად, ვენეციის ან გენუას რესპუბლიკებს.

თურქების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობით სრუტეების სამართლებრივ რეჟიმში ახალი ერა დაიწყო. ბოსფორისა და დარდანელის ნაპირებზე ჩამოყალიბდება ოსმანების ძლიერი იმპერია, რომელიც სამ კონტინენტზე გადაიჭიმება. დროთა განმავლობაში შავი ზღვა თურქების შიდა ზღვად გადაიქცევა, რომელშიც ისინი, ბიზანტიის იმპერიის მსგავსად, საკუთარი ნებასურვილის მიხედვით უშვებენ უცხო სახელმწიფოს გემებს. შავი ზღვის ქვეყნებთან ვაჭრობით ყველაზე დაინტერესებული კვლავინდებურად იტალიური რესპუბლიკები რჩებიან, რომლებიც სულთანთან შეთანხმებით და გარკვეულ საფასურად ინარჩუნებენ შავი ზღვის სრუტეებში ნაოსნობის უფლებას.

XVI საუკუნიდან მოყოლებული სრუტეების ისტორიაში იწყება ე.წ. „კაპიტულაციების" ხანა. „კაპიტულაცია" ეწოდებოდა ცალმხრივი შეღავათების სისტემას, რომელსაც ოსმანეთის იმპერია ანიჭებდა მისთვის სასურველ სახელმწიფოს. ეს არ ყოფილა შეთანხმება ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, არამედ — ძლიერი სახელმწიფოს მიერ ნაკარნახები თავისი ნების სახელშეკრულებო გაფორმება იყო.

ამგვარ „კაპიტულაციებში" ხელშემკვრელი მხარეები სავაჭრო ნაოსნობის თავისუფლების გარდა საზღვრავდნენ, როგორც წესი აგრეთვე საბაჟო გადასახადებსაც, რაც ინგლისთან 1604 წელს და ნიდერლანდებთან 1612 წელს გაფორმებული შეთანხმებებით განისაზღვრა გაყიდული საქონელის 3%-ის ოდენობით.

XVII საუკუნის ბოლოსათვის შავი ზღვის სანაპიროზე გამოჩნდა რუსეთის იმპერია. დასრულდა პერიოდი, როდესაც შავი ზღვა ოსმანეთის სამეფოს შიდა ზღვად ითვლებოდა. საუკუნის განმავლობაში გამართული არაერთი ომისა თუ კონსტანტინოპოლს გაგზავნილი დიპლომატიური მისიების აქტიურობის შედეგად გაფორმდა 1774 წლის სამშვიდობო ხელშეკრულება რუსეთ-თურქეთს შორის, რომლის ერთ-ერთი მუხლი ეხებოდა ნაოსნობის რეჟიმს სრუტეებში.

ამ მუხლის მიხედვით, ორ იმპერიას შორის თავისუფალი და დაუბრკოლებელი ვაჭრობისა და სავაჭრო გემების მიმოსვლის მისაღწევად ხელშემკვრელი მხარეები თანხმდებოდნენ ნაოსნობაზე შავიდან თეთრ და პირიქით, თეთრიდან შავ ზღვაში (თეთრ ზღვად იწოდებოდა მარმარილოს ზღვა). ნაოსნობის იგივე რეჟიმი ვრცელდებოდა აგრეთვე დუნაიზეც.

ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი სამხედრო ხომალდების და მათ მიერ სრუტეების გავლის შესახებ. ამ პერიოდამდე ოსმანეთის იმპერიასთან დადებული ყველა შეთანხმება უკრძალავდა რუსეთის იმპერიას არა მარტო სრუტეების სამხედრო ხომალდებით გავლას, არამედ თვით სამხედრო ფლოტის ყოლასაც შავ ზღვაში. როგორც ხელშეკრულებაზე რუსეთის იმპერიის მხრიდან ხელმომწერი დიპლომატები განმარტავდნენ, ის რომ ტრაქტატში არაფერი იყო ნათქვამი სამხედრო ფლოტთან დაკავშირებით, იძლეოდა მისი აშენების, მაგრამ არა სრუტეებში გაყვანის უფლებას.

ამდენად, ოსმანეთის იმპერიამ განაგრძო არსებული პრაქტიკა და ამჯობინა სრუტეებით სარგებლობის რეჟიმი ორმხრივი ხელშეკრულებებით მოეწესრიგებინა. მდგომარეობა შეიცვალა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც 1922 წელს შვეიცარულ ლოზანაში გაიხსნა კონფერენცია, რომლის ერთ-ერთი საკითხი შავი ზღვის სრუტეებში ნაოსნობის რეჟიმი იყო.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, თურქეთი, იაპონია, საბერძნეთი, იუგოსლავია, ბულგარეთი, რუმინეთი, რუსეთი, უკრაინა და საქართველო. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ არ არსებობს საკმარისი ისტორიული გამოკვლევები ქართული ზღვაოსნობისა, კერძოდ კი შავი ზღვის სრუტეებით სარგებლობის შესახებ, საქართველო, როგორც შავი ზღვის სრუტეებით მოსარგებლე ქვეყანა მსოფლიო იურიდიულ ლიტერატურაში პირველად XX საუკუნეში მოიხსენიება. არადა, ძნელი დასაჯერებელია, რომ დღეისათვის არსებულ შავი ზღვისპირა სახელმწიფოებს შორის ერთადერთს, რომელსაც ეს სტატუსი მუდამ გააჩნდა, არ ჰქონოდა თავისი სავაჭრო ან სამხედრო ფლოტი.

მოლაპარაკებები შვეიცარიაში შვიდი თვე გაგრძელდა, რის შედეგადაც 1923 წელს ხელმოწრილ იქნა ლოზანის კონვენცია სრუტეების რეჟიმის შესახებ.

კონვენციის 1-ლი მუხლით გაცხადებულ იქნა ნაოსნობისა და ფრენის თავისუფლება სრუტეებში, რომელიც მოიცავდა ბოსფორს, დარდანელსა და მარმარილოს ზღვას.

მეორე მუხლი ადგენდა გავლის წესებს სავაჭრო და სამხედრო ხომალდებისა და საფრენი აპარატებისთვის როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს.

მშვიდობიანობის დროს გათვალისწინებული იყო სავაჭრო (კომერციული) გემებისა და საფრენი აპარატების მიმოსვლის თავისუფლება დღე-ღამის ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ტვირთით განურჩევლად დროშისა. გემები განთავისუფლებული იყვნენ ყოველგვარი მოსაკრებლებისა და გადასახადების გადახდისაგან, გარდა მათთვის უშუალოდ გაწეული სამსახურის საფასურისა.

სამხედრო ხომალდებისა და საფრენი აპარატებისათვის გათვალისწინებული იყო მიმოსვლის სრული თავისუფლება დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში და ნებისმიერი დროშის ქვეშ, ყოველგვარი გადასახადების, მოსაკრებლებისა და ზედმეტი ფორმალობების გარეშე, მაგრამ შემდეგი შეზღუდვებით: მაქსიმალური ძალა, რომელიც ერთ ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გაიყვანოს სრუტეების გავლით შავ ზღვაში არ უნდა აღემატებოდეს შავ ზღვაში არსებულ მიმდებარე სახელმწიფოთა ყველაზე ძლიერ ფლოტს გავლის მომენტისათვის. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოებს რჩებათ უფლება ნებისმიერ დროს შეიყვანონ შავ ზღვაში ერთდროულად სამი გემი, რომლეთაგანაც თითოეულის წყალწყვა უნდა იყოს მაქსიმუმ ათი ათასი ტონა. ამასთან სრუტეებში სამხედრო ხომალდების გავლაზე თურქეთის რესპუბლიკას არ ეკისრება არანაირი პასუხისმგებლობა. კონვენციის წესების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ე.წ. სრუტეების კომისიას (მუხლი 10), რომელიც წელიწადში ორჯერ გამოითხოვს შავი ზღვისპირა ქვეყნებისგან მათი სამხედრო ფლოტის შესახებ მონაცემებს, მათ შორის თუ რამდენი ლინკორი, სახაზო კრეისერი, გამანადგურებელი, წყალქვეშა ნავი და ა.შ., რა რაოდენობის საზღვაო-საჰაერო ძალები ჰყავთ მიმდებარე სახელმწიფოებს შავ ზღვაში. მონაცემები შავი ზღვისპირა ქვეყნების ყველაზე ძლიერი საზღვაო ფლოტის შესახებ სრუტეების კომისიის მიერ მიეწოდება ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოს. მათ (დაინტერესებულ სახელმწიფოებს) აგრეთვე დაუყოვნებლივ აცნობებენ ნებისმიერ ცვლილებებს, რომლებიც განიცადა შავი ზღვისპირა ქვეყნების ყველაზე ძლიერმა საზღვაო ფლოტმა. იმის გამოსათვლელად, თუ რა ძალა შეიძლება გაყვანილ იქნას სრუტეებით შავ ზღვაში, მხედველობაში მიიღება მხოლოდ მწყობრში არსებული გემების რაოდენობა და ტიპები.

ომიანობის დროს, როდესაც თურქეთის რესპუბლიკა ნეიტრალურ მხარეს წარმოადგენდა სავაჭრო გემები სარგებლობდნენ ნაოსნობის იგივე თავისუფლებებით, რაც მშვიდობიანობის დროს.

სამხედრო ხომალდები და საფრენი აპარატები კვლავინდებურად სარგებლობენ ნაოსნობის სრული თავისუფლებით განურჩევლად დროშისა, ოღონდ იმავე შეზღუდვებით, რაც მშვიდობიანობის დროს. მაგრამ ამ შეზღუდვებს არ უნდა გამოეწვიათ მეომარი მხარის უფლებების შელახვა შავ ზღვაში. თივთ სრუტეებში სამხედრო მოქ-

მედებები (დატყვევება, დათვალიერება და სხვა მტრული აქციები) აკრძალული იყო.

იმ შემთხვევაში, თუკი თურქეთი წარმოადგენს ერთ-ერთ მეომარ მხარეს, მაშინ ნარჩუნდება სრუტეებში თავისუფალი გავლის პრინციპი ნეიტრალური სახელმწიფოების როგორც სავაჭრო გემებისათვის, ისე სამხედრო ხომალდებისა და საფრენი აპარატებისათვის. თურქეთის მიერ თავდაცვისათვის მიღებულმა ზომებმა ხელი არ უნდა შეუშალონ ნეიტრალური გემების, ხომალდებისა და საფრენი აპარატების მიმოსვლის თავისუფლებას.

ამის გარდა, კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებულია აგრეთვე წყალქვეშა ნავების მიერ სრუტეების ამოტივტივებულ მდგომარეობაში გავლის რეჟიმი, სამხედრო ხომალდების გავლის ვადების შეზღუდვები, შავი ზღვისპირა ქვეყნებისა და თურქეთის უფლება დაადგინონ უცხო სახელმწიფოს ხომალდების შავი ზღვისპირა ქვეყნების პორტებში დაშვებული რაოდენობა და ყოფნის ვადები და სხვ.

კონვენცია აგრეთვე ითვალისწინებს გარკვეულ დემილიტარიზირებულ ზონებს სრუტეების რაიონში, სადაც არ შეიძლება აღიმართოს არანაირი სიმაგრეები, მუდმივი საარტილერიო დანადგარები, საზღვაო ბაზები, წყალქვეშა მოქმედების იარაღები და საზღვაო ავიაციის დანადგარები. დემილიტარიზირებულ ზონებში არ უნდა იყოს არანაირი შეიარაღებული ძალა (გარდა შეზღუდულად შეიარაღებული საპოლიციო ძალებისა).

კონვენცია ითვალისწინებს, როგორც უკვე აღინიშნა, სრუტეების კომისიის შექმნას, რომელიც შედგება საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, იაპონიის, ბულგარეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, რუსეთისა და აშშ-ს (იმ შემთხვევაში, თუკი ეს უკანასკნელი მიუერთდება კონვენციას) წარმომადგენლებით. კომისიას თავმჯდომარეობს თურქი დელეგატი და მუშაობს „ერთა ლიგის" ეგიდით, რომელსაც წარუდგენს კიდევაც ანგარიშებს თავისი საქმიანობის შესახებ, აგრეთვე ინფორმაციას ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ (მონტრეს 1936 წლის კონვენციით სრუტეების კომისიის ფუნქცია დაეკისრა თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას).

კონვენცია არ იქნა რატიფიცირებული საბჭოთა კავშირის მიერ.

იმ პირობებში, როდესაც ლოზანის კონვენცია ვერ ამოქმედდა ეფექტურად, 1936 წლის დასაწყისში თურქეთის მთავრობამ მიმართა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, იტალიის, საბჭოთა კავშირის, საბერძნეთის, იუგოსლავიის, და იაპონიის მთავრობებს, აგრეთვე „ერთა ლიგას" ოფიციალური ნოტით, დაწყებულიყო მოლაპარაკებები ლოზანის 1923 წლის კონვენციის გადასასინჯად.

კონფერენციამ დაიწყო მუშაობა 1936 წლის 22 ივნისს შვეიცარულ ქალაქ მონტრეში, სადაც მონაწილეობდა ყველა ზემოაღნიშნული სახელმწიფო, გარდა იტალიისა.

მონტრეს კონფერენცია გაგრძელდა თითქმის ერთი თვე. ძირითადი საკითხები, როგორიც იყო სავაჭრო ნაოსნობის თავისუფლება, დადებითად გადაწყდა. ძირითადი უთანხმოებები წარმოიშვა სრუტეებში შავი ზღვისპირა და სხვა სახელმწიფოების სამხედრო ხომალდების გავლასთან დაკავშირებით.

კონვენციამ ცნო სრუტეებში გავლისა და ნაოსნობის თავისუფლება, როგორც დღისით, ისე ღამით სავაჭრო გემებისათვის მშვიდობიან დროს მიუხედავათ მათი დროშისა და ტვირთისა. კონვენცია კრძალავს ტრანზიტული გავლისათვის სრუტეების რომელიმე პორტში შეუსვლელად რაიმე გადასახადის ან მოსაკრებლის დაწესებას. გემებმა უნდა შეატყობინონ სადგურების თანამდებობის პირებს თავიანთი დასახელების, ტონაჟის, დანიშნულების ადგილისა და უკანასკნელი სამყოფელის შესახებ. ლოცმანებისა და ბუქსირების მომსახურება არასავალდებულოა.

ყოველმა გემმა, რომელიც შედის სრუტეებში, უნდა გაიაროს სანიტარული დათვალიერება საერთაშორისო სანიტარული წესების ფარგლებში. დადგენილია, რომ დათვალიერებამ უნდა ჩაიაროს მაქსიმალურად სწრაფად. შავი ჭირის, ქოლერის, ციებ-ცხელების, ტიფის ან ოსპას შემთხვევაში ასრულებენ კონვენციის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, რათა მისცენ საშუალება თურქეთის სანიტარულ სადგურებს ავიდნენ გემის ბორტზე. სანიტარული მომსახურება უფასოა.

სავაჭრო გემებისათვის ნაოსნობის თავისუფლება ნარჩუნდება ომიანობის დროსაც, იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი არ არის მეომარი მხარე. იმ შემთხვევაში, თუკი თურქეთი მეომარი მხარეა, სავაჭრო გემები, რომლებიც არ ეკუთვნის თურქეთთან ომში მყოფ მხარეს, ინარჩუნებენ სრუტეებში გავლისა და ნაოსნობის თავისუფლებას, იმ პირობით, რომ ისინი რამენაირად არ ეხმარებიან მოწინააღმდეგეს. ომიანობის შემთხვევაში სავაჭრო ნაოსნობა სრუტეებში ხორციელდება დღისით და თურქეთის ხელისუფალნი უფლებამოსილნი არიან ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მიუთითონ გემებს მათი მარშრუტი სრუტეებში. თუკი თურქეთმა თავი უშუალო მუქარის წინაშე ჩათვალა, ამ შემთხვევაში მას შეუძლია მოითხოვოს გემების ლოცმანების მიერ გაყვანა, მაგრამ ეს სამსახური მაინც უფასო რჩება.

როგორც კონვენციის მე-7 მუხლითაა განსაზღვრული, ტერმინი სავაჭრო ნაოსნობა ეხება ყველანაირ გემს, გარდა სამხედროსა.

კონვენციის II ნაწილი ეხება სამხედრო ხომალდებს. მის მიხედვით, მკვეთრად დიფერენცირებული მიდგომა იქნა დაფიქსირებული შავი ზღვისპირა და არაშავი ზღვისპირა ქვეყნების სამხედრო ხომალდების მიმართ. ამ უკანასკნელთ სრუტეებში გასავლელად გარკვეული სტანდარტები უნდა დაეცვათ.





თუ რა გაიგება სამხედრო ხომალდად კონვენციის აზრით, განსაზღვრულია კონვენციის II დანართში. კონვენციის მე-9 მუხლის მიხედვით, დამხმარე გემებს, რომელთაც გადააქვთ თხევადი და მყარი საწვავი შეუძლიათ ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების გარეშე გაიარონ სრუტეები და ისინი არ ჩაითვლებიან მე-14 და მე-18 მუხლებით შეზღუდულ ტონაჟში. სხვა მხრივ მათზე ვრცელდება ყველა წესი, არსებული სხვა სამხედრო ხომალდების მიმართ.

კონვენციის მიხედვით, მშვიდობიანობის დროს მსუბუქ სამხედრო ხომალდებსა და დამხმარე გემებს, მიუხედავად იმისა, რომელ ქვეყანას ეკუთვნიან და რა დროშას ატარებენ, შეუძლიათ ისარგებლონ დღისით სრუტეებში გავლის თავისუფლებით ყოველგვარი მოსაკრებლებისა და გადასახადების გარეშე, კონვენციით გათვალისწინებული წესების შესაბამისად. კონვენცია კი სამხედრო ხომალდების მიმართ ადგენს შემდეგს: სამხედრო ხომალდებმა უნდა შეატყობინონ თავიანთი განზრახვის შესახებ 15 დღით ადრე (შავი ზღვის ქვეყნების ხომალდებმა 8 დღით ადრე) დანიშნულების ადგილის, თავიანთი სახელის, ხომალდების ტიპის და რაოდენობის, შემოსვლა-გასვლის თარიღების ჩათვლით. ხომალდებმა უნდა გაიარონ სრუტეები შემოსვლის მითითებული თარიღიდან ხუთი დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში საჭიროა ახალი შეტყობინება. სრუტეების გავლისას საზღვაო რაზმის მეთაური გაჩერების გარეშე ატყობინებს შესაბამის სადგურს მისი მეთაურობის ქვეშ არსებული რაზმის ზუსტ რაოდენობას, პირადი შემადგენლობის ჩათვლით. კონვენციის მე-14 მუხლის მიხედვით სრუტეებში ერთდროულად არსებული უცხო ქვეყნების სამხედრო ხომალდების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ცხრას. ასევე დადგენილია შეზღუდვები ტონაჟის თვალსაზრისით. ამ მუხლის დებულებები არ ვრცელდება შავი ზღვისპირა ქვეყნების ხომალდებზე, თუკი ისინი სათითაოდ გაივლიან სრუტეებს.

სრუტეების გავლისას სამხედრო ხომალდებს ეკრძალებათ გემებზე ბაზირებული საჰაერო ხომალდების გამოყენება.

1936 წლის კონვენციის მიხედვით, არაშავი ზღვისპირა ქვეყნებს საერთო ჯამში შეუძლიათ ჰყავდეთ შავ ზღვაში სამხედრო-საზღვაო ფლოტი ოცდაათი ათას ტონამდე წყალწყვით. გარკვეულ შემთხვევებში ამ რიცხვმა შეიძლება მიაღწიოს მაქსიმუმ ორმოცდახუთი ათას ტონამდე. ერთ ქვეყანას შეუძლია ჰყავდეს ამ რიცხვის 2/3 შავ ზღვაში. არაზღვისპირა ქვეყნების გემებს შეუძლიათ დაჰყონ შავ ზღვაში 21 დღემდე.

იმ შემთხვევაში, თუკი თურქეთი საომარ მდგომარეობაში იმყოფება, სამხედრო ხომალდების სრუტეებში გავლა მთლიანად მისი კომპეტენციის ქვეშ ექცევა. იგივე უფლება აქვს მას, როდესაც თურქეთი თავს ჩათვლის უშუალო სამხედრო საფრთხის წინაშე მყოფად. ამგვარი ზომების მიღების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება „ერთა ლიგას" (გაეროს) და თუკი მისი და კონვენციის წევრი სახელმწიფოების უმრავლესობა დაადგენენ ამგვარი მოქმედებების არამართებულობას, თურქეთმა უნდა შეცვალოს ისინი.

როგორც კონვენციის ამ მუხლიდან ჩანს, სავაჭრო ხომალდების გავლა საომარი მოქმედებების დროსაც არ უნდა დაბრკოლდეს, გარდა ზემოთ მოყვანილი შემთხვევებისა.

კონვენცია აგრეთვე აწესრიგებს საჰარეო ხომალდების გავლის წესს სრუტეების თავზე და აცხადებს მას თავისუფალს სამოქალაქო ავიაციისათვის. ამისათვის თურქეთის მთავრობამ უნდა მიუთითოს სრუტეების თავზე საჰაერო გზები, რომლითაც ისარგებლებენ ხომალდები.

კონვენციის I დანართში დადგენილია ის მოსაკრებლები და გადასახადები, რომლებიც უნდა გადაიხადონ გემებმა (სანიტარული კონტროლის, შუქურების და სხვა ნიშნების, სამაშველო სამსახურს). გემები, რომლებიც სრუტეებში ნებისმიერი მიმართულებით გავლის შემდეგ ექვსი თვის ვადაში უკან დაბრუნდებიან, გადასახადს მხოლოდ ერთხელ იხდიან.

გემები ანაზღაურებენ ლოცმანებისა და ბუქსირების მომსახურების საფასურს, თუკი ეს მომსახურება მათი მოთხოვნით გაეწიათ.

კონვენციის II დანართში დადგენილია, თუ რა ჩაითვლება სახაზო ხომალდებად (линейные корабли), ავიამზიდებად, მსუბუქ ხომალდებად, წყალქვეშა ნავებად, მცირე საბრძოლო გემებად და დამხმარე გემებად, ხომალდებისა და წყალქვეშა ნავების სტანდარტულ წყალწყვად, აგრეთვე ვადები, რომლის გასვლის შემდეგაც თითოეული გემი მოძველებულად ჩაითვლება.

III დანართი ითვალისწინებს გარკვეულ პრივილეგიებს იაპონური ფლოტისათვის.

IV დანართში ჩამოთვლილია გემების კლასები, რომლებიც კონვენციის მე-18 მუხლის მიხედვით შეადგენენ შავი ზღვისპირა ქვეყნების ფლოტების საერთო ტონაჟს.

სრუტეების შესახებ კონვენციისადმი დართული ოქმი წმინდა ტექნიკური ხასიათისაა, სადაც აღნიშნულია, რომ თურქეთის მთავრობას, კონვენციის ძალაში შესვლამდე შეუძლია დაიწყოს დროებით მისი გამოყენება.

1936 წლის 20 ივლისს კონვენციას (უშუალოდ კონვენცია, მისი 4 დანართი და ერთი ოქმი) ხელი მოაწერეს ავსტრალიამ, დიდმა ბრიტანეთმა, საბერძნეთმა, საფრანგეთმა (დეპოზიტარი), იუგოსლავიამ, იაპონიამ, რუმინეთმა, ბულგარეთმა, თურქეთმა და საბჭოთა კავშირმა. მიუერთდა იტალია, ხოლო 1969 წლიდან სამართალმემკვიდრეობის პრინციპით — კვიპროსი. დღეისათვის კონვენციაში მონაწილეობენ აგრეთვე რუსეთის ფედერაცია და უკრაინა. იაპონიას, მოკავშირეთა ბერლინის 1945 წლის კონფერენციის მოლაპარაკებათა თანახმად, ჩამოერთვა კონვენ-

ციიდან (დანართებიდან) გამომდინარე მისი უფლებები და პრივილეგიები.

რამდენიმე წელია კვლავ გამწვავდა შავი ზღვის სრუტეების რეჟიმის საკითხი. იგი განიხილეს ისეთ ორგანიზაციებში, როგორიცაა გაერო, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (IMO), შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია. ყველაფერი ეს გამოწვეულია 1994 წელს თურქეთის რესპუბლიკის მიერ სრუტეებში ნაოსნობის ცალმხრივად შემოღებული რეგლამენტით, რასაც ისინი ნაოსნობის უსაფრთხოებისა და ზღვის გარემოს დაცვით ასაბუთებენ.

შავი ზღვა ერთ-ერთი ყველაზე დაბინძურებული ზღვაა დედამიწაზე, სრუტეები კი — ერთ-ერთი ყველაზე გაცხოველებული საზღვაო გზა. თურქეთის ხელისუფლების მონაცემებით, ნაოსნობამ სრუტეებში მიაღწია 50 ათას გემზე მეტს წელიწადში, აქედან 15% მსხვილტონაჟიანი გემებია, რომელთაც ხშირ შემთხვევებში სახიფათო ნივთიერებები გადააქვთ. როგორც თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნავენ, სრუტეების ზონაში 12 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო საზოგადოებას გადაჭარბებულად და გაზვიადებულად ეჩვენება თურქეთის რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ მოყვანილი მიზეზები, ისინი მაინც იზიარებენ მათ მოსაზრებებს სრუტეებში ნაოსნობის უსაფრთხოებასა და ეკოლოგიასთან დაკავშირებით.

სირთულე ისაა, რომ თურქეთის რესპუბლიკის მიერ შემუშავებული რეგლამენტი თვალნათლივ ეწინააღმდეგება მონტრეს 1936 წლის კონვენციას და რეალურად უშლის ხელს გემების ნაოსნობას სრუტეებში.

გააუქმა რა ლოზანის 1923 წლის კონვენცია (რომელიც არსებითად ზღუდავდა ქვეყნის სუვერენიტეტს სრუტეებში) მონტრეს კონვენციამ ამავე დროს დააკისრა თურქეთს სრუტეებში ნაოსნობის თავისუფლებასთან დაკავშირებული კონკრეტული ვალდებულებები.

როგორც უკვე ნახსენები იყო, 1936 წლის კონვენციის 1-ლი მუხლი „ცნობს და მხარს უჭერს სრუტეებში ნაოსნობისა და გავლის თავისუფლების პრინციპს", თანაც ისე, რომ „აღნიშნული უფლების განხორციელება მომავალში მოწესრიგდება ამ კონვენციის დებულებებით". უკანასკნელი ფრაზიდან ნათლად ჩანს, რომ კონვენციით არ არის გათვალისწინებული ნაოსნობის მარეგულირებელი არანაირი სხვა წესები, გარდა თვით კონვენციისა..

კონვენციის მე-2 მუხლში საუბარია, რომ მშვიდობიან დროს სავაჭრო ნაოსნობა თავისუფალია, როგორც დღისით, ისე ღამე ყოველგვარი შეზღუდვებისა და ფორმალობების გარეშე, ხოლო ლოცმანებითა და ბუქსირებით სარგებლობა არასავალდებულო. გემებმა თურქეთის რესპუბლიკის ხელისუფლებას უნდა შეატყობინონ მხოლოდ თავიანთი სახელი, დროშა, მოცულობა (ტონაჟი), გამოსვლის და დანიშნულების ადგილი.

ომიანობის დროს სრუტეებში ნაოსნობის თავისუფლება შენარჩუნებულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გემები ეკუთვნის თურქეთთან მეომარ მხარეს.

როგორც მონტრეს კონვენციის ფუნქციონირების 60 და მეტ წლიანი პრაქტიკიდან ჩანს, იგი საკმაოდ ცხოვრებისუნარიანი და რეალისტური აღმოჩნდა. ამ ხნის მანძილზე არც ერთ მის მონაწილე ქვეყანას არ მოუთხოვია მისი დებულებების გადახედვა, როგორც ეს კონვენციის 29-ე მუხლშია გათვალისწინებული.

მართალია, 1982 წელს თურქეთის მთავრობა შეეცადა შემოეღო სტამბოლის ნავსადგურის რეგლამენტი, ავრცობდა რა მას სრუტეების მთელ ზონაზე და ითვალისწინებდა სრუტეებში ნაოსნობის რიგ შეზღუდვებს, მაგრამ დაინტერესებული სახელმწიფოების მიერ გამოთქმული პრეტენზიების შემდეგ თურქეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ აღნიშნული რეგლამენტი ეხება მხოლოდ თურქულ გემებს და იმ უცხოურ გემებს, რომლებიც თურქულ ნავსადგურებში შედიან. ეს არ ყოფილა თურქეთის რესპუბლიკის პირველი ამდაგვარი ცდა, მაგრამ, როგორც ამ შემთხვევაში, დაინტერესებული სახელმწიფოების შესაბამისი რეაგირების შემდეგ, ხელისუფლება დაახლოებით იგივე სულისკვეთების განცხადებებით გამოდიოდა მდგომარეობიდან.

სულ სხვაგვარად არის საქმე 1994 წლის რეგლამნტთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ რეგლამენტის მიერ მონტრეს კონვენციის დარღვევა თვალსაჩინოა, თურქეთის ხელისუფლება მაინც უარს აცხადებს არა მარტო რეგლამენტის გადახედვაზე, არამედ 1982 წლის მსგავსი განცხადების გაკეთებაზეც კი.

ძნელია დარწმუნებით ისაუბრო ამგვარი პოზიციის მიზეზებზე, მაგრამ რიგი მიმომხილველებისა ამის გამომწვევად მიიჩნევენ როგორც საბჭოთა კავშირის დაშლას, ისე ერაყის მიმართ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ დაწესებულ სანქციებს, რის შედეგადაც თურქეთმა ნავთობის ტრანზიტზე დაკარგა დაახლოებით 230 მილიონი დოლარი წელიწადში.

ზემოხსენებული რეგლამენტის 24-ე მუხლი ანიჭებს თურქეთის ხელისუფალთ უფლებას დროებით, მაგრამ ვადების მითითების გარეშე, შეაჩერონ ნაოსნობა სრუტეებში ისეთი გამართლებული მიზეზებით, როგორიცაა დიდი შედეგების მქონე ავარია, მაგრამ აგრეთვე სამშენებლო სამუშაოები და ბურღვა, სამცნიერო-კვლევითი სამუშაოები და სხვა არადამაკმაყოფილებელი მიზეზები. მუხლში ჩადებულია აგრეთვე დებულება, რომ თურქეთის ხელისუფლებას შეუძლია შეწყვიტოს ნაოსნობა სრუტეებში აგრეთვე სხვა მსგავს სიტუაციებშიც, რაც მეტად ზოგადი ცნებაა





და სინამდვილეში როგორ აისახება, წინასწარ უცნობია.

რეგლამენტის სხვა მუხლები ითვალისწინებენ დიდტონაჟიანი გემების გავლის შეზღუდვას, ზოგ შემთხვევაში კი მათი გავლის აკრძალვასაც, ატმოურძრავიანი ან ისეთი არასამხედრო გემებისათვის, რომელთაც გადააქვთ რადიოაქტიური ნივთიერებები ან ნარჩენები — წინასწარი ნებართვის აუცილებლობას. რეგლამენტით აგრეთვე სავალდებულო გახდა ლოცმანების მომსახურებით, ხოლო შესაბამის შემთხვევებში — ბუქსირებით სარგებლობა და სხვა.

თუკი შევადარებთ მოყვანილ დებულებებს მონტრეს კონვენციას, თვალნათელია ამ უკანასკნელის დებულებების დარღვევა. ეს აღნიშნეს როგორც კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა (საინტერესოა, რომ საქართველო ჯერ კიდევ არ გამხდარა ამ კონვენციის მონაწილე), ისე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მათ შორის IMO-მ.

ასე, IMO-ს ზღვებზე უსაფრთხოების კომიტეტმა 1994 წელს, როდესაც იხილავდა სრუტეებში ნაოსნობის წესებსა და რეკომენდაციებს და მოძრაობის დაყოფის სქემებს, ძირეულად გადაამუშავა თურქული პროექტი, რომელიც შეიცავდა რეგლამენტის ძირითად დებულებებს და მოიყვანა იგი მონტრეს კონვენციასთან შესაბამისობაში. კომიტეტში მიღებული და IMO-ს წევრებისათვის დაგზავნილი წესებისა და რეკომენდაციების ტექსტი, როგორც აღინიშნებოდა, შედგა ნაოსნობის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად და შედგენილია გაეროს 1982 წლის საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციისა, მონტრეს 1936 წლის კონვენციების და საერთაშორისო სამართლის სხვა დებულებების შესაბამისად.

იმავე წლის ოქტომბერში IMO-ს იურიდიული კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, რომ დელეგაციების უმრავლესობა განიხილავდა თურქეთის მიერ მიღებულ რეგლამენტს, როგორც IMO-ს რეკომენდაციებთან, საერთაშორისო სამართალსა და მონტრეს კონვენციასთან შეუთავსებელს. მაგრამ იურიდიულ კომიტეტში თურქეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა უარი თქვეს განეხილათ რეგლამენტის კონვენციასთან შესაბამისობის საკითხი და განაცხადეს, რომ IMO-ს მიერ წესებისა და რეკომენდაციების მიღება არ გამოიწვევდა რეგლამენტის შეცვლას.

ამის პარალელურად, საერთაშორისო ზეწოლის ქვეშ თურქეთის რესპუბლიკის მთავრობამ შემოიღო რეგლამენტის გამოყენების ინსტრუქცია, რომელიც აუქმებს სრუტეებში სამხედრო ხომალდებისა და არაკომერციული მიზნებით გამოყენებული სახელმწიფო ხომალდებისათვის დაწესებულ ნაოსნობის შეზღუდვებს, ისევე როგორც დიდტონაჟიანი გემებისა და ატმოურძრავიანი ან ისეთი არასამხედრო გემებისათვის, რომელთაც გადააქვთ რადიოაქტიური ნივთიერებები ან ნარჩენები, გააუქმა რეგლამენტის დარღვევისათვის გათვალისწინებული სანქციები ამ კატეგორიის გემებისა და ხომალდებისათვის. ინსტრუქცია აგრეთვე ითვალისწინებს ყოველგვარი საპოლიციო და სანიტარული კონტროლის გაუქმებას იმ გემებზე, რომლებიც ტრანზიტით გადიან სრუტეებში.

მაგრამ ინსტრუქციის შემოღება თავისთავად არ ნიშნავს, რომ რეგლამენტი აღარ ეწინააღმდეგება მონტრეს კონვენციასა და IMO-ს წესებსა და რეკომენდაციებს. ინსტრუქცია მხოლოდ განმარტავს რეგლამენტს და კომენტარებს უკეთებს მას, იგი არ აუქმებს და არ ცვლის რეგლამენტის დებულებებს და ვერც გააკეთებს ამას. რეგლამენტი, როგორც მის ერთ-ერთ მუხლშია აღნიშნული, მომზადებულია თურქეთის კონსტიტუციის, კანონების „სამინისტროების შექმნისა და ფუნქციების შესახებ" და „ნავსადგურების შესახებ" საფუძველზე, ხოლო ხორციელდება მინისტრთა საბჭოს მიერ. თურქეთის ოფიციალური წარმომადგენლები ახასიათებდნენ მას, როგორც საკანონმდებლო აქტს. რაც შეეხება ინსტრუქციას, იგი გამოცემულია თურქეთის პრემიერ-მინისტრის სამდივნოს საზღვაო საკითხთა სამმართველოს მიერ და წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს. ამდენად, ინსტრუქციამ მხოლოდ შეაჩერა რეგლამენტის გარკვეული მუხლების მოქმედება და იგი, როგორც ნებისმიერი ადმინისტრაციული აქტი, ნებისმიერ დროს შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს ადმინისტრაციული თანამდებობის პირის განკარგულებით.

ამის გარდა, ინსტრუქცია არანაირად არ ეხება რეგლამენტის 24-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც თურქეთის ხელისუფალთ — მონტრეს კონვენციის დარღვევით — შეუძლიათ შეაჩერონ ნაოსნობა სრუტეებში. ინსტრუქციაში მხოლოდ საუბარია, რომ ნაოსნობა შეიძლება დროებით შეჩერდეს, ისე რომ ამან არსებითად არ შეზღუდოს ნაოსნობა. არც რეგლამენტის იმ დებულებას შეხებია ინსტრუქცია, რომელიც გემების კაპიტნებისაგან, კვლავ მონტრეს კონვენციის დარღვევით, ითხოვს ინფორმაციას ტვირთის შესახებ და სხვ.

ამდენად, გასაგებიცაა რომ ამგვარი ინსტრუქციის მიღება ვერ მოხსნიდა იმ სირთულეებს, რომლებიც რეგლამენტმა წარმოშვა. შეიძლება ითქვას, რომ, პირიქით, ინსტრუქცია გარკვეულწილად აკანონებს რეგლამენტის დებულებებს, უქმნის რა მათ თეორიულ ბაზას და მხარს უჭერს მონტრეს კონვენციის თურქეთის რესპუბლიკის მიერ ცალმხრივად მიღებული აქტებით შეცვლას, აქტებით, რომლებიც ნაწილი გემებისაგან წინასწარ შეტყობინებას ითხოვენ, მეორე ნაწილს კი საერთოდ ნებრათვის გარეშე, და რიგ შემთხვევბში საერთოდ უკრძალავენ სრუტეების გავლას.

1995 წელს საკითხი კიდევ ერთხელ განიხილა ზღვაზე უსაფრთხოების კომიტეტმა და აღინიშნა,

რომ აუცილებელია რეგლამენტი მოვიდეს IMO-ს წესებსა და რეკომენდაციებსა და საერთაშორისო სამართლის ნორმებთან შესაბამისობაში.

იმავე წელს გამართულმა IMO-ს ასამბლეის სესიამ დაამტკიცა კომიტეტის მიერ შემუშავებული წესები და რეკომენდაციები სრუტეებისათვის. ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია ადასტურებს გემების უფლებას ისარგებლონ სრუტეებით მონტრეს კონვენციისა და საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმების შესაბამისად, აგრეთვე თურქული რეგლამენტის ამ ნორმებთან შეჯერების აუცილებლობას.

საკითხი განიხილებოდა აგრეთვე შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეის ერთ-ერთ კომიტეტშიც.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც თურქეთში დაინახეს, რომ IMO-მ მიაღწია კონსენსუსს ახალი წესების მისაღებად და მათი ცალმხრივი ქმედებების წინააღმდეგ ახალი ზომების შემოსაღებად. მათ განაცხადეს თავიანთი მზადყოფნა, გადახედონ 1994 წლის რეგლამენტს დაინტერესებული ქვეყნების შეხედულებების გათვალისწინებით და ითანამშრომლონ IMO-სთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ ეთანხმება IMO-ს ახალ წესებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის წინადადებებს.

ამ პირობებში უკეთესი იქნებოდა შემუშავებულ იქნას ახალი წესები IMO-სა და თურქეთის მიერ სამუშაო ჯგუფის წინადადებების საფუძველზე. ამგვარი თანამშრომლობა დაიწყო 1998 წელს. სამუშაო ჯგუფმა თურქეთის მონაწილეობით მიიღო სტრუქტურის, შესავალისა და ზოგიერთი მუხლის სამუშაო ვარიანტი, მაგრამ თურქულმა დელეგაციამ უთანხმოება გამოხატა და არასწორედ განმარტა პროექტის ანგარიშის თითქმის ყოველი სიტყვა.

1998 წლის ნოემბერში თურქეთის მხარემ გამოაქვეყნა სრუტეებში ნაოსნობის თურქული რეგლამენტის ახალი რედაქცია, სადაც გათვალისწინებული იყო ის მრავალი შესწორებები, რომლებიც გამოთქვეს შავი ზღვის ქვეყნებმა, მონტრეს კონვენციის სხვა მონაწილეებმა და IMO-ს კომიტეტებმა. მიუხედავად იმისა, რომ რამოდენიმე მუხლი, რომლებიც შეიცავდნენ სრუტეებში ნაოსნობის შეჩერების არამნიშვნელოვან მიზეზებს, სამხედრო ხომალდებს ართმევდნენ მათ პრივილეგიებს, კრძალავდნენ დიდი ტონაჟის მქონე ნავთობის გადამზიდი ტანკერების გავლას გაუქმდა რეგლამენტის ახალი რედაქციით, დარჩა მუხლები, რომლებიც კრძალავენ გემების, განსაკუთრებით კი დიდი ტონაჟის მქონე გემების გავლას.

რეგლამენტის ახალი რედაქციის მე-20 მუხლის მიხედვით, თურქეთს შეუძლია შეაჩეროს ნაოსნობა სრუტეებში „ეროვნული უსაფრთხოების" მოსაზრებებით, რაც სხვადასხვანაირად შეიძლება იქნეს გაგებული. შემდეგი მუხლის მიხედვით, თურქეთის ხელისუფალთ ეძლევათ უფლება დაადგინოს გემების მაქსიმალური წყალწყვა, რომელთაც შეეძლებათ გაიარონ სრუტეები. ერთ-ერთ მუხლში, სახელად სახიფათო ტვირთები, ერთადაა მოქცეული რადიოაქტიური ნივთიერებები, სხვა ნარჩენები და ნავთობი. ზემოხსენებულ მუხლთან დაკავშირებით გემებმა 72 საათით ადრე უნდა შეატყობინონ თავიანთი გავლის შესახებ თურქეთის ოფიციალურ პირებს და შეასრულონ გავლისათვის დადგენილი ყველა მოთხოვნა, მაშინ, როდესაც IMO-ს დოკუმენტების მიხედვით ამ ტვირთებს სხვადასხვა კლასიფიკაცია აქვთ და ნავთობის ტრანსპორტირება არ არის ისე მკაცრად განსაზღვრული, როგორც რადიოაქტიური ნივთიერებებისა და ნარჩენებისა.

არც რეგლამენტის ახალი რედაქციის მიღების წესი შეესაბამება მონტრეს კონვენციასა და საერთაშორისო სამართლის ნორმებს. მიუხედავად იმისა, რომ გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებული მხარეების უმრავლესობა რეკომენდაციებისა, თავად რეგლამენტის ტექსტი არ იქნა შეთანხმებული მონტრეს კონვენციის წევრებთან. თურქეთი განაგრძობს IMO-სათვის სრუტეებისათვის მისი წესების მიღებაში ხელის შეშლას და ძალისხმევას არ იშურებს, რათა დაამკვიდროს თავისი, მონტრეს კონვენციის ინტერპრეტაციის თვითაღიარებული უფლება და შეიმუშაოს სრუტეებში ნაოსნობის რეგლამენტი ცალმხრივად. თურქეთის ხელისუფალნი ღიად აცხადებენ, რომ ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის გარდა ნავთობის სხვაგვარად ტრანსპორტირება შავი ზღვის რეგიონიდან, მათ შორის სუფსის და ნოვოროსიისკის პორტებიდან ტანკერებით მეტად გაჭირდება.

როდესაც შავი ზღვის სრუტეების სამართლებრივ რეჟიმზე საუბრობ, არ იქნებოდა სწორი თვით შავი ზღვის სამართლებრივი რეჟიმიც არ დაგვეხასიათებინა მოკლედ. იგი შედგება ორი კომპონენტისაგან: სრუტეების შესახებ მონტრეს კონვენცია და გაეროს 1982 წლის კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ, კერძოდ კი მისი IX კარი „დახშული და ნახევრადდახშული ზღვები".

კონვენციით ამ კატეგორიას მიკუთვნებულია „ყურე, აუზი თუ ზღვა, რომელიც გარშემორტყმულია ორი ან მეტი სახელმწიფოთი და უერთდება სხვა ზღვასა თუ ოკეანეს ვიწრო გასასვლელით, ან რომელიც მთლიანად ან მეტწილად მიმდებარე სახელმწიფოების ტერიტორიული ზღვებისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონებისაგან შედგება" (მუხლი 122).

ეს განმარტება უშუალოდ რამოდენიმე ნაწილისაგან შედგება: აუცილებელია, რომ ყურეს, აუზს ან ზღვას ორი ან მეტი სახელმწიფო ეკვროდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სახელმწიფოს შიდა ზღვად ჩაითვლება. ამგვარი სტატუსი ჰქონდა აზოვის ზღვას საბჭოთა კავშირის დაშლამდე. შემდეგი კრიტერიუმია, რომ აღნიშნული აკვატორია უერთდებოდეს სხვა ზღვებსა და ოკეანეებს ვიწრო გასასვლელით — ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები სრულიად





შეესაბამებიან ამ კრიტერუმს. და მესამე პარამეტრია, რომ აკვატორია მთლიანად ან მისი უმეტესი ნაწილი იფარებოდეს მიმდებარე სახელმწიფოების ტერიტორიული ზღვებითა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონებით.

ამ სამი მახასიათებლიდან მხოლოდ პირველი არის აუცილებელი და უალტერნატივო ზემოთ უკვე აღნიშნული მიზეზის გამო, ხოლო დანარჩენებიდან ერთიც უკვე საკმარისია, რომ ზღვა ჩაითვალოს „დახშულ ან ნახევრადდახშულ ზღვად". შავი ზღვა მიესადაგება ამ სამივე კრიტერიუმს და, ამდენად, მასზე უეჭველად ვრცელდება IX კარის მეორე, 123 მუხლის დებულებები. ამ მუხლის მიხედვით დახშული და ნახევრადდახშული ზღვების მიმდებარე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ითანამშრომლონ ერთმანეთთან უშუალოდ ან შესაბამისი რეგიონალური ორგანიზციების საშუალებით კონვენციით მათთვის მინიჭებული უფლებებისა და დაკისრებული ვალდებულებების განხორციელებისას, უპირველეს ყოვლისა ზღვის რესურსების მართვისას, მათ შენარჩუნებაში, დაზვერვასა და ექსპლუატაციაში, ერთიანად დაიცვან ზღვის გარემო და კოორდინირებულად ჩაატარონ სამეცნიერო კვლევები.

დასასრულს კიდევ ერთხელ გავიმეორებდი, რომ საქართველო არ არის მონტრეს კონვენციის მონაწილე მხარე. ეს ფაქტი მით უფრო გასაკვირია, რომ ქართველი დელეგატები მონაწილეობდნენ ჯერ კიდევ ლოზანის კონვენციის შემუშავებაში, რომლის საფუძველზეც შეიქმნა მონტრეს კონვენცია. მიუხედავად ქართულ სანაოსნოში არსებული კრიზისისა, საქართველოს გააჩნია სავაჭრო ფლოტი და იგი აყალიბებს თავის სამხედრო-საზღვაო ძალებს. მომავალში მათი ინტერესების დასცავად უპრიანი იქნებოდა საქართველოსათვის სრუტეების შესახებ 1936 წლის კონვენციისადმი მიერთება. ამ საქმეში ინიციატივის გამოჩენა პირველ ყოვლისა საგარეო საქმეთა სამინისტროს მართებს, ისევე როგორც გაეროს კონვენციით დახშული და ნახევრად-დახშული ზღვების მიმდებარე სახელმწიფოებისათვის დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებაში. საქართველოს რომ უფრო აქტიურად გამოეყენებინა კონვენციის IX კარით გათვალისწინებული შესაძლებლობები, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ აჭარის სანაპიროსათვის არსებული საფრთხე ამდენად მწვავე არ იქნებოდა. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში შეიძლებოდა აგრეთვე უკიდურესად დაბინძურებული ზღვის რამენაირად გასუფთავებისათვის ეფექტური ზომების მიღება თუ არა, დასახვა მაინც. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო უნდა დაინტერესდეს აგრეთვე დუნაით მოსარგებლე ქვეყნების ეკოლოგიური პოლიტიკით, ვინაიდან ევროპის ეს უდიდესი მდინარე არის შავი ზღვის დაბინძურების ერთ-ერთი ძირითადი წყარო.

შავ ზღვას ბევრი პრობლემები აქვს და მისი სრუტეების საერთაშორისო-სამართლებრივი რეჟიმის დარღვევა არ არის მათ შორის უმნიშვნელოვანესი.

## გამოყენებული ლიტერატურა:


Полибий. Всеобщая история: В 40 кн. – М., 1890

Б. А. Дранов. Черноморские проливы (межд. правовой режим); М. 1948

Конвенция ООН по Морскому праву 1982 г. Н'ю–Йорк 1984

Московский журнал международного права 3/'96

А.Ф. Высоцкий, В.П. Цемко. Черноморско–азовский бассейн; Киев 1991

Словар' международного морского права; М. 1985

Doc. MSC 63/7/2; 26 იანვარი 1994

Doc. SN/Circ. 166 1 ივნისი 1994

Doc. A 19/10; 26 ივლისი 1995

Doc. A 19/6 (c)/2, ნოემბერი 1995

Black Sea Region: Priorities and Perspectives for the 21st Century: Conference Materials

# საინფორმაციო გვერდი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის პროექტების ფარგლებში კვლავ გრძელდება აქტიური მუშაობა.

➢ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა ოთხ რეგიონში ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენლებისათვის უახლესი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჩაატარა სემინარული მუშაობა თემაზე:

ადგილობრივი ბიუჯეტი, მისი ფუნქციები და პრინციპები

აღნიშნული სემინარი „ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობის" პროექტის ფარგლებში ამა წლის 13 ივლისს ქ. სამტრედიაში ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციასთან თანამშრომლობითა და ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით მოეწყო.
„თვითმმართველობა საზოგადოების სამსახურში" პროექტის ფარგლებში კი სემინარი ჩატარდა 2000 წლის 20 ივლისს ქ. ყვარელში ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს" ფინანსური უზრუნველყოფით.

➢ ზემოაღნიშნულ თემაზე მიძღვნილი სემინარები „ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობის" პროექტის ფარგლებში ფონდი NOVIB-ის ფინანსური მხარდაჭერით ქ. ლაგოდეხსა და ქ. ოზურგეთში, შესაბამისად, ამა წლის 21-სა და 28 ივლისს ჩატარდა.
აღნიშნულ ოთხივე სემინარზე მონაწილეებს დაურიგდათ „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრისა" და „ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" ერთობლივად გამოცემული ნორმატიული აქტების კრებული – „ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური ფუნქციები".

➢ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ინსტიტუციონალური განვითარების პროექტის ფარგლებში ფონდი NOVIB-ის ფინანსური მხარდაჭერით ივლის-აგვისტოს თვეებში გამოიცემა მორიგი ბიულეტენები თემებზე: „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2000", „ბიზნეს გარემო და უცხოური ინვესტიციები", „ცნობარი ირანზე".

➢ გასული თვის ბიულეტენის საინფორმაციო გვერდში შეგატყობინეთ, რომ ფრიდრიხ ებერტის ფონდმა დააფინანსა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის სამუშაო ჯგუფის – „საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება" – საქმიანობა, რომლის ფარგლებშიც აგვისტოს თვეში დაგეგმილია ბიულეტენში შემდეგი მოხსენებების გამოქვეყნება: კავკასიის უსაფრთხოების პერსპექტივები, „მშვიდობიანი კავკასია"; თურქეთ-ევროპის კავშირის ურთიერთობები და საქართველო.





# საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

არასამთავრობო ორგანიზაცია — საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი დაფუძნდა 1995 წლის ივლისში. მისი წევრები ცდილობენ შეიტანონ მნიშვნელოვანი წვლილი ჩვენს ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური გზების შემუშავებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრთან შექმნილია ექსპერტთა ქსელი. ექსპერტთა და ცენტრის თანამშრომელთა ერთობლივი ძალისხმევით განისაზღვრება პრობლემა, რომლის ანალიზის შედეგად მზადდება შესაბამისი მოხსენება ან დოკუმენტი. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმირების მიზნით დამუშავებული ინფორმაცია რეგულარულად გამოიცემა ბიულეტენების, ბროშურების, საინფორმაციო ფურცლებისა და ლიფლეტების სახით, რომელთა უმეტესი ნაწილი უფასოდ მიეწოდება სხვადასხვა სამთავრობო და სამეცნიერო უწყებებს, პოლიტიკურ და არასამთავრობო ორგანიზაციებს, კერძო სტრუქტურებს, მასმედიისა და მსხვილი კორპორაციების წარმომადგენლებს. ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მიზნით თემატურ საჯარო განხილვებსა და სემინარებზე ვიწვევთ ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ამგვარად, ცენტრი აქტიურად ცდილობს, გარკვეული გავლენა იქონიოს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

საგულისხმოა, რომ ცენტრის ძირითადი საქმიანობა მიმართულია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობისაკენ, რაც სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერაში გამოიხატება. ამ მხრივ, ჩვენი საქმიანობა ვრცელდება ქ. თბილისსა, ოზურგეთისა და ლაგოდეხის რაიონებში. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ცდილობს სათემო ორგანიზაციების პოპულარიზაციას და აღნიშნული მოძრაობის განვითარების ხელშეწყობას.

## ცენტრის პრიორიტეტული მიმართულებები:

➢ *საზოგადოება და დემოკრატია*
➢ *გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება*
➢ *საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება*
➢ *ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა*

## განხორციელებული და მიმდინარე პროექტები

- კანონპროექტი საქართველოს გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ;
კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
- კანონპროექტი საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ;
კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
- საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ კონცეფციის შემუშავება;
- ეკონომიკური რეფორმები საქართველოში;
- ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება;
- თვითმმართველობა საზოგადოების სამსახურში;
- შავი ზღვის არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის საერთაშორისო კონფერენციის მომზადება, ქსელის საქმიანობის პოპულარიზაცია;
- ცენტრის ინსტიტუციონალური განვითარება.

## ცენტრის დონორი ორგანიზაციები

1. ფრიდრიხ ებერტის ფონდი, გერმანია
2. ნიდერლანდების ორგანიზაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარებისათვის, ჰოლანდია.
3. ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო".

Friedrich-Ebert-Stiftung Bonn * Bibliothek *

# ცენტრის მხარდამჭერები

❋ ცენტრის ინდივიდუალური „მხარდამჭერი“ მიიღებს ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწერილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით.

❋ ცენტრის პარტნიორები, სპონსორები და მხარდამჭერები მიიღებენ ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწერილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. კომპანიის/ორგანიზაციის ხელმძღვანელს ან მის წარმომადგენელს უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, კომპანიის/ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით, გარდა ამისა:

❋ ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის „პარტნიორისა“, კომპანიის შესახებ ინფორმაციას დაეთმობა ერთი გვერდი ბიულეტენში და მცირე მონაკვეთი ლიფლეტში. ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის „პარტნიორი“.

❋ ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის სპონსორისა, ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის სპონსორი.

❋ ცალეული ღონისძიებეის სპონსორი კომპანია ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ღონისძიების „სპონსორი“ და მისი ლოგო წარმოდგენილი იქნება ღონისძიებებზე ცენტრის ლოგოსთან ერთად.

## საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მხარდამჭერები:

❖ კომპანია ზენიტ გამა ქონსალთინგი **(Zenith Gamma Consulting)**

**მხარდამჭეროზით დაინტერესებულ პირებს გთხოვთ შეავსოთ თანდართული გამოკითხვის ბარათი და მოგვაწოდოთ ორგანიზაციის მისამართზე.**

**ცენტრის საქმიანობით დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ, დაგვიკავშირდნენ.**

ქ.თბილისი 380094, გამსახურდიას ქ. №33ᵃ, ბინა 22. საფოსტო ყუთი №45;
ტელ/ფაქსი: (995 32) 964124, 250711
ელექტრონული ფოსტა: csrdg@caucasus.net
http://www.csrdg.caucasus.net



## ინდივიდუალური მხარდამჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ მე მსურს გავხდე ცენტრის მხარდამჭერი და მზად ვარ გავიღო 100 ლარი, გთხოვთ, დამიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ, გამომიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ მე არ ვარ დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დამიკავშირდებით.

ჩემი კოორდინატებია:

სახელი, გვარი, ________________________________

სამუშაო ადგილი ________________________________

თანამდებობა ________________________________

მისამართი ________________________________

ტელეფონი ____________________ ფაქსი ____________

## კოლექტიური მხარდამჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის პარტნიორი და მზად არის გაიღოს 5000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის სპონსორი და მზად არის გაიღოს 2000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის მხარდამჭერი და მზად არის გაიღოს 280 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს სპონსორობა გაუწიოს ცენტრის სხვადასხვა საჯარო ღონისძიებას, სემინარს ან კონფერენციას, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ გამოგვიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ ჩვენი კომპანია არ არის დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დაგვიკავშირდებით.

ჩვენი კომპანიის კოორდინატებია:

კომპანიის დასახელება ____________________

მისამართი ____________________

ტელეფონი ____________________ ფაქსი ____________

საკონტაქტო პირი ____________________
(სახელი, გვარი, თანამდებობა)